ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

Beijing 2008
დარჩა 72 დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 124 (12 499) 28 მაისი ოთხშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



**ადრიანო სამპდორიაში?**

მსოფლიო ფეხბურთი 6-10

**აბრამოვიჩი ანჩელოტის შეხვდაო**

მსოფლიო ფეხბურთი 6-10



## ახდენილი და აუხდენელი



პრესკონფერენცია 3

## ძოძუაშვილი უგანდის ნაკრებში



მიწვევის მოლოდინში 4

# ყენიამ და იაშვილმა ფრე გაგვიხერხეს







ესტონეთი-საქართველო 1:1 2

# მანჩინი გაუშვეს, მოურინიო გზაშია





8

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბური

# სეგრტის ზადი და დაბალი ხრიკები

**ესტონეთი-საქართველო**

**1:1**

27.05. ტალინი. ლე კოქ არენა. 2 500 მაყურებელი

1:0 კინკი (64. პენ); 1:1 ყენია (82. იაშვილის პასით)

ესტონეთი: ლონდაკი, შიშოვ, ბარენგრუბი, პიროია, კლავანი, ანისტე (57. ვუნკი), დმიტრიევი, კინკი, პურიე (58. ლინდპერე), სააგი (46. ზაჰოვაიკო), ვიკმაე (71. როობა)

*სათადარიგოები:* აკსალუ, რანი, მოროზოვი

საქართველო: ლორია, ლობჟანიძე, ასათიანი, ხიზანიშვილი, კვირკველია (76. კლიმიაშვილი), ნავალოვსკი, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, ოდიკაძე (67. გოცირიძე), იაშვილი (90. მუჯირი), ალექსიძე (62. ყენია)

*სათადარიგოები:* ლომაია, სანაია, დევდარიანი

გაფრთხილება: კობიაშვილი (63), შიშოვი (80), ლობჟანიძე (90)

არბიტრი: თომას ვეილგაარდი



საქართველოს ნაკრებმა ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ ფრეს მიაღწია - დროებითმა მწვრთნელმა **პეტარ სეგრტმა** დებიუტი არ ჩააგდო - ნაგებით დაღლილმა გუნდმა თავისებური ტაიმაუტი აიღო.

სეგრტმა სამი დებიუტანტი გაამწესა სასტარტოში: **გიორგი ნავალოვსკი, უჩა ლობჟანიძე** და **დავით ოდიკაძე.** მისი 4-4-2 არ იყო ექსპერიმენტული - ყველა ფეხბურთელმა ჩვეულ პოზიციაზე ითამაშა. უნდა აღინიშნოს, რომ მწვრთნელმა სწორად შეურჩია ადგილი **ალექსანდრე იაშვილს,** ვისაც ნაკრების უწინდელი მწვრთნელები სხვადასხვა პოზიციაზე ათამაშებდნენ და შეიძლება ითქვას, ნაკრების ყველა მწვრთნელისთვის თავისებური თავსატეხი იყო, როგორ გამოეყენებინა იაშვილი.

თავისი ზადი სეგრტსაც აღმოაჩნდა. თუ მწვრთნელი ხარ, ვარჯიშებზე უნდა შეატყო, როგორ ფორმაშია გუნდის ერთ-ერთი ყველაზე საკვანძო ფეხბურთელი. ბოლო დროს **მალხაზ ასათიანი** იშვიათად ჩნდებოდა მოსკოვის "ლოკომოტივის" თერთმეტეულში და გუშინ კარგად გამოჩნდა, რომ ოპტიმალურ ფორმამდე ძალიან ბევრი უკლია. რადგან ის ასათიანია, აუცილებლად უნდა ითამაშოს - თუ ასე დგას საკითხი, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე.

სამი დღის შემდეგ ჩვენი ეროვნული გუნდი პორტუგალიას ესტუმრება. ცხადია, ეს ორი მატჩი ყველაზე უფრო იმისთვის უნდა ყოფილიყო საჭირო, რომ ნაკრების ახალ მწვრთნელს დამდეგი შესარჩევი ციკლისთვის კარგად მოემზადებინა გუნდი. ფეხბურთის ფედერაციის უნიათობის გამო ახლა ძვირფასი დრო იკარგება ეროვნული ნაკრებისთვის - ახალი მწვრთნელი ხომ თავის თარგზე მოჭრის გუნდს.

ესტონეთთან მატჩი მაინც სასარგებლო გამოდგა, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველომ თამაში შემოაბრუნა და არ დამარცხდა. ნუ დაგვავიწყდება, რომ წინა შესარჩევში ჩვენმა ნაკრებმა ფარერების გარდა ყველა საგარეო მატჩი წააგო.

...ესტონელებს მალევე შეეძლოთ დაწინაურება - მეორე წუთზე ასათიანის შეცდომას ჩვენს საჯარიმოში ხიფათი მოჰყვა. მასპინძლები წინ დიდი ძალებით არ მიდიოდნენ, მარტივად, მონოტონურად თამაშობდნენ და თავიანთ შანსს ელოდნენ. საქართველოს ნაკრები კი უფრო არითმიულად მოთამაშე გუნდს ჰგავდა. ჩვენი აფეთქებები არ იყო დამანგრეველი სიმძლავრის, მაგრამ მასში სჭვიოდა რეჟისურა- იაშვილს **რატი ალექსიძის** უკან უნდა მიელო ბურთი, ან ალექსიძისთვის გაეჭრა პასი, ან მარჯვენა ფლანგზე ფეხმალი **დავით ოდიკაძისთვის.**

მერვე წუთზე იაშვილი მარცხენა ფლანგზე კარგად დაუხლტა მეტოქეებს და ზუსტად დაუგორა ბურთი ალექსიძეს - რატის შეეძლო, მარჯვენა ფლანგზე ოდიკაძისთვის გადაეწოდებინა ბურთი, მაგრამ ალბათ ფორვარდის ინსტინქტმა კარში დარტყმა გადააწყვეტინა, რაც მთლად კარგად არ გამოუვიდა და **პაველ ლონდაკმა** ხელებში გააქვავა ბურთი.

სამი წუთის შემდეგ იაშვილმა ეფექტური პასით ოდიკაძე გაიყვანა ძალიან ხელსაყრელ პოზიციაზე - დინამოელმა არაზუსტად დაარტყა.



და ესტონელთა პირველი საგოლე მომენტიც: ასათიანმა **კრისტან ვიიკმაეს** დაუგორა ბურთი, **გიორგი ლორიას** კარი, ფაქტობრივად, დაკარგული ჰქონდა, თუმც ვიიკმაემ უხეიროდ დაარტყა და ჩვენს მეკარეს დაუმიზნა ბურთი.

გაცილებით ბევრს ველოდით **დავით კვირკველიასგან.** მისი "რუბინი" რუსული პრემიერლიგის ლიდერია და კვირკველიაც სტაბილურად თამაშობს იქ. გუშინ კი დათო ვერ ახერხებდა მარცხენა ფლანგზე თამაშის გამწვავებას. მის უკან გამწესებულ ნავალოვსკის პირველ ტაიმში ნერვიულობა ეტყობოდა, შესვენების შემდეგ კი უფრო მხნედ ათამაშდა.

ისევ იაშვილმა იჩაუქა, მარჯვნიდან შეიჭრა საჯარიმოში, ჩინებულ პოზიციაზე დაუგორა ბურთი კვირკველიას, რომელსაც დარტყმა გაუცუდდა. გოლის გამტანი ფლანგელი თუ საყრდენი ნახევარმცველი ჩვენი ნაკრებისთვის ფუფუნებაა, როცა ასეთი ფეხბურთელი არ მოგეპოვება, საქმე ძალიან გიძნელდება.

ესტონეთი გათვლას ჩვენს შეცდომებზე და მეტოქის საჯარიმოში თუ მის საიხლოვესთან ბურთის ჩაგდებაზე აკეთებდა, ბურთის გორება და მკაცრი პრესინგი ბალტიისპირელებისგან გუშინ ვერ ვიხილეთ.

ესტონელთა მეორე საგოლე მომენტი: ასათიანის შეცდომით **პურიე** აღმოჩნდა ლორიასთან პირისპირ, მეკარისთვის ბურთის თავზე გადავლება მოინდომა, მაგრამ ეს კარგად ვერ შეასრულა - ლორიამ კუთხურზე მოიგერია ბურთი.

ცოტაც და ესტონეთს იქით შეექმნა ხიფათი - იაშვილმა ოდიკაძეს გაუჭრა პასი, რომელმაც ალექსიძეს ჩაუწოდა - რატის შორეული, ლონიერი თავური მეკარემ კუთხურზე მოიგერია.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, **ლევან კობიაშვილმა** ზუსტი პასი რომ გადააწოდა იაშვილს, რომელმაც ცაციათი ისეთი დააძგერა, ლონდაკის კარის ხსნა მხოლოდ ხარიხამ შეძლო.

ერთ წუთში იმავე იაშვილმა გაამწვავა თამაში, ლონდაკამდე მიიტანა ბურთი, მეკარის მოგერიებულს კვირკველია დაეუფლა, მაგრამ დარტყმა ერთხელაც გაუცუდდა.

ესტონეთი ვერ გვჯობდა, თუმცა გოლის გატანა მაინც მოახერხა - ჯარიმიდან ჩაგდებულ ბურთზე უჩა ლობჟანიძემ პოზიცია სწორად ვერ შეარჩია და მეტოქე წესის დარღვევით შეაჩერა - **ტარმო კინკმა** პენალტი კლასიანად შეასრულა.

სგრტმა შეცვლებს მიმართა და საკმაოდ რისკიანი გადაწყვეტილებაც მიიღო: იაშვილი, **ლევან ყენია** და **ბექა გოცირიძე**-სამი ტანმორჩილი შემტევი ზორბა ესტონელი მცველების წინააღმდეგ. ვერ ვიხსენებ მატჩს, როცა ასეთი ბალანსით გუნდს თამაში შემოეტრიალებინოს. ირონია იქეთ იყოს, მაგრამ გუშინ სეგრტმა და საქართველოს ნაკრებმა მართლაც განსაკუთრებული რამ შეძლეს.

ჩვენს ნაკრებს რამდენიმე წუთი ძალიან გაუჭირდა თამაშის დალაგება, მაგრამ ნელ-ნელა გამოჩნდა პოზიტიური ელემენტები.

ნავალოვსკის მოპოვებული ფლანგური ჯარიმა კობიაშვილმა ჩააწოდა და უმეთვალყურეოდ დატოვებულმა გოცირიძემ თავურით ააცილა კარს. ესტონურმა დაცვამ ყანყალი დაიწყო და გოლიც: ნავალოვსკიმ იაშვილს გაუკეთა გადაცემა, რომელმაც ქუსლით ეფექტურად გადაიტანა ბურთი საჯარიმოში და ყენიამაც უნაკლოდ დააგვირგვინა ლამაზი კომბინაცია.

ვინძლო ეიფორიის ბრალიც იყო საქართველოს ნაკრების დაცვის ცენტრის მორიგი ჩაფლავება - **ვიაჩესლავ ზახოვაიკომ** ახლოდან ვერ გაიტანა.

ასეთივე იდეალური არა, მაგრამ შანსი აქეთაც გვქონდა - კობიაშვილის ჩაწოდებულს გოცირიძემ არაზუსტი თავური მიაყოლა.

რაც მთავარია, ნაგებით აღარ გავითანგეთ.

**რჩეული**

**ალექსანდრე იაშვილი დიდებული იყო, ისე ითამაშა, ალბათ პათეთიკურ შეფასებებსაც იმსახურებს. ალექსანდრე გახლდათ ის, რაც ასე აკლდა საქართველოს ნაკრებს - ლიდერი.**

დავით თავართქილაძე

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ა (დილომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 8-99 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემაში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატჩის შემდეგ

## პეტარ სეგრტი: იაშვილი საუკეთესო იყო, ყენიას გოლი კი ჩინებული

"უპირველეს ყოვლისა, მოხარული ვარ, რომ ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე დებიუტი მქონდა. ვინც თამაში ნახა, ვფიქრობ, უკმაყოფილო არ უნდა იყოს. ჩვენმა გუნდმა ბოლომდე იბრძოლა გამარჯვებისთვის. ამ მატჩის მოგებაც შეიძლებოდა, მაგრამ საბოლოოდ ფრეს დავჯერდით. ჩემი აზრით, 1:0-ზე, ალექსიძის ნაქცევისთვის პენალტსაც ვიმსახურებდით, მაგრამ არბიტმა მასპინძლები დაინდო. ეს ჩემთვის, გარკვეულწილად მოულოდნელობაც კი იყო.

ბედნიერი ვარ იმით, რომ ამ შეხვედრაში 21-წლამდელთა ნაკრების 6 ფეხბურთელი მონაწილეობდა. მათგან რამდენიმე კი სასტარტო შემადგენლობაშიც იყო.

მახარებს ის მომენტიც, რომ გარკვეული პაუზის შემდეგ, ალექსიძე და ოდიკაძე კარგად წარმოჩნდნენ ქვეყნის მთავარ გუნდში. კარგად ჩაერთვნენ თამაშში ყენია და კლიმიაშვილი. ყენიამ ჩინებული ბურთი გაიტანა და ტალინში ჩამოსული ათობით ქართველი გულშემატკივარი ალაფრთოვანა. იაშვილი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი გახლდათ, არა მარტო ჩვენი, არამედ ორივე გუნდიდან. კომპლიმენტებს მეკარე ლორიას მისამართითაც არ დავიშურებდი...

ჯერ კიდევ გაურკვეველია დავით კვირკველიას მდგომარეობა. მეტოქე ფეხბურთელმა მას ნეკნებში ჩაარტყა. დათო ახლაც ტალინის ცენტრალურ კლინიკაშია გამოკვლევაზე. ჯერ კიდევ არ ვიცით მისი დიაგნოზი და ეს გვაშფოთებს. იმედი მაქვს ყველაფერი კარგად იქნება", - გვითხრა გუშინ პეტარ სეგრტმა, რომელსაც თამაშის შემდეგ დავუკავშირდით.

წუხელ, **დავით კვირკველიასთან** დაკავშირებით ნაკრების გუნდების მენეჯერმა **თამაზ ბოკერიამ** შემდეგი გვითხრა: "შემოწმების შედეგად, დადგინდა, რომ კვირკველია მსუბუქადაა დაშავებული, მხოლოდ დაჟეჟილობა აქვს და ტკივილებიც აღარ აწუხებს. დღევანდელი მდგომარეობით მას შაბათს პორტუგალიაში თამაში შეეძლება".

**დავით ცაბაძე**



## კვარაცხელია ლუკაშენკოს ქვეყანაში

ლიტვის ჩემპიონი „კაუნასი" ერთ-ერთ ქართველ ლეგიონერს შეელია – 29 წლის **გივი კვარაცხელია** ბელარუსში, კერძოდ „მტზ-რიპოში" გადავიდა. კვარაცხელია „კაუნასში" 2005 წლიდან თამაშობს. 2006 და 2007 წლებში ის ლიტვის ჩემპიონი გახდა. როგორც „კაუნასს" ისევე „მტზ-რიპოს" მილიარდელი **ვლადიმირ რომანოვი** ფლობს (რომლის საკუთრებაა აგრეთვე შოტლანდიური „ჰართსი"). მინსკის „მტზ-რიპო" 7 ტურის შემდეგ 13 ქულით მეორე ადგილზეა. ახლახან კლუბმა ბელარუსის თასი მოიპოვა, დღეისათვის გუნდი ბრესტშია, სადაც ერთკვირიან შეკრებას ასრულებს. „კაუნასში" ორი ქართველი ფეხბურთელი დარჩა: **აკაკი ხუბუტია და ნუკრი მანჩხავა.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პრესკონფერენცია

# შოთა არველაძე: მინდოდა ნაკრებთან ერთად ევროპის ან მსოფლიო ჩემპიონატზე მეთამაშა

## ის კვლავ 11 ნომერი იქნება

კვირაზე ნაკლები და დიდი ფეხბურთიდან **შოთა არველაძის** გამოსათხოვარი მატჩი გაიმართება. გუშინ, კაფე "მსოფლიო სპორტში" ამ თემაზე პრესკონფერენცია გაიმართა. მასმედიის წინაშე **შოთა და არჩილ არველაძეები, ლიზი ბაგრატიონი** და **პაატა ბურჯალიანი** წარდგნენ.

- ყველანი 3 ივნისის მატჩის ორგანიზებაზე ვართ გადართულები. ამ შეხვედრას არაერთი სპონსორები ჰყავს. დიდი მადლობა მინდა მოვახსენო დედაქალაქის მერიას, ეროვნული სტადიონისა და თბილისის აეროპორტის ხელმძღვანელობას... მხარდაჭერისთვის დიდად მადლიერი ვარ პრესისა და ტელევიზიის. დიდი მადლობა! მადლობა სპონსორებს - "საქართველოს ბანკს", "ჯეოსელს", "პეპსის", "იბერია ბიზნეს ჯგუფს", "ყაზბეგს", "აირზენას", "ბადაგონს", "შერატონ მეტეხი პალასს"... კაზინო "აჭარამ" დიდი დახმარება გაგვიწია, სწორედ მისი თანადგომით ხორციელდება ჩარტერული რეისი, რომელიც დანიიდან 3 ივნისის მატჩის მონაწილე ვარსკვლავებს ჩამოიყვანს, - აღნიშნა შოთა არველაძემ.



შოთა და არჩილ არველაძეები

ნუგზარ სუარიძის ფოტო

**პაატა ბურჯალიანი:**

- ბუნებრივია, გავითვალისწინეთ მასმედიის ინტერესი მატჩისა და მონაწილეების მიმართ, 2 ივნისს, 17:30 სთ-ზე ამსტერდამი-თბილისის ავიარეისით, მატჩის მონაწილეთა დიდი ჯგუფი გვეწვევა და აეროპორტში შესაძლებელი იქნება მათთან გასაუბრება. იმავე დღეს მოსკოვიდან ჩამოფრინდებიან ანდრეი კანჩელსკისი და რუსი ჟურნალისტი ვასილი უტკინი, გვიან ღამით კი დანიიდან ლაუდრუპი და სხვა მონაწილეები გვეწვევიან. 3 ივნისს, 12 საათზე "შერატონ მეტეხი პალასში" ამ თამაშის მონაწილეთა პრესკონფეენცია შედგება.

რაც შეეხება ბილეთებს, მათი ფასი 5, 7 და 10 ლარი იქნება და ეროვნული სტადიონის სალაროებში 31 მაისიდან გაიყიდება. ინტერესი დიდია და ყველას ვთხოვდი ბოლო დღისთვის ნუ გადადებთ ბილეთების შეძენას. რამდენიმე ბილეთის მსურველებმა ტურისტულ კომპანია "GFF-თრეველს" უნდა მიმართონ.

**ლიზი ბაგრატიონი:**

- კომპანია "ბადაგონისთვის" ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ვარსკვლავების მატჩის სპონსორი ვართ. ვარსკვლავებს, რომლებიც თბილისში ჩამოვლენ სურთ საკუთარი თვალით ნახონ და აღიქვან ის ქვეყანა, რომელმაც მსოფლიო ფეხბურთს შოთა არველაძე აჩუქა. შოთასთვის და სტუმრებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია სავსე სტადიონი და იმედი მაქვს, 3 ივნისს ეროვნული სტადიონის ტრიბუნებზე ანშლაგი იქნება. ასე რომ, ისიამოვნეთ ამ თამაშით და მიირთვით "ბადაგონი"!

ეროვნული სტადიონის მოედანი კარგ მდგომარეობაშია და მადლობა ირაკლი მეძმარიაშვილსა და მიშა ასათიანს. პირადად ვეუბნები მადლობას ილიკო სუხიშვილს...

მერე კი კითხვა-პასუხები გაჩაღდა, რომლის ადრესატიც შოთა არველაძე იყო:

**- დიდი ფეხბურთიდან მიდიხართ. რაზე გწყდებათ გული?**

- ეროვნული ნაკრების რიგებში დიდ წარმატებას ვერ მივაღწიე. ძალიან მინდოდა, ევროპის ან მსოფლიო ჩემპიონატზე მეთამაშა. ამასთან, მინდოდა, ჩემპიონთა ლიგა მომეგო, მაგრამ...

**- ვარსკვლავების მატჩზე იყავით მიწვეული, მაგრამ არ ჩასულხართ...**

- რუმინეთში პოპესკუსა და ჰაჯის გუნდების მატჩზე მიმიწვიეს, მაგრამ, 3 ივნისის თამაშის ორგანიზებით ვარ დაკავებული და ჩასვლა ვერ მოვახერხე. 9 ივნისს, იაპონიაში, ერთ-ერთი ადგილობრივი ვარსკვლავის თამაშზეც ვარ მიპატიჟებული, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცი შევძლებ თუ არა ტოკიოში ჩასვლას.

**- ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ რას აპირებთ?**

- ფეხბურთს ვერ შეველევი და ისევ ამ სფეროში დავრჩები. ვან გაალისგან თანაშემწის რანგში სერიოზული წინადადება მივიღე, მაგრამ ჯერ კიდევ არ მაქვს გადაწყვეტილი რას ვიზამ.

**- მატჩს ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თუ დაესწრება?**

- ჩემთვის დიდი პატივი იქნება, თუ პრეზიდენტი დროს გამონახავს და თამაშზე მოვა. ერთსაც აღვნიშნავდი, მატჩის დაწყებამდე 15 წუთით ადრე, ერთ სიურპრიზს შევთავაზებთ გულშემატკივარს. ეს არ იქნება ცეკვა, სიმღერა ან შოუს ელემენტი. ეს მიკავშირდება მე, ბურთსა და მოედანს.

**- მოპატიჟებული ვარსკვლავები ყველა ჩამოვა თუ რამე შეიცვალა?**

- დავიდსი და ლანზაატი ჩამოდიან. ვან დერ საარი ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს და ჩამოსვლას ვერ ახერხებს. შტეფან კლოსს ძმისშვილის ნათლობა აქვს, კრისტიან ნერლინგერი მიუნხენის "ბაიერნის" ტექნიკურ დირექტორად დანიშნეს და ზუსტად 3 ივნისს ლიცენზირებაში გამოცდა აქვს. ჩამოსვლას ვერ ახერხებს თურქი მწვრთნელი შენოლ გიუნეში...

რუსეთიდან ჩვენი მეგობარი, მომღერალი ირაკლი ფირცხალავაც ჩამოვა...

**- გუნდების მწვრთნელები ვინ იქნებიან?**

- ჩვენს გუნდს ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი და მურთაზ ხურცილავა უხელმძღვანელებენ. ჩემი მეგობრების კრებულს კი მორტენ ოლსენი და ლუის ვან გაალი.

**- მსაჯები ვინ იქნებიან?**

- მთავარი მსაჯი ფანიაშვილი იქნება, ლაისმენები მიქელაძე და მენთეშაშვილი, მეოთხე მსაჯი კი ვადაჭკორია. მატჩის დირექტორი შოთა ბაქრაძე გახლავთ.

**- რა ფერის ფორმებით ითამაშებენ მეტოქე გუნდები?**

- ეროვნული დროშის ფერები შევარჩიეთ. სტუმრები წითლებში, ჩვენი ნაკრები კი თეთრებში იასპარეზებს.

**- რა ნომრით ითამაშებთ?**

- 11 ნომრით ვითამაშებ, პირველ ტაიმში მეგობრების მხარეს ვიქნები, მეორეში კი საქართველოს ნაკრებში ვითამაშებ და გამოვეთხოვები ქართველ გულშემატკივარს... თუ გაჭირდა პირველ ტაიმშივე გადმოვირბენ ჩვენი ნაკრების მხარეს (იცინის)...

**- იქნებ თქვენი მეგობრების ნაკრები ჩამოგვითვალოთ...**

- დანიიდან მიქაელ და ბრაიან ლაუდრუპები, ჰოლანდიიდან რონალდ და ფრანკ დე ბურები, აარონ ვინტერი, დენი ლანზაატი, არგენტინელი კლაუდიო კანიჯა, ნიგერიელი ტიჯანი ბაბანგიდა, თურქი თულუნაი, რუსი კანჩელსკისი... და სხვები... არ მინდა ვინმე გამომრჩეს. საბოლოო სია ფონდი "არველაძის" ვებგვერდზე მალე გამოქვეყნდება.

### შოთა უკანასკნელ სამურაის გააცილებს

**შოთა არველაძეს** ფეხბურთიდან ლამის მთელი საქართველო გააცილებს. ქართული ფეხბურთის ვეტერანი ვარსკვლავი ფეხბურთელებში დიდი სიყვარულით სარგებლობს და ისინიც გამოსამშვიდობებელ მატჩში მონაწილეობით პატივისცემას კიდევ ერთხელ გამოხატავენ.

**- ქართველი ფეხბურთელებიდან მატჩზე ვინ მოიწვიე?**

- სულ 33 ფეხბურთელი. თითქმის ყველა ის ადამიანი, ვისთან ერთადაც საქართველოს ნაკრებში მითამაშია: ცხადაძე, შელია, ქეცბაია, გოგიჩაიშვილი, ანჩაბაძე, ზოიძე, ჯამარაული, ნემსაძე, ყაველაშვილი, ტყებუჩავა, ქინქლაძე, ჩიხრაძე, ინალიშვილი, ცქიტიშვილი, გახოკიძე, კიკნაძე, ალექსიძე, იაშვილი, კობიაშვილი, ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი, მუჯირი, რეხვიაშვილი, მჭედლიძე, ყენია... მოკლედ, საქართველოს ნაკრებში სულ 33 ფეხბურთელი ითამაშებს.

**- რაც ყველაზე მეტად გვაინტერესებს, 3 ივნისს, თბილისში ლუიშ ფიგუ თუ ითამაშებს?**

- არ ვიცი, უნდა წავსულიყავი მის სანახავად, მაგრამ აქ იმდენი საორგანიზაციო საკითხი იყო გადასაწყვეტი, ვერ მოვახერხე. 9 ივნისს ფიგუ იაპონიაში, ერთ-ერთი იაპონელი ფეხბურთელის გამოსამშვიდობებელ მატჩზეა მიწვეული. სხვათა შორის, მე და აჩიკოც მიგვიწვიეს.

**- რომელი იაპონელი ფეხბურთელის გაცილებაზე გიწვევენ?**

- რა ვიცი, მგონი, უკანასკნელ სამურაის აცილებენ (იცინის).

**- მოკლედ, ფიგუს სანახავად ვერ წახვედი?**

- ვერც წავედი და ნორმალურად დალაპარაკებაც ვერ მოვახერხე. გული მწყდება, მაგრამ არაა გამორიცხული, მაინც ჩამოვიდეს. იაპონიაში პირობა მისცა, რომ ითამაშებდა და დროში როგორ მოესწრება, არ ვიცით.

**- ექვს დღეში ვერ გაფრინდება?**

- აქ ხომ რეისების დიდი ნაწილი ღამით სრულდება და ეს პრობლემას ქმნის.

**- კიდევ ვინ ჩამოდის?**

- ჯერ კიდევ ველოდები პასუხებს. საკმაოდ ბევრი, კარგი ფეხბურთელი ჩამოვა.

**- რაც შეეხება შენს მომავალს, „ალკმაარში" ვან გაალის ასისტენტად შენი დანიშვნა გადაწყვეტილია?**

- ჯერ კონტრაქტი არ გამიფორმებია, მაგრამ თავად თქვა ტელევიზიით, შოთა ასისტენტად უნდა დავნიშნოო. თუმცა ჯერ ლიცენზიის პრობლემა მაბრკოლებს.

**დავით ცაბაძე**
**მერაბ მამულაშვილი**

ქართული ფეხბურთი

## აპელაცია უმაღლესში მოსაწყობად

ეროვნული ჩემპიონატის დამდეგ სეზონში უმაღლესი ლიგა თორმეტგუნდა უნდა იყოს. თუმც ეს იმას როდი ნიშნავს, რომ გუნდების რაოდენობაში ცვლილებები გამორიცხულია.

უეფას მოთხოვნაა, ვინც ლიცენზირებას ვერ გაივლის, უმაღლესში ვერ ითამაშებს. შევიტყვეთ, რომ თორმეტი გუნდიდან ორი ვერ აკმაყოფილებს ლიცენზირების პირობებს. ლიცენზირების კომიტეტში გვითხრეს, ამ ეტაპზე არ გვაქვს უფლება ეს ინფორმაცია დავადასტუროთ ან უარვყოთო. ყველაფერი დღეს გაცხადდება, როცა სააპელაციო სხდომა გაიმართება.

ახლავე შეიძლება ითქვას, რომ რამდენიმე გუნდი იმავე სტადიონზე ვერ ითამაშებს, განვლილ სეზონში რომ თამაშობდა. მიხეილ მესხის სახელობის და ეროვნულ სტადიონზე თუ მანამდე თითო-თითო გუნდი თამაშობდა, შესაბამისად "დინამო" და "ლოკომოტივი", 2007-08 სეზონიდან ამ სტადიონებზე სავარაუდოდ ორ-ორი გუნდი ითამაშებს. მაგალითად, "ვიტ ჯორჯიის" სტადიონი მცხეთაში ვერ აკმაყოფილებს სალიცენზიო მოთხოვნებს და გუნდი დამდეგ სეზონში ან ''ეროვნულზე" ითამაშებს, ან - "მიხეილ მესხზე".

**დავით თავართქილაძე**

## ბერაიამ თურანი უმაღლესში დატოვა

გუშინ აზერბაიჯანის ჩემპიონატის ბოლო ტურის სამი მატჩი გაიმართა, ერთი კი არ შედგა – **გიორგი ადამიას** „ნეფთჩის" არ გამოუცხადდა ბოლოადგილოსანი აზნ. ასე რომ „ნეფთჩიმ" 55 ქულით მესამე ადგილზე დაასრულა ასპარეზობა. გიორგი ადამიამ 9 გოლით დაასრულა ჩემპიონატი, თუმცა პირველ წრეში მან ნახევარდაცვაში ითამაშა (6 გოლი მეორე წრეში).

ბოლო ტურის მთავარი ინტრიგა გუშინ ის იყო, რომელი გუნდი გავარდებოდა „გენჩლერბერლიი" თუ „თურანი". თაუზის „თურანი" „ბაქის" სტუმრობდა და უმაღლესში დასარჩენად ქულაც ჰყოფნიდა – ქართველი ნახევარმცველის, **ირაკლი ბერაიას** წყალობით გუნდმა მიზანს მიაღწია. უკვე მეხუთე წუთზე ქართველმა დააწინაურა „თურანი", ხოლო მე-19 წუთზე მან პატარა შოუ მოაწყო მოედანზე – ფინტებით ორ მცველს გაცდა, შემდეგ კი მეკარეს მოუგო დუელი – 0:2. „ბაქი" მხოლოდ ამის შემდეგ გამოცოცხლდა, რაც, გარკვეულწილად, **ამირან მუჯირის** დამსახურებაცაა – საბოლოოდ 2:2 (პერესმა დუბლი შეასრულა). „თურანმა" 18 ქულით ტურნირი მე-12 ადგილზე დაასრულა. **კახი ცხადაძის „სტანდარდმა"** პირველ ლიგაში გზა დაულოცა „გენჩლერბერლიის" - 3:2. ცხადაძემ „სტანდარდი" უკვე დაწყებულ ჩემპიონატში ჩაიბარა და ტურნირი 32 ქულით მე-9 ადგილზე ჩაამთავრა. გუშინ **ვაჟა ლომაშვილისა** და **ბორის გონჩაროვის** „მასალიმ" 4:1 გაანადგურა „ქარვანი", სადაც **ალექსანდრე ინწკირველი, გოჩა ტრაპაიძე** და **რომან ახალკაცი** გამოდიან. „მასალი" 30 ქულით მე-10 ადგილზე გავიდა, მას „ქარვანი" მოყვა – 23 ქულით. დღეს კიდევ ორი მატჩი გაიმართება და აზერბაიჯანის ჩემპიონის ვინაობაც გაირკვევა. „ოლიმპიკი" **გოგა ბერაიას** „ყარაბახს" მასპინძლობს, „ინტერი" კი „კაბალას", სადაც ჯერჯერობით ოთხი ქართველი ლეგიონერი თამაშობს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბავშვთა ფეხბურთი

## სტეფანიას თასი იბერიელებს



შარშან, **კოტე მახარაძის** თასი, ახლა კი ამ ბიჭებმა **თამაზ სტეფანიას** სახელობის ტურნირი მოიგეს და მთავარი პრიზი დაიმსახურეს. 1993-წლიანთა 28 გუნდიდან ფინალში "ვიტ ჯორჯიამ" და "იბერია-ამერმა" გაალწიეს. გადამწყვეტი მატჩი თენგიზ სულაქველიძის სახელობის საერთაშორისო აკადემიის სპორტკომპლექსში გაიმართა და **ელგუჯა გუზიტაშვილის** "იბერია-ამერმა" 3:0 მოიგო. **ლევან კოშაძემ** დუბლი მიითვალა, ერთიც **სერგო ქავთარაძემ** გაიტანა.



გუშინ, თბილისის ფეხბურთის ფედერაციაში გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი შედგა. დედაქალაქის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **რევაზ მგელაძე** ჭაბუკებს თამაზ სტეფანიას პიროვნებასა და ტალანტზე ესაუბრა.

გამარჯვებული გუნდის, " შემადგენლობა ასეთია: **გიგა გიგაური, გიორგი ყაველაშვილი, ოთარ ხუციშვილი (კაპ.), ლაშა ბიბილაშვილი, შალვა ყურაშვილი, კოკა ნიქაბაძე, მიხეილ ხაჩიძე, ლევან კოშაძე, სერგო ქავთარაძე, ხვიჩა აბაშიძე, ზურაბ ბერიანიძე, ნიკა ფარულავა, ნოდარ თურქაძე, ვახტანგ ლომიშვილი, გიორგი პაპავა, ირაკლი ბადაშვილი, ლაშა მელითაური, ბესო ლარიბაშვილი, შოთა გოგოლაძე, ცოტნე ქარჩავა, ბექა დანელია.**

დაბოლოს, აღსანიშნავია ისიც, რომ "იბერია-ამერს" მალე კიდევ ერთი პრინციპული მატჩი ელის - 8 ივნისს საქართველოს ჩემპიონობისთვის დასავლეთი საქართველოს გამარჯვებულს დაუპირისპირდება. დასავლეთ საქართველოში გათამაშებას 4 გუნდი შემორჩა - ქუთაისის "კოლხა", ბათუმის "ლუკა", ზუგდიდის "ბაია" და ფოთის "კოლხეთი".

**დავით ცაბაძე**

## რევაზ ძოძუაშვილს უგანდის ნაკრები შესთავაზეს

### ოფიციალურ მიწვევას დაველოდები და სიამოვნებით ვიმუშავებ



საქართველოსა და ლატვიის ეროვნული ნაკრებების ყოფილი მთავარი მწვრთნელი **რევაზ ძოძუაშვილი**, შესაძლოა, მალე სამუშაოდ აფრიკაში წავიდეს. ეს სიახლე საქართველოს ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა **მამუკა წერეთელმა** გაგვიმხილა, რომელიც სააგენტო "გლობალ სპორტის" მენეჯერია:

*„ჩვენს სააგენტოს უგანდის ფეხბურთის ფედერაციიდან დაუკავშირდნენ და უთხრეს, რომ მთავარ მწვრთნელს ეძებენ. საქართველოში მე მთხოვეს კანდიდატურის მოძებნა. იყო რამდენიმე ვარიანტი, მაგრამ საბოლოოდ, რევაზ ძოძუაშვილზე შევჩერდი, რომელსაც ქართველ მწვრთნელებში ყველაზე დიდი სახელი აქვს და რაც მთავარია, უცხოეთში მუშაობის სერიოზული გამოცდილება გააჩნია. საქართველოს ნაკრებშიც უმუშავია და ლატვიის ეროვულ გუნდშიც, საქმიანობდა ყაზახეთშიც და უცხო ქვეყანაში მწვრთნელობა მისთვის სიახლე არაა. შევთავაზეთ და დასაფიქრებლად დრო მოითხოვა. ახლა მოლაპარაკებები პირობებზე მიმდინარეობს."*

კომენტარისთვის რევაზ ძოძუაშვილს დავუკავშირდით.

**- ბატონო რეზო, როგორც შევიტყვეთ, უგანდის ნაკრების მთავარ მწვრთნელობას გთავაზობენ.**

- მოდით, ამაზე ჯერ არ გვინდა საუბარი.

**- დასამალი რა არის? ინფორმაცია "გლობალ სპორტის" წარმომადგენელმა მამუკა წერეთელმა გვითხრა.**

- შემოთავაზება მართლა მივიღე, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილი საქმე არაა.

**- ზოგადად შეგვიძლიათ გვითხრათ, ეს მისაღები ვარიანტია?**

- თუ ოფიციალური მიწვევას გამოაგზავნიან, დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი.

**- აფრიკა ცოტა სპეციფიკური კონტინენტია, უცხო ხალხი, ქვეყანაც უცხოა. მუშაობა სარისკო არაა?**

- რა მოხდა მერე, არაბეთშიც მიმუშავია, ლატვიაშიც, რუსეთსა და ყაზახეთში. მოკლედ, მსოფლიო პრაქტიკა მივიღე და თავისუფლად შემიძლია ვიმუშაო.

**- ცოტა უცნაურია, რომ ამ წინადადებით მოგმართათ ფეხბურთელმა, რომელთანაც, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან ცუდი ურთიერთობა გქონდათ.**

- ცხოვრება ხან ასეა, ხან - ისე. ჩემსა და მამუკას შორის წლების წინათ გაუგებრობა მოხდა. თუმცა დრო გავიდა, ყველაფერი გაირკვა და მიხარია, რომ ჩვენი ურთიერთობა მოგვარდა. ან კიდევ, გასაყოფიც რა გვქონდა? ცხოვრება წინ მიდის და წარსულს დავიწყება უნდა. წყენით ცხოვრება არ შეიძლება.

**- ყაზახეთში თქვენს საქმიანობაზეც ვისაუბროთ. შარშანდელი წარმატებული სეზონის შემდეგ, ყარაღანდის „შახტიორი" წლეულს ძალიან ცუდად გამოიყურებოდა. რატომ ვერ მოახერხეთ კლუბის აწყობა?**

- ყარაღანდელები შარშან მესამე ადგილის დაკავებას არ ელოდებოდნენ. დიახ, გუნდს საკმაოდ სოლიდური ბიუჯეტი გააჩნია, პირობებიც კარგია, მაგრამ რეალურად არ ელოდნენ, გუნდი ამხელა წარმატებას თუ მიაღწევდა. თორმეტი წლის შემდეგ, ჩემი ხელმძღვანელობით მოახერხეს ბრინჯაოს მედლების მოპოვება.

ამისთვის გუნდიც მოუმზადებელი აღმოჩნდა და თავად ქალაქიც. იქ მთავარი ყურადღება ალმაატასა და ასტანაზე აქვთ გადატანილი, ყარაღანდა კი ისევეა, როგორც ჩვენთან, მაგალითად, ტყიბული. ევროპისთვის მზად არც ინფრასტრუქტურით იყვნენ და არც ცოდნით. არადა, ევროპაში გამოჩენა სურდათ.

**- მოდით, გულახდილად ვთქვათ: თამაშის ჩაწყობისთვის ფეხბურთიდან მოკვეთილი ნიდერგაუსის სკანდალს თქვენს წამოსვლასთან რაიმე კავშირი ხომ არ აქვს?**

- მე რა შუაშია ვიყავი, ის თუ რაღაცას აკეთებდა? უბრალოდ, მივხვდი, რომ ყარაღანდის "შახტიორში" სერიოზული წარმატების მიღწევაზე ფიქრი შეუძლებელი იყო. მე ისეთ რაღაცებს არ მოვაწერე ხელი, დროებით რომ ვიხეირებდი, მაგრამ მერე ცუდ დღეში რომ ჩავვარდებოდი. ყველაფერს ვერ დავაკონკრეტებ, მაგრამ აღარ მილირდა მუშაობა. თუმცა ნიდერგაუსის დისკვალიფიკაციამ გუნდზე საკმაოდ ცუდად იმოქმედა.

კარგი ის იყო, რომ 10 თვე უცხოეთში ვიმუშავე და ბევრი რამ გავიგე ყაზახურ ფეხბურთზე, რომელიც საკმაოდ დიდი ტემპით პროგრესირებს. ბოლოს და ბოლოს, „შახტიორის" განვითარებაში ჩემი წვლილი შევიტანე.

**- ყარაღანდელთა პრეზიდენტ გრიგოლ ლორიასთან კონფლიქტი არ მოგსვლიათ?**

- არა, რა კონფლიქტი? წამოსვლის წინ მითხრა, კარგად დაფიქრდი და თუ სურვილი გექნება, შეგიძლია ჩვენთან ნებისმიერ დროს დაბრუნდეო. სხვათაშორის, ყაზახეთში ქართველებზე, ჩეჩნებსა (? რედ.) და პაკისტანელებზე სამთვიანზე მეტი ხანგრძლივობის ვიზას არ გასცემენ. ესეც იყო გარკვეული ფაქტორი. ერთი დღეც რომ გადააჭარბო, დაგაჯარიმებენ.

**- ერთი ვერ გავიგე, მართლა თქვით, რომ წარმატებებს წელის ტკივილის გამო ვერ მიაღწიეთ, თუ თქვენი სიტყვები "შახტიორის" ვებგვერდზე არასწორად იყო ციტირებული?**

- არა, მართლა ძალიან მაწუხებდა. ყაზახეთში და განსაკუთრებით, ყარაღანდაში ისეთი საშინელი კლიმატია, სიმართლე გითხრათ, ცხოვრება ძალიან გამიჭირდა. სულ ქარია, სულ უსიამოვნო ამინდი. სხვათაშორის, ესეც წამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი იყო. საქართველოს შემდეგ ლატვიის ყინვებს შევეგუე, მაგრამ ყაზახეთის ქარიან ამინდებს - ვერანაირად. წელი მარტო მე კი არ მაწუხებდა, იქაური მოსახლეობის უდიდესი ნაწილის პრობლემაა. დაახლოებით ისეა, ჩვენთან ნესტიან რეგიონებში რევმატიზმით ბევრი რომ ავადდება. მერე როგორია წელგაშეშებული მწვრთნელის მუშაობა? თურქეთში შეკრებაზე რომ ამტკივდა, კარგა ხანი ვერ მოვირჩინე. წარმოიდგინეთ თქვენი თავი ასეთ ვითარებაში და მიხვდებით, რა მძიმე მდგომარეობაში ვიყავი.

**- ისევ უგანდას და მიწვევებს დავუბრუნდეთ. აფრიკელების გარდა, სხვაგან მუშაობას არ გთავაზობენ, იგივე, საქართველოში?**

- მიწვევები არის, არაა გამორიცხული, რუსეთში დავბრუნდე. იქ ჩვენი თაობის ფეხბურთელები ჯერ კიდევ ვახსოვართ და ვუყვარვართ. თუმცა მომავალი წლიდან, მწვრთნელად დანიშვნის დროს, პროფლიცენზიას მკაცრად მოითხოვენ და მინდა, გარკვეული დრო, ამ საკითხის მოგვარებას დავუთმო. ყაზახებმა ამაშიც საკმაოდ დიდი სამსახური გამიწიეს. პროფლიცენზიის ასაღებად, კიევში, მწვრთნელთა კურსებზე 8 ათასი დოლარი იყო ჩასარიცხი და ეს ხარჯი ყარაღანდელებმა საკუთარ თავზე აიღეს.

**- ლიცენზიას როდის აიღებთ?**

- უკრაინაში უკვე ვიყავი, ერთი კვირა გავჩერდი და სწავლების პირველი ეტაპი გავიარე. სექტემბერში კი გერმანიაში გავემგზავრები და ლიცენზიასაც იქ ავიღებ. სიმართლე გითხრათ, პატარა პაუზა მჭირდება, ბევრი ვიმუშავე, გადავიღალე და სწავლისთვის ვერ ვიცლიდი, უბრალოდ, დრო არ მქონდა. თუ საშუალება იქნება, ნახევარი წელიწადი მაინც ამ საკითხის მოგვარებას დავუთმობ. სხვანაირად, მთავარ მწვრთნელად ვერ ვიმუშავებ. უფრო სწორედ, ვიმუშავებ, დამარქმევენ სპორტულ ან ტექნიკურ დირექტორს, რეალურად მთავარი მწვრთნელი ვიქნები, მაგრამ სათადარიგოების სკამზე დაჯდომის უფლებას არ მომცემენ. ასე კი მე ვერ ვიმუშავებ, ფეხბურთელებს მითითებებს ვერ მივცემ და ეფექტი არ იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. სეზონის შეჯამება. ზესტაფონი

# მეოთხე ცდაზე გატეხილი ნავსი

ზესტაფონი

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| ს. თოდუა | 26 | 25 | - | 2 | - |
| რ. ონიანი | 25 | 25 | 2 | 2 | - |
| საჯაია | 22 | 22 | 1 | 5 | - |
| კესანი | 21 | 21 | 3 | 6 | 1 |
| ვიეირა | 21 | 20 | 12 | 2 | 1 |
| ბ. გოცირიძე | 21 | 18 | 5 | 1 | - |
| იონანიძე | 21 | 1 | 9 | 2 | - |
| ლობჟანიძე | 20 | 20 | - | 2 | - |
| ბიტოო | 20 | 10 | 3 | 1 | - |
| ჭანტურია (მეკ.) | 18 | 18 | -11 | 2 | - |
| ნ. კვასხვაძე | 17 | 15 | 5 | 1 | - |
| ხიდეშელი | 15 | 7 | - | - | - |
| ყონატასი | 14 | 12 | 2 | - | - |
| შ. ლონლაძე | 14 | 8 | - | - | - |
| კ. ჩხეტიანი* | 12 | 12 | - | - | - |
| ფიფია* | 12 | 9 | 4 | 1 | - |
| გ. ნოდ. ჭელიძე* | 11 | 10 | 8 | 1 | - |
| დაუშვილი | 10 | 7 | - | - | - |
| რ. კვასხვაძე (მეკ.) | 9 | 8 | -5 | - | - |
| ბენაშვილი | 7 | 2 | - | - | - |
| აკუასაგა** | 6 | 6 | - | 1 | - |
| გელაშვილი** | 6 | 3 | 2 | 1 | - |
| გ. ნუგ. ჭელიძე* | 4 | 3 | - | - | - |
| გაგა ჩხეტიანი* | 3 | 3 | - | - | - |
| სანტოსი** | 3 | 1 | - | - | - |
| საცერაძე | 2 | - | - | - | - |
| ხუმარაშვილი | 1 | - | - | - | - |
| გელაჭეიშვილი | 1 | - | - | - | - |
| ჯანელიძე** | 1 | - | - | - | - |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 26 | 23 | 1 | 2 | 67-18 | 70 |
| 2. ვიტ-ჯორჯია | 26 | 19 | 3 | 4 | 45-14 | 60 |
| ***3. ზესტაფონი*** | ***26*** | ***18*** | ***5*** | ***3*** | ***56-16*** | ***59*** |
| 4. ოლიმპი | 26 | 16 | 4 | 6 | 26-16 | 52 |
| 5. ამერი | 26 | 15 | 3 | 8 | 48-27 | 48 |
| 6. მესხეთი | 26 | 11 | 6 | 9 | 29-30 | 39 |
| 7. მგლები | 26 | 10 | 3 | 13 | 27-33 | 33 |
| 8. სიონი | 26 | 9 | 5 | 12 | 34-35 | 32 |
| 9. ბორჯომი | 26 | 9 | 4 | 13 | 32-39 | 31 |
| 10. ლოკომოტივი | 26 | 7 | 6 | 13 | 27-35 | 27 |
| 11. სპარტაკი | 26 | 5 | 8 | 13 | 15-28 | 23 |
| 12. მერანი | 26 | 6 | 1 | 19 | 15-54 | 19 |
| 13. ბათუმი | 26 | 4 | 4 | 18 | 16-51 | 16 |
| 14. დილა | 26 | 1 | 5 | 20 | 12-53 | 8 |



წლევანდელი სეზონი ზესტაფონელებმა თასის ალებით დააგვირგვინა



თემურ მახარაძე

როგორც იქნა, "ზესტაფონმა" საქართველოს თასი მოიპოვა. საამისოდ კლუბს მეოთხე ფინალი დასჭირდა. სეზონის დასკვნით ნაწილში ფეროელებმა ჩემპიონობის შანსი დაკარგეს და აქცენტი მთლიანად თასის გათამაშებაზე გააკეთეს. აქედან გამომდინარე, დიდი იყო იმის რისკი, რომ გუნდი შარშანდელივით ინტერტოტოს ამარა დარჩენილიყო, მაგრამ ამჯერად "ზესტაფონმა" "ამერს" დამსახურებულად სძლია და ისტორიაში პირველად, უეფას თასზე იასპარეზებს.

საერთო შეფასებით, ამ სეზონში რამდენიმე მოწინავე ქართულმა კლუბმა რეგრესი განიცადა, მაგრამ ეს ფაქტი "ზესტაფონის" მიღწევას ოდნავადაც ვერ აკნინებს. გუნდმა სეზონი სტაბილურად ჩაატარა, თუმცა გაუთვალისწინებელ დანაკარგებს მაინც ვერ ასცდა. ასე რომ არ მომხდარიყო, **თემურ მახარაძე** და მისი ფეხბურთელები ჩემპიონობისთვის ბოლომდე იბრძოლებდნენ.

ჩემპიონატის პირველ ტურში "ზესტაფონი" შინ "ვიტ ჯორჯიასთან" ფრეს დასჯერდა, ამას კი გამარჯვებათა 11-მატჩიანი სერია მოჰყვა. პირველი წრის ბოლო, უპრინციპულესი მატჩი იმერლებმა უმთავრეს კონკურენტ "დინამოსთან" დათმეს და ლიდერობა თბილისელებს გადაულოცეს, მეორე წრის დასაწყისში კი "ვიტ ჯორჯიასთან" განცდილმა მარცხმა ისინი მესამე საფეხურამდე ჩამოაქვეითა. საბოლოოდ, "ზესტაფონი" ბრინჯაოს მედლებს დასჯერდა და პირველად მოხვდა ეროვნული ჩემპიონატის საპრიზო სამეულში.

უმაღლეს ლიგაში მიღწეული დაუმარცხებელი სერიით "ზესტაფონი" მსოფლიო რეკორდსმენთა მარაქაში გაერია. **თემურ მახარაძის** გუნდი "დინამომდე" ზედიზედ 34 მატჩის განმავლობაში იყო უძლეველი და ამ მაჩვენებლით მსოფლიოს საუკეთესო ასეულში მოხვდა.

კლუბის წარმატება იმის გამოცაა ალსანიშნავი, რომ პირველი წრის შემდეგ მისი რიგები რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. "ზესტაფონიდან" წავიდნენ კაპიტანი **კახა ჩხეტიანი**, პირველი წრის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი **გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე**, სეზონის განახლების წინ კი მათ **გოგი ფიფია** და **გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე** მიჰყვნენ. მართალია, გუნდს ახალწვეულებიც ჰყავდა, მაგრამ **ნიკა გელაშვილმა** და **ერნესტ აკუასაგამ** მხოლოდ მეორე წრის დასკვნით მატჩებში ითამაშეს. სეზონის ბოლოსკენ კი ზესტაფონში ბრაზილიელი **ედსონ სანტოსი** დაბრუნდა.

ახალი სეზონის განახლებამდე საკმაო დროა დარჩენილი და ჩვენი უმაღლესი ლიგის ბინადარნი შეძლებისდაგვარად მოემზადებიან სამომავლო ბატალიებისთვის. ჯერჯერობით, გაურკვეველია, სად უმასპინძლებს "ზესტაფონი" უეფას თასზე მეტოქეს. არაა გამორიცხული, ეს ზესტაფონშივე მოხდეს. იმედია, კლუბი ევროპაზე წლეულს უფრო ღირსეულად გამოვა.

### საუკეთესო მატჩი

"ზესტაფონმა" უმაღლეს დონეზე რამდენიმე შეხვედრა ჩაატარა. ამათგან გამოსარჩევი "ამერთან" ფინალია, ასევე ალსანიშნავია "ოლიმპთან" საჩემპიონატო და სათასო მატჩები.

### ყველაზე ცუდი მატჩი

მეორე წრეში "ზესტაფონმა" "მგლებთან", "ლოკომოტივსა" და "სპარტაკთან" დაკარგა ქულები. ამ შეხვედრებში გუნდი ვერ იყო დამაჯერებელი, ისევე როგორც სტუმრად "ვიტ ჯორჯიასთან" (1:2) და შინ "დინამოსთან" (0:1).

### საკადრო პოლიტიკა

გუნდს საკმაოდ დაბალანსებული შემადგენლობა ჰყავს, ყველა რგოლში დიდი კონკურენციაა. დანარჩენი კი მალე გამოჩნდება, როგორც ყველგან, გარკვეული საკადრო ცვლილებები ალბათ "ზესტაფონშიც" მოხდება.

### რჩეულნი

საერთო წარმატებაში ძირითადი შემადგენლობის ყველა ფეხბურთელმა დიდი წვლილი შეიტანა, ამათგან კი ყველაზე მეტად უჩა ლობჟანიძე, პოლ კესანი, ჟილვან ვიეირა და ბექა გოცირიძე უნდა გამოვარჩიოთ. უბერებელმა ზურაბ იონანიძემაც თავისი სათქმელი არაერთხელ თქვა. პირველი წრე უმაღლეს დონეზე ჩაატარა ყონატასმა, მაგრამ ზამთრის შეკრებაზე არ წასულა, რამაც ფორმიდანაც ამოაგდო და ძირითადი შემადგენლობითაც.

### ფინანსური მდგომარეობა

მიუხედავად იმისა, რომ მეორე წრეში თამაშზე "ზესტაფონი" უსახსრობის გამო ამბობდა უარს, ქართული საზომებით, კლუბი ყოველთვის წელგამართული იყო. "ზესტაფონს" განვითარების ხანგრძლივი პროგრამა აქვს".

ლევან ჯანეზაშვილი




I ტური

| | | |
|---|---|---|
| შ | ვიტ ჯორჯია | 1:1 |

გოლი: ვიეირა

II ტური

| | | |
|---|---|---|
| ს | მესხეთი | 2:0 |

გოლები: ვიეირა, ფიფია

III ტური

| | | |
|---|---|---|
| შ | მგლები | 2:0 |

გოლები: იონანიძე (2)

IV ტური

| | | |
|---|---|---|
| შ | ლოკომოტივი | 5:0 |

გოლები: ვიეირა, ბ. გოცირიძე, გ. ნოდ. ჭელიძე, რ. ონიანი, იონანიძე

V ტური

| | | |
|---|---|---|
| ს | დილა | 2:1 |

გოლები: გ. ნოდ. ჭელიძე (2)

VI ტური

| | | |
|---|---|---|
| შ | ოლიმპი | 2:1 |

გოლები: ფიფია (2)

VII ტური

| | | |
|---|---|---|
| ს | სიონი | 2:0 |

გოლები: გ. ნოდ. ჭელიძე, საჯაია

VIII ტური

| | | |
|---|---|---|
| შ | ბორჯომი | 1:0 |

გოლი: გ. ნოდ. ჭელიძე

IX ტური

| | | |
|---|---|---|
| ს | მერანი | 1:0 |

გოლი: იონანიძე

X ტური

| | | |
|---|---|---|
| შ | სპარტაკი | 2:0 |

გოლები: გ. ნოდ. ჭელიძე, რ. ონიანი

XI ტური

| | | |
|---|---|---|
| შ | ბათუმი | 4:0 |

გოლები: გ. ნოდ. ჭელიძე, ყონატასი, ფიფია, იონანიძე

XII ტური

| | | |
|---|---|---|
| ს | ამერი | 2:1 |

გოლები: გ. ნოდ. ჭელიძე, ყონატასი

XIII ტური

| | | |
|---|---|---|
| ს | დინამო | 0:2 |

XIV ტური

| | | |
|---|---|---|
| ს | ვიტ ჯორჯია | 1:2 |

გოლი: ბიტოო

XV ტური

| | | |
|---|---|---|
| შ | მესხეთი | 4:1 |

გოლები: იონანიძე (3), ბიტოო

XVI ტური

| | | |
|---|---|---|
| ს | მგლები | 0:0 |

XVII ტური

| | | |
|---|---|---|
| ს | ლოკომოტივი | 1:1 |

გოლი: ვიეირა

XVIII ტური

| | | |
|---|---|---|
| შ | დილა | 5:0 |

გოლები: ვიეირა (3), ნ. კვასხვაძე (2)

XIX ტური

| | | |
|---|---|---|
| ს | ოლიმპი | 3:0 |

გოლები: ვიეირა (2), ბ. გოცირიძე

XX ტური

| | | |
|---|---|---|
| შ | სიონი | 3:1 |

გოლები: ვიეირა, ბიტოო, იონანიძე

XXI ტური

| | | |
|---|---|---|
| ს | ბორჯომი | 2:0 |

გოლები: ნ. კვასხვაძე, კესანი

XXII ტური

| | | |
|---|---|---|
| შ | მერანი | 6:1 |

გოლები: ბ. გოცირიძე (3), ვიეირა, კესანი, ნ. კვასხვაძე

XXIII ტური

| | | |
|---|---|---|
| ს | სპარტაკი | 2:2 |

გოლები: კესანი, გელაშვილი

XXIV ტური

| | | |
|---|---|---|
| შ | დინამო | 0:1 |

XXV ტური

| | | |
|---|---|---|
| ს | ბათუმი | 0:0 |

XXVI ტური

| | | |
|---|---|---|
| შ | ამერი | 3:1 |

გოლები: ვიეირა, ნ. კვასხვაძე, გელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერი

# გვეშველა: ამაური იუვენტუსშია

## აძურის ყოფილი ვარსკვლავი ჯანკარლო ანტონიონი ფიქრობს, რომ ბრაზილიელი ფორვარდი ძირითადიდან დელ პიეროს ან ტრეზეგეს ამოაგდებს

ესეც ასე, ერთწლიან საგას წერტილი დაესვა: **კარვალიო ამაური** ტურინში ჩაფრინდა, "ფორნაკას" კლინიკაში სამედიცინო შემოწმება გაიარა და 4-წლიანი კონტრაქტიც გააფორმა. ბრაზილიელი ფორვარდი წლიურად 4.1 მილიონ ევროს მიიღებს. მას თან ახლდნენ აგენტები, ძმები - **ვიტორიო** და **მარიანო გრიმალდები**. ისინი "იუვენტუსის" გენერალურ მენეჯერ **ჟან-კლოდ ბლანს** შეხვდნენ. მანამდე, ამაურის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა პრესას მოკლედ მოუჭრა: *"ყველაფერი გადაწყვეტილი და მოგვარებულია. ახლა დავსხდებით, გავისაუბრებთ და თითოეულ დეტალებს სისტემაში მოვიყვანთ".*

მოკლედ, ყველას ერთად ეშველა: ამაურისაც, "იუვენტუსსაც", ჩვენც და თქვენც, ძვირფასო მკითხველებო. ახლა, როცა ტრანსფერი განხორციელდა, ექსპერტიზის დროც დადგა. საინტერესოა, რას ფიქრობენ სპეციალისტები? როგორ მოახერხებს **კლაუდიო რანიერი** შეტევაში **ალესანდრო დელ პიეროს, დავიდ ტრეზეგესა** და ახალწვეულ ამაურის განაწილებას? ვინ შეიძლება იყოს ამათგან ზედმეტი? არ დაგვავიწყდეს, რომ "იუვენტუსს" **ვინჩენცო იაკვინტა** და **რაფაელე პალადინოც** ჰყავს. მოსალოდნელია, რომ ამ ზაფხულს ერთ-ერთი მათგანი "ქალბატონს" აუცილებლად დატოვებს.

სპეციალისტთაგან, პირველმა აზრი **ჯანკარლო ანტონიონიმ** გამოთქვა.



ამაურის იუვენტუსი ელირსა

"სკუადრა აძურას" ყოფილი ლეგენდა დარწმუნებულია, რომ ამაური დელ პიეროს ან ტრეზეგეს ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდებს. ანტონიონის აზრით, 27 წლის ბრაზილიელი, რომელიც წინააღმდეგი არაა, იტალიის ნაკრებში ითამაშოს, "იუვენტუსისთვის" ბრწყინვალე შენაძენია. აი, მისი მოსაზრებაც:

*"ტურინელებმა შესანიშნავი ფეხბურთელი აიყვანეს. ეს იმას ნიშნავს, რომ "იუვენტუსის" მესვეურები ამაურის ძირითადი შემადგენლობისთვის მოიაზრებენ. გამოდის, რომ თავდასხმაში ორი ადგილიდან ერთი მან უნდა დაიკავოს. და დარწმუნებული ვარ, ამ ორიდან ერთი, დელ პიერო ან ტრეზეგე, სასტარტოში ადგილს დაკარგავს. ჩემთვის წარმოუდგენელია, სამივემ ერთად ითამაშოს".*

ალდგომა და ხვალეო, ნათქვამია. ფაქტი კი ესაა: ახლახან დასრულებულ სეზონში დელ პიერომ და ტრეზეგემ ერთად 41 გოლი (საერთო გუნდური მონაგარის ნახევარზე მეტი) გაიტანეს. ამაურის ანგარიშზე 15 გოლია. ჯერჯერობით, ალექსსა და დავიდს უკეთესი სასტარტო პოზიციები აქვთ. ვნახოთ, დაიწყება ახალი სეზონი და გამოჩნდება, მოერგება თუ ვერა ამაური "იუვენტუსს". ისე კი, ადვილი არ არის 27 წლის ასაკში დამკვიდრდე ესოდენ პრესტიჟულ და ამბიციურ კლუბში, როცა ზურგსუკან ამის გამოცდილება არ გაქვს...

---

სიენა

# ჯამპაოლო ბერეტას ნაცვლად

"სიენას" მწვრთნელად **მარკო ჯამპაოლო** დაინიშნა. ამ პოსტზე მან ცოტა ხნის წინათ გადამდგარი **მარიო ბერეტა** შეცვალა. ბერეტასთან ერთად, "სიენამ", სტატუსის კვალობაზე, ნორმალური სეზონი ჩაატარა (მე-13 ადგილი, 44 ქულა). ტოსკანურმა გუნდმა სერია A-ში ადგილის შენარჩუნების პრობლემა ჩემპიონატის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე გადაჭრა. საგულისხმოა ისიც, რომ "სიენამ" პირველ სამეულს 10 ქულა აართვა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო "რომასთან" გამარჯვება (3:0), ასევე, მილანური ფრე (2:2) "ინტერთან", რამაც მომავალ ჩემპიონს სკუდეტოს ზეიმი ერთი კვირით გადაუვადა.

მოკლედ, "სიენა" საჩუქარი არავისთვის ყოფილა და 42 წლის ჯამპაოლოსაც საქმის დაწყება ნულიდან არ მოუწევს. ის მუშაობდა "კალიარისა" და "ასკოლიში", სადაც გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. ახალ დამრიგებელს მედიის წინაშე დღეს წარადგენენ.



მარკო ჯამპაოლო

---

მოსალოდნელი ტრანსფერი

# რა დაუჯდება რეალს კრისტიანო რონალდო?

## მანჩესტერელები პორტუგალიელის სანაცვლოდ 50 მილიონ ფუნტს, დიარას, რობინიოსა და სერხიო რამოსს ითხოვენ

**კრისტიანო რონალდო** ამ პრეტემპორადის მთავარი მოქმედი პირი გახდება. უკვე რამდენიმე თვეა, მომაბეზრებელი საპნის ოპერის მომსწრეები ვართ. სამეფო კლუბი პორტუგალიელი ვარსკვლავის გადაბირებას უშედეგოდ ცდილობს. მანჩესტერი მადრიდელ კოლეგებს ყოველმხრივ ეწინააღმდეგება. მიუხედავად ამისა, "რეალის" მესვეურები თავისას არ იშლიან და ბრძოლას აგრძელებენ. **რამონ კალდერონის** ბოლო წინადადება საკმაოდ საინტერესოა. ესპანური გიგანტის პრეზიდენტი რონალდოს წლიური გასამრჯელოს სახით 9.5 მილიონ ფუნტს სთავაზობს. "რეალის" ფეხბურთელებისთვის ეს უპრეცედენტოდ დიდი ხელფასია. მიუხედავად ამისა, კრისტიანო პასუხის გაცემას აგვიანებს. გაჭიანურებული მოლაპარაკებით დაღლილმა კალდერონმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა: *"ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ რონალდო "რეალის" უპირველესი სამიზნეა. ჩვენ გულმოდგინედ ვმუშაობდით, უამრავი ვარიანტი შევიმუშავეთ და "მანჩესტერს" ყველაფერი გულწრფელად გავუზიარეთ. "რეალის" დაინტერესების შესახებ რონალდოც ამომწურავ ინფორმაციას ფლობს. თავდაპირველად ინგლისელებს 125 მილიონი ევრო შევთავაზეთ, შემდეგ ეს თანხა კიდევ უფრო გავზარდეთ. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ სამეფო კლუბმა ამ ტრანსფერზე მუშაობა დაასრულა. მეტს ვერაფერს გავაკეთებთ. ახლა ჯერი ჩვენს კოლეგებზეა. მანჩესტერელებმა უნდა გადაწყვიტონ, ულირთ თუ არა კრისტიანოს გაშვება. რა თქმა უნდა, თავად რონალდოს პოზიციაც ძალიან მნიშვნელოვანია."*

რამონ კალდერონმა პორტუგალიელ ვარსკვლავს მართლაც ფანტასტიკური წინადადებით მიმართა. ცნობილია, რომ ფეხბურთელები კომერციული საქმიანობით ხელფასზე გაცილებით დიდ ფულს შოულობენ. როგორც წესი, მათ კლუბები წილში უზიან. სამეფო კლუბის პრეზიდენტი მნიშვნელოვან დათმობაზე წავიდა. იმ შემთხვევაში, თუ რონალდო "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადაბარგდება, ესპანური ბაზრისთვის განხორციელებული კომერციული საქმიანობიდან შემოსული თანხის 50 პროცენტს მიიღებს. ხოლო თუ რეკლამა არა ესპანეთისთვის, არამედ მსოფლიოს ნებისმიერი სხვა ქვეყნისთვის დამზადდება, კრისტიანო თანხის 100 პროცენტს მიიღებს. შეუძლებელია, ამ წინადადების მოსმენის შემდეგ პორტუგალიელი არ დაფიქრებულიყო. ალბათ, თავად "მანჩესტერის" მესვეურებიც სერიოზულად ფიქრობენ...



კრისტიანო რონალდო

ესპანურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "წითელი ეშმაკების" ინკოგნიტო ემისარმა **პრედრაგ მიატოვიჩი** ნისლიან ალბიონზე დაპატიჟა. "დიარიო ასსა" და "დიარიო მარკას" თუ დავუჯერებთ, გენერალური დირექტორი გასულ უქმეებზე მანჩესტერში იმყოფებოდა. ინგლისელი კოლეგებისგან მან კონკრეტული წინადადება მიიღო. "იუნაიტედი" მზადაა, რონალდო დათმოს, თუმცა სანაცვლოდ 50 მილიონ ფუნტს, **მაჰამადუ დიარას, სერხიო რამოსსა** და **რობინიოს** ითხოვს. მადრიდელთა პასუხი უცნობია. სამწუხაროდ, მიატოვიჩმა ჟურნალისტების მრავალი მცდელობის მიუხედავად, ამ თემაზე ერთი სიტყვაც არ დაძრა. ექსპერტებს ისღა დარჩენიათ, მკითხველებს თავიანთი ვარაუდი შესთავაზონ. ალსანიშნავია, რომ დიარას, რობინიოსა და სერხიო რამოსის საერთო ღირებულება 115 მილიონ ევროს აჭარბებს. ძნელი წარმოსადგენია, რამონ კალდერონი ბრიტანელი კოლეგების წინადადებას დათანხმდეს. ტრანსფერის მთლიანი ღირებულება თითქმის 200 მილიონ ევროს აღწევს. სამეფო კლუბის პრეზიდენტი გიჟი უნდა იყოს, ასეთ ავანტიურაზე რომ წავიდეს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

---

ტრანსფერი

# კეიტა და პიკე ბარსაში

ხელმოცარული "ბარსელონის" ხელმძღვანელობა მომავალი სეზონისთვის შემადგენლობის გაძლიერებას შეუდგა. კატალონიური გრანდის გენერალურმა დირექტორმა, **ჩიკი ბეგირისტაინმა** ორი ფეხბურთელი გადაიბირა. პირველ რიგში, **ჟერარდ პიკეზე** მოგახსენებთ. 21 წლის კატალონიელი "ბარსას" კანტერის აღზრდილია. თუმცა, ბედმა ის "მანჩესტერ იუნაიტედში" მოახვედრა. პიკემ 2006-07 წლების სეზონი იჯარის წესით "სარაგოსაში" გაატარა და მიმომხილველების საკმაოდ კარგი შეფასებაც დაიმსახურა. სამწუხაროდ, კატალონიური პრესა გარიგების ფინანსურ დეტალებს არ გვატყობინებს. ჯერჯერობით, მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ პიკემ "ბარსელონას" 2012 წლის 30 ივნისამდე დაუკავშირა ბედი. ახალგაზრდა ფეხბურთელი უზომოდ კმაყოფილი და ბედნიერია: *"მიხარია, რომ ჩემ მშობლიურ კლუბში დავბრუნდი. ფეხბურთის თამაში სწორედ აქ ვისწავლე. "ბარსელონის" ხელმძღვანელობის მიერ გაცემულ ავანსებს ნებისმიერ ფასად გავამართლებ. თავს არ დავზოგავ და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ძირითად შემადგენლობას გავუშინაურდე. რა თქმა უნდა, კონკურენცია ძალიან დიდია, მაგრამ ჩემ შესაძლებლობებში ეჭვი არ მეპარება. "ბარსა" მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი უპირველესი ფლაგმანია. მჯერა, აქ უდიდეს კარიერას გავიკეთებ."*

ბეგირისტაინის მეორე შენაძენი **სეიდუ კეიტა** გახლავთ. კატალონიელებმა ის "სევილიიდან" 14 მილიონ ევროდ შეიძინეს. ჟერარდ პიკეს მსგავსად, "კამპ ნოუზე" სეიდუც 2012 წლის 30 ივნისამდე ითამაშებს. ბეგირისტაინი დარწმუნებულია, რომ კლუბის ახალწვეული გუნდის თამაშს მნიშვნელოვნად გააძლიერებს. **დეკუს** წასვლა ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. ამიტომ, ვაკანსია დროის უმცირეს მონაკვეთში უნდა შევსებულიყო. კეიტას "კამპ ნოუზე" მოსვლა გვაფიქრებინებს, რომ დეკუს დღეები მართლაც დათვლილია.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. მოსამზადებელი ეტაპი

# ვან პერსის ევროპისთვის ინახავენ

## არაგონესი ტრანსფერების გამო წუხს, როსიცკი უიფალუშმა შეცვალა, ჰიდინკმა კი საბოლოო შემადგენლობა ჩამოწერა



რობინ ვან პერსი

### ჰოლანდია

**რობინ ვან პერსი** დანიასთან ხვალინდელ მატჩში არ ითამაშებს. მარკო ვან ბასტენმა გადაწყვიტა, დაშავებული ნახევარმცველი ევროპის ჩემპიონატისათვის შემოინახოს. „არსენალის" 24 წლის ვარსკვლავი ჰოლანდიელთა საკვანძო ფეხბურთელია. მწვრთნელი მასზე დიდ იმედებს ამყარებს. ვან პერსიმ ნაკრებში 23 მატჩი ჩაატარა და შვიდი გოლი შეაგდო. მას მძიმე სეზონი ჰქონდა. ფეხბურთელმა მუხლის, ბარძაყისა და კოჭის ტრავმები გადაიტანა და ლონდონელთა არაერთი მატჩი გამოტოვა. ვან პერსისაგან განსხვავებით, დანიელებთან ითამაშებს "რეალის" სამი ვარსკვლავი — **არიენ რობენი, ვესლი სნეიდერი** და **რუუდ ვან ნისტელროოი**. ნაკრებშია „მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე **ედვინ ვან დერ სარი**, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ფინალის გამო, შეკრებას სამი დღით გვიან შეუერთდა. ამ ოთხეულს შაბათს, უკრაინის წინააღმდეგ (3:0) არ უთამაშია.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ვან ნისტელროოის მისი და ვან ბასტენის ურთიერთობის შესახებ ჰკითხეს. „რეალის" თავდამსხმელმა მიუგო, ჩვენ მეგობრები არა ვართ და მხოლოდ პროფესიული ურთიერთობა გვაკავშირებსო. 2006 წლის მუნდიალის მერვედფინალში, პორტუგალიასთან მატჩისას (0:1), ვან ნისტელროოი თადარიგში დასვეს. მას საერთოდ არ უთამაშია. განაწყენებულმა ფეხბურთელმა ნაკრებში თამაშზე უარი თქვა. ის გუნდს ერთწლიანი პაუზის შემდეგ, გასულ ზაფხულს დაუბრუნდა.

ვან ნისტელროოი თავს კარგად გრძნობს, ჯანმრთელია და მოუთმენლად ელოდება ევროპის ჩემპიონატის დაწყებას. უკრაინასთან თამაშის შემდეგ ვან ბასტენმა განაცხადა: *„თავდასხმის ცენტრში ჩემი პირველი ნომერი ვან ნისტელროოია, დანარჩენ პოზიციებზე კი ხანგრძლივი ფიქრი მომიწევს."* ჰოლანდიის ნაკრები სიკვდილის ჯგუფში იმყოფება. მისი მეტოქეები იქნებიან იტალია, საფრანგეთი და რუმინეთი.

### ესპანეთი

ესპანელთა თავკაცმა **ლუის არაგონესმა** განაცხადა-სატრანსფერო სპეკულაციები ხელს მიშლის, კარგი იქნებოდა, გაზეთებს ევროპის ჩემპიონატზე უფრო მეტი ეფიქრათო. ესპანური პრესა ნაკრების სამ თავდამსხმელს — **ფერნანდო ტორესს, დავიდ ვილიასა** და **გუისას** სამსახურების შეცვლას უწინასწარმეტყველებს. „ლივერპულმა" საპასუხო განცხადება უკვე გააკეთა. მერსისაიდელებმა ტორესის აბარგება კატეგორიულად გამორიცხეს. *„მეტის მოთმენა აღარ შეიძლება. რაღაც უნდა ვიღონოთ. ფეხბურთელებს სათითაოდ დაველაპარაკები. კეთილი ინებონ და გადაწყვიტონ, რას აპირებენ, თუ არადა, საჯაროდ განაცხადონ, რომ დღევანდელ კლუბებში რჩებიან, რათა სპეკულაციებს სამუდამოდ დაესვას წერტილი,"* — დასძინა არაგონესმა.

ჩამოთვლილ ფეხბურთელთა გარდა, ჟურნალისტები ნახევარმცველების — **რუბენ დე ლა რედისა** და **ჩაბი ალონსოს**, აგრეთვე თავდამსხმელების — **სერხიო გარსიასა** და **დავიდ სილვას** ტრანსფერებზეც მსჯელობენ.

ესპანელთა საბოლოო შემადგენლობა ცნობილია, მაგრამ 23-მა ფეხბურთელმა ერთად დღემდე ვერ ივარჯიშა. **ანდრეს ინიესტა** და **ფრანსესკ ფარეგასი** ტრავმებს იშუშებენ. ამიტომ გუშინ დასვენების დღეს ჰქონდათ. ინიესტამ სეზონი მუხლის ტრავმით დაასრულა. ფაბრეგასი ზურგს უჩივის. შაბათს, უელვაში, ესპანელები პერუს ნაკრებს უმასპინძლებენ. ეს მათი დასკვნითი პაექრობა იქნება კონტინენტის პირველობაზე გამგზავრების წინ.

### ჩეხეთი

ევროპის ჩემპიონატზე ჩეხებს **ტომაშ უიფალუში** უკაპიტნებს. ის **ტომაშ როსიცკის** შეცვლის. „არსენალის" ნახევარმცველი ავსტრიასა და შვეიცარიაში ტრავმის გამო ვერ გაემგზავრება. 30 წლის უიფალუშიმ გასული სეზონი „ფიორენტინაში" გაატარა. ფლორენციელებმა ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვეს და ამავე დროს, უეფას თასის ნახევარფინალში გავიდნენ. შთამბეჭდავი შედეგის მიუხედავად, უიფალუშიმ გუნდთან კონტრაქტი გაწყვიტა და ევროპის პირველობის შემდეგ, სარფიან შეთავაზებებს ელოდება. *„კაპიტნობა დიდი პატივია, მაგრამ მინდა, ახლავე განვაცხადო: მე დროებითი კაპიტანი ვარ. ტომაშ როსიცკი სამკლაურს გამოჯანმრთელებისთანავე ჩაიბარებს."*

2004 წელს, ჩეხები ნახევარფინალში გავიდნენ და მომავალ ჩემპიონ საბერძნეთთან წააგეს. ამჯერად, ჯგუფურ ტურნირში მათი მეტოქეები იქნებიან ტურნირის თანამასპინძელი შვეიცარია, პორტუგალია და თურქეთი. ხუთშაბათს, პრაღაში, ჩეხეთი ლიტვასთან ამხანაგურ მატჩს გამართავს, ხოლო პარასკევს შოტლანდიას ესტუმრება.

### რუსეთი

**გუუს ჰიდინკმა** გაფართოებული შემადგენლობიდან ორი ფეხბურთელი ამოაკლო და საბოლოო 23-კაციანი სია გამოაქვეყნა. მოლოდინისამებრ სახლში გამგზავრება მოუწევთ ახალწვეულებს — **ალექსანდრ პავლენკოსა** და **ოლეგ ივანოვს**. პავლენკო მოსკოვის „სპარტაკში" თამაშობს, ივანოვი — „კრილია სოვეტოვში". ორივე ნახევარმცველია. მწვრთნელმა განაცხადა, რომ ამ ყმაწვილებმა შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვეს. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მათ აუცილებლად მიეცემათ თავის გამოჩენის საშუალება. ჰიდინკის რჩეულთა სია ასე გამოიყურება: **აკინფეევი, მალაფეევი, გაბულოვი; იგნაშევიჩი, ალექსეი ბერეზუცკი, ვასილი ბერეზუცკი, ანიუკოვი, კოლოდინი, იანბაევი; ბილიალეტდინოვი, ჟირკოვი, სემშოვი, ტორბინსკი, ბისტროვი, ზირიანოვი, შიროკოვი, სემაკი; არშავინი, პოგრებნიაკი, პავლიუჩენკო, სიჩოვი, ადამოვი, საენკო.**

# ზავი ბელორუსთან

## ლიოვს ბევრი სამუშაო აქვს

### გერმანია

გერმანიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას განაგრძობს. გუშინ, **იოახიმ ლიოვის** გუნდმა კაიზერსლაუტერნში, "ფრიც-ვალტერ-შტადიონზე" პირველი ტესტ მატჩი გამართა. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ევროპის ჩემპიონატის ფავორიტებმა ბელორუსის ნაკრებთან მხოლოდ ფრე გაახერხეს - 2:2. არადა, ალემანები 2:0-ს იგებდნენ.

ანგარიში მე-10 წუთზე **მიროსლავ კლოზემ** გახსნა და ეს მისთვის რიგით 39-ე სანაკრებო გოლი გახლდათ (75-ე თამაშში). მოგვიანებით, მე-20 წუთზე, **ვლადიმირ კოლიტკომ** ავტოგოლი გაიტანა, რის შემდეგაც ბევრს ეგონა, რომ გერმანელები მეტოქეს გააცამტვერებდნენ. მაგრამ მეორე ტაიმში ბელორუსებმა საგრძნობლად მოუმატეს და შედეგმაც არ დააყოვნა. ჯერ, 61-ე წუთზე **ვიტალი ბულიგამ** ერთი ბურთი გაქვითა, მერე კი, საფინალო სასტვენამდე 2 წუთით ადრე, იმავე ბულიგამ **იენს ლემანის** კარის ბადე მეორედად შეარხია. აღსანიშნავია, რომ ლემანმა 681-წუთიანი მშრალი სერია დაასრულა. ბუნდესმეკარეს სწორედ ამდენი ხნის განმავლობაში არ ჰქონდა გოლი გაშვებული.

ამ შეხვედრამ ცხადყო, რომ ევროპის ჩემპიონატამდე 11 დღით ადრე, ლიოვს ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვს. გარდა იმისა, რომ გაცილებით სუსტ მეტოქესთან მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ, გერმანელები ზოგადად მოსალოდნელზე გაცილებით სუსტად გამოიყურებოდნენ.

ბუნდესმწვრთნელმა ალემანები ასეთი შემადგენლობით ათამაშა: **ლემანი, ლამი, მერტეზაკერი, მეტცელდერი, ჰიტცლშპერგერი, ფრინგსი** (54. **ტროხოვსკი**), **ბალაკი** (46. **ჯონსი**), **ოდონკორი** (79. კ. **ფრიტცი**), **შვაინშტაიგერი** (46. **მარინი**), **კლოზე** (54. **ჰელმესი**), **პოდოლსკი** (54. **ნოივილი**).

**გოტფრიდ ლენცი**




ნამიც და მიროსლავ კლოზე ანგარიშს გახსნის

შალკე

# ენგელაარი გელზენკირხენის გზაზე

## არადა, რუტენის ფავორიტი ძალიან ძვირია

"შალკეს" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ფრედ რუტენმა** თავისი გაიტანა - შეიძლება ითქვას, რომ "ტვენტეს" ნახევარმცველ **ორლანდო ენგელაარის** გელზენკირხენულ კლუბში ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილია. როგორც იცით, რუტენი "შალკეში" დანიშვნამდე "ტვენტეს" წვრთნიდა და როგორც კი "ხუმარებთან" კონტრაქტი გააფორმა, ბოსებს მაშინვე ერთი მოთხოვნა წაუყენა - ენგელაარი უნდა მიყიდოთო. 28 წლის ტანმაღალი ნახევარმცველი "შალკეს" უკვე მოურიგდა. ამის შესახებ ჩვენი გერმანელი კოლეგები გუშინ იტყობინებოდნენ. ახლა გასარკვევია სატრანსფერო თანხა, რომელსაც "ხუმარები" ჰოლანდიურ კლუბს გადაუხდიან. როგორც ირკვევა, "შალკეს" საკმაოდ დიდი თანხის გაღება მოუწევს.

ჰოლანდიური გამოცემა "ტელეგრაფი" წერს, რომ ენგელაარი, რომელსაც "ტვენტესთან" კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს, 8 მილიონ ევროდ ფასობს. არადა, როდესაც რუტენი "შალკეს" დამრიგებლად დაინიშნა, მხოლოდ 3.5 მილიონზე იყო ლაპარაკი. მაგრამ მას მერე ბევრი რამ შეიცვალა. ფაქტი ის გახლავთ, რომ ჰოლანდიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **მარკო ვან ბასტენს** ენგელაარის ევროპის ჩემპიონატზე წაყვანა აქვს გადაწყვეტილი. გასულ უქმეებზე, უკრაინასთან 3:0-ზე მოგებულ შეხვედრაში მომავალი შალკელი **რაფაელ ვან დერ ვაარტთან** ერთად, მოედანზე საუკეთესო იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ნაკრებში გამოძახებისა და კარგი თამაშის შემდეგ, ფეხბურთელის ფასი საგრძნობლად გაიზარდა. მით უმეტეს, რომ ენგელაარს ევრო 2008-ზე თამაში თითქმის განაღდებული აქვს. ახლა საინტერესო ისაა, გადაიხდის თუ არა "შალკე" 8 მილიონს. მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ორლანდო რუტენის უსაყვარლესი ფეხბურთელია, შეუძლებელია, ახალმა მწვრთნელმა "შალკეს" შეფებს ეს ფეხბურთელი არ აყიდინოს.

*"თუკი გუნდები შეთანხმდებიან, "შალკეში" უდიდესი სიამოვნებით გადავალ. ფრედ რუტენის გუნდში თამაში ჩემთვის უდიდესი სიამოვნება იქნება. ეს ის მწვრთნელია, რომელმაც ჩემს კარიერაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა,"* - აცხადებს ენგელაარი.

**გოტფრიდ ლენცი**

ინტერი

# მანჩინი წავიდა, მოურინიო გზაშია

გუშინ, დილით, "გაძეტა დელო სპორტი" წერდა, **ჟოზე მოურინიო** "ინტერს" კიდევ უფრო მიუახლოვდა და საოცნებო ხელშეკრულებამდე (პორტუგალიური გამოცემის ვერსიით, 9 მილიონი ევრო წელიწადში) უკვე ნახევარი ნაბიჯი აშორებსო. პარალელურად, **რობერტო მანჩინის** აგენტი **ჯორჯო დე ჯორჯისი** აცხადებდა: ჩემი კლიენტი მშვიდადაა, "ინტერში" რჩება და უკვე მომავალ სეზონზე ფიქრობსო. ფაქტი კი ის იყო, რომ მწვრთნელსა და **მასიმო მორატის** შორის დაგეგმილი შეხვედრა რამდენჯერმე გადაიდო. საუბარია საქმიან შეხვედრაზე, თორემ "ინტერის" ჩემპიონობისადმი მიძღვნილ საზეიმო სალამოზე ისინი კარგა ხანს ერთად იყვნენ და, როგორც მორატიმ თქვა, "ზოგად თემებზე" ბაასობდნენ.

ბოსი კონკრეტულ განმარტებას გაურბოდა: ყველამ იცის, როგორ პატივს ვცემ მანჩინისო, - სულ ეს იყო. და მერე რა? ნებისმიერ ხელმოცარულ მწვრთნელსაც კი, თანამდებობიდან დათხოვნის შემდეგ, გზაში დააწევენ ხოლმე შაბლონურ და სასაცილო ფრაზებს: ჩინებული სპეციალისტი ბრძანდებით, ამხელა სამუშაოც გასწიეთ, მაგრამ რას ვიზამთ, ახლა სხვა გვჭირდებაო...

"გაძეტაც" არ იშლიდა თავისას: მორატიმ თითქმის ბოლომდე მიიყვანა მოურინიოსთან მოლაპარაკებები და მანჩინი აღარ აინტერესებსო. იქვე, პორტუგალიური "დიარიო დე ნოტისიაშიც" შეგვეწია ფრიად საყურადღებო ინფორმაციით: თურმე, უკვე 5 თვეა, მოურინიო იტალიურ ენას სწავლობს...

და ჰა, დღის ბოლოს კვანძიც გაიხსნა. შეხვდა, მორატი მანჩინის შეხვდა, და რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, მხოლოდ... 20 წუთით. აქედან ცხადია, მხარეებს არსებითი პრობლემები არ განუხილავთ, თორემ ასე მალე არ დაშორდებოდნენ ერთმანეთს. ეტყობა, დაგეგმილი გაყრის წინ კონტრაქტის გაწყვეტის პირობები შეათანხმეს. მორატის კაბინეტიდან გამოსულმა მანჩინიმ ჟურნალისტებთან გასაუბრება არ ისურვა და იქაურობას გაეცალა.

ამასობაში, გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს "ინტერის" სპორტული დირექტორი **მარკო ბრანკა** პორტუგალიაშია და "განსაკუთრებულ კაცთან" ხელშეკრულების ბოლო დეტალებს ათანხმებს. მოკლედ, გადაწყვეტილი ამბავია: მოურინიო "ნერაძურის" მწვრთნელი ხდება. შეიძლება ითქვას, ჟოზე გზაშია...



ჟოზე მოურინიო

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ადრიანო: სამპდორია თუ ისევ ინტერი?

**ადრიანოს** მომავალი გაურკვეველი რჩება. თუ ჭირვეული ბრაზილიელის აგენტ **ჟილმარ რინალდის** დავუჯერებთ, მისი კლიენტი "ინტერში" კიდევ ერთ შანსს ითხოვს. "ნერაძურიში" გატარებული ბოლო სეზონი მისთვის სრული კოშმარი იყო. საბოლოოდ, ადრიანო "სან პაულოში" გაანათხოვრეს. სამშობლოში ის თითქოს ძველებურად ათამაშდა, თუმც ერთი ხანობა იქაც არ იშლიდა თავისას. დისციპლინა მის უსუსტეს წერტილად რჩებოდა. ღამის ბარები, ბაზაზე დაგვიანება თუ ვარჯიშის ნაადრევად მიტოვება...




ადრიანო

მაგრამ ეტყობა, "სან პაულომ" ის მაინც მოარჯულა და თუ საქმისადმი მიდგომას შეცვლის, ეჭვი არაა, ძველებურად ათამაშდება. ადრიანო ხომ ჯერ 26 წლისაა. მაგრამ მიეცემა თუ არა "ინტერში" მეორე შანსი, ეს მხოლოდ მასზე არ არის დამოკიდებული. "ნერაძური" ან მოინდომებს მის დაბრუნებას, ან არენდას გააგრძელებს, ანდაც სხვა კლუბში გაყიდის. არის კიდევ ერთი საჩოთირო ფაქტორი: **რობერტო მანჩინი.** თუ მანჩინი "ინტერში" დარჩა, ადრიანო იქ ნამდვილად არ დაბრუნდება. ეს მისი პრინციპია, რომელიც, როგორც თავად აცხადებს, გადახედვას არ ექვემდებარება. არადა, **მასიმო მორატის** დღემდე სჯერა მისი. თუმც არც ის გვგონია, მანჩინი გუნდიდან ადრიანოს გამო გაუშვას...

ახლა კი ფეხბურთელის აგენტს მოვუსმინოთ: *"ჩვენ მალე გადავწყვეტთ, რა იქნება უკეთესი გამოსავალი: "ინტერში" დარჩენა თუ სხვა კლუბის ძიება. "ადრის" ნამდვილად უნდა "ნერაძურიში" დაბრუნება... მაგრამ ჩვენ ერთად უნდა გავაკეთოთ არჩევანი. ის მადლობელია "სან პაულოსი", რომელმაც მისთვის ბევრი გააკეთა. ადრიანო უკვე მზად არის იმისთვის, რომ ევროპაში დაბრუნდეს და რომელიმე დიდ კლუბში ითამაშოს. პრიორიტეტად, რა თქმა უნდა, იტალია რჩება. ჩვენ შევხვდებით ყველა მხარეს და ჩამოვყალიბდებით იმაზე, თუ როდის დავტოვებთ ბრაზილიას".*

ამასობაში, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ადრიანოთი "სამპდორიაა" დაინტერესებული, ის "სამპდორია", სადაც **ანტონიო კასანო** მეორედ "დაიბადა". როგორც ჩანს, გენუაში ამ კუთხით კარგად მუშაობენ და იქნებ, ადრიანოსაც უშველონ. "სამპს" სურს, "ინტერს" საიჯარო ხელშეკრულებაზე მოელაპარაკოს. "მარასიზე" ფორვარდების მხრივ ნამდვილად არ ულხინთ. **ვინჩენცო მონტელა** და **კლაუდიო ბელუჩი** უკვე საპენსიო ასაკში არიან, **ემილიანო ბონაცოლი** კი არასტაბილურია... ასე რომ, ადრიანოს შეუძლია, ეს ერთგვარი სიცარიელე შეავსოს.

# ანჩელოტი აბრამოვიჩს შეხვდაო...




კარლო ანჩელოტი

"ჩელსი" ტოპ-კლასის მწვრთნელს ეძებს. **ავრამ გრანტის** გაშვების შემდეგ, **რომან აბრამოვიჩს** ხელ-ფეხი გაეხსნა. "არისტოკრატები" სეზონის ფინიშით იმედგაცრუებულნი არიან. პირველად, კლუბის არსებობის ისტორიაში, "ჩელსი" ახლოს იყო სანუკვარ დუბლთან, მაგრამ ბოლოს მაინც ხელცარიელი დარჩა. გრანტი ვერ აღმოჩნდა იმ რანგის მწვრთნელი, რომელიც ამხელა შედეგს უზრუნველყოფდა. ეს არის ფაქტი, რომელსაც თავადაც ვერ გაექცევა. აკი თქვა კიდეც, სიამოვნებით დავბრუნდებოდი სპორტული დირექტორის პოსტზეო.

მოკლედ, ლონდონელებს მისი დანიშვნა შეცდომად მიაჩნიათ. აბრამოვიჩი სწორედ საკუთარ შეცდომებზე აპირებს სწავლას და გაცილებით მაღალი რანგის სპეციალისტს უმიზნებს. მისი ნდობით აღჭურვილი, ვინმე **ეუგენ ტეტენბაუმი** განმარტავს ერთ-ერთ კრიტერიუმს, რომლის მიხედვითაც ახალი მწვრთნელი შეირჩევა - დისციპლინა! ეს არის სწორედ "აქილევსის ქუსლი", რამაც "ჩელსი" უტიტულოდ დატოვაო, ასე მსჯელობენ "სტემფორდ ბრიჯზე".

გუშინ კი იტალიურმა "რეპუბლიკამ" მაგარი ამბავი დაახეთქა: **კარლო ანჩელოტი** აბრამოვიჩს ჟენევაში შეხვდაო. "მილანის" მწვრთნელი არ უარყოფს, რომ შვეიცარიაში ბრძანდება, მაგრამ აქ არდადეგებზე ვარო, უთხრა "რეპუბლიკას" კორესპონდენტს:

*"შვებულებას ჟენევაში ვატარებ. განტვირთვისთვის ეს საუკეთესო ადგილია. აბრამოვიჩი? სიმართლე გითხრათ, მას საერთოდ არ ვიცნობ. ახლაც კი მხოლოდ "მილანზე" ვფიქრობ და სხვა არაფერზე".*

კაცია და გუნება: ზოგს ჟენევა მიაჩნია "საუკეთესო დასასვენებელ ადგილად", ზოგს... ისე, ამ გაგანია არდადეგებისას "მილანზე" ამდენი ფიქრი რაღაა? რაც შეეხება "სკანდალურ შეხვედრას", "რეპუბლიკა" ეყრდნობა მავან ინფორმატორს, რომელმაც ანჩელოტი და აბრამოვიჩი ჟენევაში ერთად ნახა. მათ ხანმოკლე შეხვედრა ჰქონიათ. მაგრამ იქნებ, შემთხვევით "შეეფეთნენ" ერთმანეთს?

...ანჩელოტილა გვაკლდა. "თაიმსი" კი გვარწმუნებს, რომ აბრამოვიჩის სიაში ხუთი მწვრთნელია და აქედან ერთიც არ არის იტალიელი, თქვენ წარმოიდგინეთ, არც უმუშევარი **მარჩელო ლიპი**, ვისთვისაც ინგლისში მუშაობის პერსპექტივა ფრიად მომხიბლავია. **რობერტო მანჩინისგან** კი, მოგეხსენებათ, "ჩელსიმ" ადრეულ ეტაპზევე შორს დაიჭირა. რაც შეეხება ხსენებულ ხუთეულს, სიაში **გუუს ჰიდინკი, დიკ ადვოკაატი, ფრანკ რაიკაარდი, დიდიე დეშამი** და **მარკ ჰიუზი** ფიგურირებენო, ასეთია "თაიმსის" ცნობა.

არშემდგარი გარიგება

# სოროსი სოროში? არავითარი რომა!

**ჯორჯ სოროსმა** უკან დაიხია? აკი "რომას" ვყიდულობ და მწვრთნელად **მარჩელო ლიპი** მინდაო? "ილ რომანისტას" ინფორმაციით, სახელგანთქმულმა ამერიკელმა ფილანთროპმა "ჯალოროსის" შეძენაზე უარი განაცხადა. შესაბამისად, დედაქალაქური გრანდი **ფრანკო სენსისა** და მისი ოჯახის მფლობელობაში რჩება.

კლუბის გაყიდვაზე მოლაპარაკებები ბოლო თვეებში ინტენსიურად მიმდინარეობდა. "რომას" სპონსორ კომპანია "იტალპეტროლის" 370 მილიონი ევროს დავალიანება დაუგროვდა. სწორედ ეს გახლავთ მთავარი მიზეზი, რის გამოც სენსის ოჯახობამ სოროსს მოლაპარაკება გაუბა. იტალიის თასის ფინალიდან ერთი საათიც არ იყო გასული, რომ "გაძეტა დელო სპორტმა" ეს ინფორმაცია გააჴრცელა: თითქოს, 78 წლის მილიარდერი მზად იყო, გარიგების საფასურად 283 მილიონი ევრო გადაეხადა. აქედან, 219 მილიონ ევროს მიიღებდა უშუალოდ სენსის ოჯახი, რომელიც კლუბში 66-პროცენტიან წილს ფლობს...

მაგრამ გუშინ, შუაევროპული დროით 17 საათზე, "რომას" ოფისში მივიდა ოფიციალური შეტყობინება იმის თაობაზე, რომ სოროსი კლუბის ყიდვაზე უარს აცხადებდა. საქმის ჩაშლის მიზეზად, ერთი მხრივ, ძია ჯორჯის მიერ შეთავაზებული პირობების მიუღებლობა სახელდება, მაგრამ არსებობს სხვა ვერსიაც: "რომას" ქომაგთა რადიკალური დაჯგუფების მზარდი წინააღმდეგობა. ეს საკმაოდ გავლენიანი და აგრესიული ჯგუფია. ისინი თვლიან, რომ "ჯალოროსიმ", სიტყვასიტყვით - "სული უცხოელებს არ უნდა მიჰყიდოს". მაგრამ იმასაც ამბობენ, თითქოს "რომას" გენერალური მენეჯერი **როზელა სენსი** (კლუბის პრეზიდენტის ქალიშვილი, რომელიც მოხუცი მამის ავადმყოფობის გამო, მის მოვალეობებსაც ასრულებს) სოროსს დაუკავშირდა და მოლაპარაკებების განახლება შესთავაზა...

თასის ფინალის შემდეგ, "რომას" ფეხბურთელებმა როზელა ხელში აიტაცეს. გარკვეულწილად, ეს იყო დაფასება იმ ქალბატონისა, რომელმაც ბოლო წლებში "ჯალოროსისთვის" ბევრი რამ გააკეთა, თუმც ბევრმაც ჩათვალა, რომ ამ ჟესტით კლუბი სენსის ოჯახს გამოეთხოვა. მოკლედ, ვნახოთ, რა მოხდება...



ჯორჯ სოროსი




როზელა სენსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ფერნანდო ტორესთან

# ჩვენ თავი დაგვანებეთ, ფავორიტი იტალიაა

## ელ ნინიო ღიზიანდება, როცა ჟურნალისტები სელექსიონის ევროპულ შანსებზე საუბრობენ

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება. ბევრი კონტინენტის საუკეთესო ნაკრებები გამალებულ სამზადისზე მალე გადავლენ. სპეციალისტები ფავორიტების გამოვლენას ცდილობენ. მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთის ეროვნულ გუნდს შორეული 60-იანი წლების შემდეგ მუნდიალებსა და ევროპის ჩემპიონატებზე არანაირი წარმატებისთვის არ მიუღწევია, "სელექსიონს" მაინც ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევენ. აღსანიშნავია, რომ ამ დასკვნას არა ესპანური, არამედ გერმანული, იტალიური, ინგლისური და ფრანგული სპორტული გამოცემები აკეთებენ. ერთი შეხედვით, სასიამოვნოა, როცა ასეთი მნიშვნელოვანი ტურნირის ფავორიტად გასახელებენ, მაგრამ მეორე მხრივ, ფეხბურთელებს ფავორიტობაზე აპელირება არ უყვართ და ყოველთვის ამბობენ, რომ ეს დამატებით ფსიქოლოგიურ წნეხთან არის დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ "ლივერპულის" ვარსკვლავი ფერნანდო ტორესიც ასევე ფიქრობს. გუშინ "ელ ნინიომ" "დიარიო ასს" ინტერვიუ მისცა და მრავალ საინტერესო საკითხზე ისაუბრა. მადრიდული გამოცემის პუბლიკაციას შემოკლებით შემოგთავაზებთ.

**- თქვენს წინაშე ახალი შესაძლებლობაა, დიდი ტიტულის მოპოვების შესანიშნავი შანსი. შესაძლოა, გაგიკვირდეთ, მაგრამ წამყვანი ევროპული საფეხბურთო ქვეყნების ექსპერტები ესპანეთის ნაკრებს ერთ-ერთ უპირველეს ფავორიტად მიიჩნევენ. როგორ ფიქრობთ, ეს გულწრფელი შეფასებაა თუ მარტივ თაღლითობასთან გვაქვს საქმე?**

- არა მგონია, ეს თაღლითობა იყოს. თუმცა, მირჩევნია, ფავორიტად არ გვასახელებდნენ. ამის მიზეზი, ალბათ, ყველასთვის ნათელია. არ მინდა მთელმა ქვეყანამ წინასწარ იწამოს ჩემპიონობის და ფსიქოლოგიურ წნეხში ჩაგვაგდონ. თუ მაინც და მაინც, ფავორიტებზე გვინდა ვისაუბროთ, მაშინ, პირველ რიგში, იტალიის ნაკრები უნდა ვახსენოთ. დიახ, ჩვენ თავი დაგვანებეთ, ფავორიტი იტალიაა. "სკუადრა აძურამ" ბოლო მუნდიალი მოიგო და ახლაც არაჩვეულებრივ ფორმაშია. ან თუნდაც საფრანგეთი გავიხსენოთ. ტიერი ანრის გუნდი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონია. ისინიც ფანტასტიკურად გამოიყურებიან. ვერ ვიტან, როცა ესპანურ პრესაში ან ტელევიზიებში რადიკალურ განცხადებებს ვისმენ. ჟურნალისტები ხშირად ამბობენ, ჩვენ საუკეთესო შემადგენლობა გვყავს და ვალდებულები ვართ, ევროპის პირველობაზე გავიმარჯვოთო. ცხადია, ეს ჩვენი ვალდებულებაა, მაგრამ განა ყველა ადამიანი ახერხებს მისი პროფესიული მოვალეობის პირნათლად შესრულებას?! ფეხბურთი განსაკუთრებული ფენომენია. აქ წინასწარ ვერავინ ვერასოდეს ვერაფერს განჭვრეტს. შეიძლება მეტოქეზე ათი თავით მაღლა იდგე, მაგრამ რამდენიმე შეცდომა დაუშვა და წააგო. მოკლედ, სულაც არ ვთვლი, რომ ესპანეთის ნაკრები 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის ფავორიტია. რა თქმა უნდა, ჩვენ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ, მაგრამ "სელექსიონს" ტურნირის ერთ-ერთ ჩვეულებრივ მონაწილედ მივიჩნევ.

**- საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ლუის არაგონესი 4-1-4-1 ტაქტიკას გამოიყენებს. "სელექსიონი" თუ მართლა ამ სტრატეგიით ვიხელმძღვანელებთ, სავარაუდოა, რომ თავდასხმაში მარტო მოგიწევთ თამაში. მზად ხართ ამისთვის?**

- სხვათა შორის, "ლივერპულში" ძირითადად მარტო ვარ ხოლმე. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მარტო ვითამაშებ თუ რომელიმე ფორვარდი დამეხმარება. მთავარია, გუნდის საერთო სქემა იყოს აწყობილი. ბუნებრივია, შეტევებისას ნახევარმცველები დამეხმარებიან, გარემარბებზეც ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. ძალიან გთხოვთ, ევრო 2008-ის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე აჟიოტაჟის აგორებას ნუ ეცდებით. ახლა სიმშვიდე გვჭირდება. ჩემი აზრით, ესპანეთის ეროვნული გუნდი საკმაოდ კარგად თამაშობს. მთავარია, ეს რიტმი და დინამიკა შევინარჩუნოთ. შედეგების თვალსაზრისითაც არაფერი დაგვეწუნება. ბოლო პაექრობებში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დავტოვეთ. ვფიქრობ, ტაქტიკურ მონახაზს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება და დარწმუნებული ვარ, არაგონესი სწორ სისტემას შეიმუშავებს.

**- ხომ არ გეჩვენებათ, რომ ზემოთ ხსენებული სქემა მეტისმეტად ესპანურია? თანამედროვე ფეხბურთში არაგონესის ტაქტიკას ფაქტობრივად, არავინ იყენებს. თუნდაც ჩემპიონთა ლიგის ბატალიები გაიხსენეთ.**

- გეთანხმებით, "სელექსიონი" პრაქტიკულად, ყველასგან განსხვავებული სტილით თამაშობს, მაგრამ ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. თუ თანამედროვე კლუბები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ბურთი მოედნის შუა ხაზში დიდხანს არ გააჩერონ, ჩვენ პირიქით ვაკეთებთ. ვცდილობთ, ნახევარდაცვაში უპირატესობა მოვიპოვოთ და ერთი გამჭოლი პასით სახიფათო მომენტი შევქმნათ. შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, რომ ეს ძველმოდური ფეხბურთია, მაგრამ ამ იდეასაც ხომ აქვს არსებობის უფლება. არაგონესი მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტია და საჭიროების შემთხვევაში, ტაქტიკაში კორექტივების შეტანაც არ გაუჭირდება.




**- გარდა ამისა, ისიც უნდა ითქვას, რომ "სელექსიონი" ძალიან დაბალ ტემპში თამაშობს.**

- ყველაფერი შედარებითია. "ჩელსის", "მანჩესტერს" ან "ლივერპულს" თუ შევედრებით, რა თქმა უნდა, ყველა ერთ დასკვნას გამოვიტანთ და ვიტყვით, რომ დაბალ ტემპში ვთამაშობთ, მაგრამ შეგვიძლია "ბარსელონის" მაგალითიც მოვიყვანოთ. კატალონიელები გადარეულებივით არასოდეს დარბიან, ბურთს ოსტატურად ათამაშებენ, მეტოქეს ავიწროვებენ და შეტევა დამაგვირგვინებელ ფაზაში გადაჰყავთ. ყველაფერი ხომ გემოვნებაზეა დამოკიდებული. რადგან ლუის არაგონესი ესპანეთის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელია, მას უნდა ვენდოთ და მშვიდად მუშაობის საშუალება მივცეთ.

**- არაგონესმა არაერთი გამოცდილი ვეტერანი ფეხბურთელის სამსახურზე თქვა უარი. ხომ არ გეშინიათ, რომ ურთულეს ტურნირზე მეტისმეტად ახალგაზრდული შემადგენლობით მიდიხართ?**

- არა მგონია, ყველაზე ახალგაზრდები და გამოუცდელები ვიყოთ. თუმცა შემადგენლობის გაახალგაზრდავებაშიც ცუდს ვერაფერს ვხედავ. პირიქით, რაც მეტი ძალა და ენერგია გვექნება, მით მეტ წარმატებას მივაღწევთ.

**- ევროპის ჩემპიონატზე ვისთან ერთად თამაშს ისურვებდით?**

- თუ მაინც და მაინც, ერთი გვარის დასახელებას მომთხოვთ, გეტყვით, რომ ყველაზე მეტად სესკ ფაბრეგასთან ერთად თამაში მინდა. ესპანელებმა ჯერ კიდევ არ იციან მისი სახით რამხელა ფეხბურთელი გვყავს. სესკი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ვარსკვლავია. სამწუხაროდ, ჩვენში ბოლომდე ვერ აფასებენ, მაგრამ მოვა დრო, როცა მის გენიაზე ყველა აღმაფრენით ისაუბრებთ. მართლაც ფენომენალური ბიჭია.

**- ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთაგან ყველაზე მეტად რომელმა ნაკრებმა გაგაოცათ?**

- რუმინეთის ეროვნულმა გუნდმა. შესარჩევი ციკლი შთამბეჭდავად ჩაატარეს, თამაშის ხარისხსაც ვერ დაუწუნებ. ძალიან მეცოდებიან, რადგან ურთულეს ჯგუფში მოხვდნენ. საფრანგეთთან, იტალიასთან და ჰოლანდიასთან ბრძოლა არ გინდა?! რა თქმა უნდა, ისინი ფავორიტები არ არიან, მაგრამ ამ ჯგუფიდან გასვლა რომ მოახერხონ, სულაც არ გამიკვირდება.

**- ინგლისში ერთი წელი გაატარეთ. ძალიან მაინტერესებს, ამ ერთმა სეზონმა ახალი რა შეგძინათ?**

- სხვათა შორის, აბსოლუტურად განსხვავებულ შეფასებებს ვისმენ. ზოგი მეუბნება, რომ დიაპაზონი შემიმცირდა, ზოგი კი პირიქით, ამტკიცებს, ტორესი ადრე ამდენს არ მოძრაობდაო. პრემიერლიგამ ძალიან დიდი ცოდნა შემძინა. მართალია, ჯერ მხოლოდ ერთი წელია ინგლისში ვთამაშობ, მაგრამ დროის ეს მცირე მონაკვეთიც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ პროფესიული ხედვა გამემდიდრებინა. ახლა უფრო ბრძოლისუნარიანი და მოძრავი გავხდი. ზოგჯერ ესპანური ფეხბურთი ძალიან მენატრება. პრიმერა დივიზიონში უფრო თავისუფლად ვგრძნობდი თავს, მაგრამ ყოველთვის ერთსა და იმავე საქმეს ვერ გააკეთებ. ინგლისში გადასვლით სწორი გადაწყვეტილება მივიღე. იმედია, პრემიერლიგაში მიღებული გამოცდილება "სელექსიონსაც" გამოადგება.

**- ადრე არაერთხელ გითქვამთ, რომ პრემიერლიგის თამაშებს ტელევიზორით სისტემატიურად უყურებდით. საინტერესოა, ინგლისში გადაბარგების შემდეგ იქაურ ფეხბურთზე შთაბეჭდილება ხომ არ შეგეცვალათ?**

- წასვლამდე დარწმუნებული ვიყავი, რომ პრემიერლიგის შესახებ აბსოლუტურად ყველაფერი ვიცოდი, თუმცა ჩემი დასკვნა ნაადრევი გამოდგა. ყოველ ტურში რაღაც ახალს ვსწავლობდი. ფანტასტიკურ მოწინააღმდეგეებთან მომიხდა ბრძოლა. "ჩელსი", "მანჩესტერი", "არსენალი", განუმეორებელი გუნდები არიან. ვერ წარმოვიდგენდი, თუ მათ წინააღმდეგ თამაში ამხელა სიამოვნებას მომანიჭებდა. მოკლედ, ჩემი ცხოვრებით უზომოდ კმაყოფილი ვარ. მჯერა, მომავალში კიდევ უფრო გავიზრდები და სრულყოფილ ფეხბურთელად ჩამოვყალიბდები.

**- კრისტიანო რონალდოს "რეალში" შესაძლო გადაბარგებაზე ძალიან ბევრს საუბრობენ. თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, პორტუგალიელს "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადაიყვანდით?**

- რა თქმა უნდა. წამითაც არ დავფიქრდებოდი. კრისტიანო რონალდო ნებისმიერ გუნდს მოერგება. ის მსოფლიოს უპირველესი ვარსკვლავია. "რეალს" რამდენი ფულიც არ უნდა მოთხოვონ, დაუფიქრებლად უნდა გადაიხადონ. ეჭვი არ მეპარება, რონალდო ნებისმიერ თანხას გაამართლებს. მას შეუძლია სეზონში 30, 35, თუნდაც 40 ბურთი გაიტანოს.

**- "ატლეტიკო" თითქმის 14-წლიანი პაუზის შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში პირველად გავიდა. რას გვეტყვით ამის შესახებ?**

- უზომოდ კმაყოფილი ვარ. მართალია, "როხიბლანკო" დავტოვე, მაგრამ არავინ იფიქროს, რომ ამ გუნდის მიმართ გულგრილი ვარ. მიხარია, რომ ჩემი ყოფილი კლუბი პროგრესის გზით მიდის. "ატლეტიკოს" დიდ წარმატებებს ვუსურვებ.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი

# რა ელის ტიერი ანრის?

## მიმომხილველები მის ინგლისში დაბრუნებას ელიან

როდესაც **ტიერი ანრი** "ბარსელონაში" გადავიდა, ფეხბურთის გურმანებმა სიამოვნებისაგან ხელები მოიფშვნიტეს. თავისი თაობის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი ევროპის ყველაზე სანახაობრივ გუნდში ჩაირიცხა. ეს გუნდი **რონალდინიოთი**, **ეტოოთი** და **მესით** ინონებდა თავს. ოთხ "ფანტასტიკოს", წესით, გასაოცარი ფეხბურთი უნდა ეთამაშა. მაგრამ ფრანგი ვარსკვლავისათვის სადებიუტო ესპანური სეზონი უილბლოდ წარიმართა. ის ღრუბლებიდან სასწრაფოდ მიწაზე ჩამოსვეს.

თავდამსხმელი, რომელიც პრემიერლიგაში ცეცხლს ანთებდა, ესპანეთში საკუთარი თავის აჩრდილს დაემგვანა. არსენალელი ტიერი ანრი თვალსა და ხელშუა გაუჩინარდა. ფეხბურთელმა ლონდონში შვიდი სეზონი სერიოზული ტრავმების გარეშე ჩაატარა. ბოლო, მერვე სეზონში კი არა ერთხელ დაშავდა და მარტის შემდეგ შვებულება აილო. ის "ბარსელონაში" გადასვლისას ტრავმირებული იყო. ანრიმ თამაში 2007 წლის ოქტომბერში განაახლა. *"მკურნალობისათვის მეტი დრო მჭირდებოდა. დატვირთვები ეტაპობრივად უნდა გამეზარდა, მაგრამ ეტოო დაშავდა, სხვა ფეხბურთელები კოპა ამერიკიდან ახალი დაბრუნებული იყვნენ. ამიტომ მინდორზე დაბრუნება მომიხდა. მკურნალობის დასკვნითი ეტაპი, ფაქტობრივად, მოედანზე გავატარე. თან ტრავმას ვიშუშებდი და თან ვთამაშობდი,"* — იხსენებს ფეხბურთელი.

ზოგიერთი ესპანური სააგენტო ამტკიცებს, კონტრაქტის გაფორმებისას ანრიმ სამედიცინო შემოწმება ვერ გაიარაო. მაგრამ ამ შემთხვევისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ - გაითვალისწინეს, რომ ფეხბურთელს დიდი დრო ჰქონდა გაცდენილი და ხელშეკრულებაზე მაინც მოუწერეს ხელი. ზოგს მიაჩნია, რომ "ბარსელონაში" ტრანსფერი ანრის კარიერის ყველაზე ცუდ პერიოდს დაემთხვა. ფეხბურთელს ზურგის ქრონიკული ტრავმა აწუხებს. ანრის ხერხემლის პრობლემა აქვს, რაც წელისა და ბარძაყის კუნთების ტკივილს იწვევს. "ბარსელონის" ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა **სანდრო როსელმა** ტიერის ტრანსფერს დღევანდელი ადმინისტრაციის ყველაზე დიდი შეცდომა უწოდა.

**ფრანკ რაიკაარდი** ფრანგ ვარსკვლავს ბოლო წუთამდე კბილებით იცავდა. მწვრთნელს თითქმის ყველა მატჩის შემდეგ ერთი და იმავე განცხადების გაკეთება უწევდა: *"მართალია, ტიერი იმაზე სუსტად თამაშობს, ვიდრე ველოდით, მაგრამ რამდენიმე შეხვედრაში დიდი სამსახური გაგვიწია. დარწმუნებული ვარ, ის ოპტიმალურ ფორმას აკრეფს."* რაიკაარდი თავისი წინასწარმეტყველების ახდენას ველარ მოესწრება. ის "ბარსელონის" მთავარი მწვრთნელი აღარ არის. ჰოლანდიელის შემცვლელ **პეპ გვარდიოლას** საკუთარი პოზიცია ჯერ არ დაუფიქსირებია.

ანრის ესპანეთში გამგზავრება ოჯახურ პრობლემებს დაემთხვა. იმ დროს, როცა ფეხბურთელი "ბარსელონასთან" აფორმებდა კონტრაქტს, ინგლისის სასამართლო მისი განქორწინების საკითხზე მსჯელობდა. ტიერის აწ უკვე ყოფილი მეუღლე **კლერი** ორი წლის ქალიშვილ **ტეასთან** ერთად ლონდონში დარჩა. თავდამსხმელს არასოდეს დაუმალავს, რომ ბავშვის გარეშე ცხოვრება ძალიან უჭირდა: *"ცხოვრებაში შვილზე უფრო ძვირფასი არაფერი გამაჩნია. ის კი რვა თვის განმავლობაში მხოლოდ ხუთჯერ ვნახე. წარმოიდგინეთ, როგორ ხასიათზე ვიქნები."*

"ბარსელონის" გულშემატკივრებმა ფეხბურთელის განცხადებაში მისი ფარული სურვილი ამოიკითხეს — ეტყობა, სეზონის ბოლოს ინგლისში დაბრუნებას აპირებსო. რაიკაარდი მიიჩნევდა, რომ ოჯახურმა პრობლემებმა ტიერის ძალიან შეუშალა ხელი. პრობლემებზე საუბრისას, ჟურნალისტები იქვე შენიშნავენ: 10 თვეში ანრიმ საუცხოო ესპანური ისწავლა, პრესკონფერენციებზე უკვე დამოუკიდებლად საუბრობს.



"ბარსელონაში" ასეთი ტრადიცია აქვთ: ძირითადი, სათადარიგო და ბავშვთა გუნდიც კი 4-3-3- სქემით თამაშობს. ეს **იოჰან კრუიფის** დამსახურებაა. თავის დროზე, მფრინავმა ჰოლანდიელმა სქემა "ბარსელონის" საფეხბურთო აკადემიაში დაამკვიდრა, იქიდან კი ყველა ასაკობრივმა გუნდმა გადაიღო.

როცა რაიკაარდის ბიჭები ზენიტში იმყოფებოდნენ, მარცხენა ფლანგზე რონალდინიო ჰყავდათ, ცენტრში ეტოო, ხოლო მარჯვნივ ჯერ **ლუდოვიკ ჟიული**, შემდეგ ლიონელ მესი. "ბარსა" საუცხოოდ თამაშობდა. როცა ანრი იყიდეს, ფიქრობდნენ, რომ მას ამ სამიდან ნებისმიერ პოზიციაზე დააყენებდნენ. "შალკესთან" განმეორებითი მეოთხედფინალის შემდეგ, ტიერის კრიტიკის ნიაღვარი დაატყდა თავს. ფეხბურთელმა ველარ მოითმინა და თქვა: *"ჩემს კარიერაში არ მირბენია იმდენი, რამდენსაც ახლა დავრბივარ. არასოდეს — არც საფრანგეთში და არც ინგლისში. იმის ნაცვლად, რომ თამაშგარე მდგომარეობის ზღვარზე ვითამაშო და კარიდან მაქსიმუმ 30 მეტრით უკან ვიდგე, 60 მეტრით უკან ვდგევარ და როცა ბოლო მცველის მოტყუების ჯერი დგება, უკვე იმდენი მაქვს გარბენილი, რომ ფეხები აღარ მომდევს."*

გერმანელებთან ნამატჩევს "ლა ვანგარდიამ" ასეთი რამ დაწერა — თამაშის 49-ე წუთამდე ვინმეს რომ ეთქვა, ანრი ლონდონშია, დაიჯერებდით, ფრანგი მინდორზე საერთოდ არ ჩანდაო. ესპანელმა მიმომხილველებმა ანრის პრობლემები "ბარსელონის" ხელმძღვანელთა ცუდ მუშაობასაც დააბრალეს. *"გუნდს ანრის შეძენა სურდა. არავის მოუკლავს თავი იმაზე ფიქრით, თუ რა პოზიციაზე უპირებდნენ დაყენებას. ბოლო 24 თვის განმავლობაში "ბარსელონამ" თამაშის დაგეგმვის თვალსაზრისით ძალიან სუსტად იმუშავა,"* - ეს "დიარიო ასის" ჟურნალისტის, **ხესუს სანჩოს** მოსაზრება გახლავთ. *"მახსოვს, ანრის ტრანსფერის შემდეგ კლუბის ერთ-ერთ მაღალჩინოსანს ვესაუბრე. დიქტოფონი რომ გამოვრთე, სიხარულით მითხრა, ანრის ბრენდით დიდ ფულს ვიშოვითო. ამ ტრანსფერისას აქცენტი გააკეთეს ბრენდის შეძენაზე და არა ფეხბურთელზე, რომელიც გუნდს სჭირდებოდა."*

თავის დროზე ტიერის დღეში აღმოჩნდა ინგლისის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **გარი ლინეკერი**. 1986 წელს ის "ევერტონიდან" "ბარსელონაში" 2.2 მილიონ გირვანქად გაიყიდა. ლინეკერი ცენტრალური თავდამსხმელი იყო. ორი წლის შემდეგ გუნდის მთავარ მწვრთნელად კრუიფი დაინიშნა. მან ფორვარდი მარჯვენა ფლანგზე გადაიყვანა. გარი ახალ სქემას ვერ მოერგო და ძირითადი შემადგენლობიდან ამოვარდა. მან იმ სეზონის დასრულებისთანავე დატოვა გუნდი.

რონალდინიოს ტრავმისას ანრის მარცხენა ფლანგზე მოუხდა ასპარეზობა. რაიკაარდი ამბობდა, რომ ფრანგი ვარსკვლავისათვის უჩვეულო პოზიციაზე თამაში არ დაუძალებია: *"მე მას ყოველთვის ვეუბნებოდი, მოქცეულიყო ისე, როგორც კონკრეტულ ეპიზოდში ჩათვლიდა საჭიროდ. მისთვის შეუძლებელი სამუშაოს შესრულება არასოდეს დამივალებია."*

აქვს თუ არა ანრის "ბარსელონაში" მომავალი? ლინეკერის აზრით, ფორვარდს დრო სჭირდება, მაგრამ კატალონიაში დრო შეუმჩნევლად გარბის. "ბარსა" უფრო მეტია, ვიდრე საფეხბურთო კლუბი. მას პრეტენზიული გულშემატკივარი ჰყავს. პრეტენზიულია ესპანური სპორტული პრესაც. ანრის თამაშს ყოველთვის კრიტიკულად აფასებდნენ. ფეხბურთელთან ინტერვიუები დაძაბულ, ლამის მტრულ ატმოსფეროში იწერებოდა ხოლმე. ერთი სეზონი გუნდთან შესაგუებლად საკმარისი უნდა ყოფილიყო და რადგან ანრიმ ეს ვერ მოახერხა, მიმომხილველთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აბარგება მოუწევს. ტიერის სავარაუდო ნავსაყუდელად ისევ ინგლისს ასახელებენ.

ბაიერნი

# ვან ბომელი, ახალი კაპიტანი?

## კანი რეკორდმაისტერიდან კალკუტაში გააცილეს




ბაიერნის კაპიტნობის ფავორიტები: მარტინ დემიკელისი და მარკ ვან ბომელი

გუშინ **ოლივერ კანმა** მიუნხენის "ბაიერნში" უკანასკნელი შეხვედრა ჩაატარა. ამხანაგური მატჩი, რომელიც კალკუტაში გაიმართა და რომელშიც ბავარიელები ინდურ კლუბ "მოჰუნ ბაგანს" დაუპირისპირდნენ, რეკორდმაისტერმა 3:0 მოიგო. შეხვედრას 120 000 მაყურებელი დაესწრო.

*"ეს ჩემთვის განსაკუთრებული მომენტია. ამ შესანიშნავი სალამოსთვის ყველას მადლობას ვუხდი,"* - განაცხადა "ტიტანმა" საფინალო სასტვენის შემდეგ. **ოტმარ ჰიტცფელდმა**, რომლისთვისაც ეს მატჩი "ბაიერნის" მთავარი მწვრთნელის რანგში ასევე უკანასკნელი იყო, კანი 54-ე წუთზე **მიხაელ რენზინგით** შეცვალა. ბავარიელთაგან ორი გოლი **იან შლაუდრაფმა** გაიტანა, ერთიც **ზე რობერტომ**. სხვათა შორის, ბრაზილიელი მატჩის მიწურულს მოედნიდან გააძევეს.

კანს გერმანული ფეხბურთიდან ოფიციალურად 2 სექტემბერს გააცილებენ. მატჩი მიუნხენის "ალიანს არენაზე" შედგება. ერთმანეთს "ბაიერნი" და გერმანიის ნაკრები დაუპირისპირდებიან.

მანამდე, ბავარიელებს ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი აქვთ გადასაწყვეტი. ვინ გახდება მიუნხენური გიგანტის კაპიტანი? *"როდესაც გუნდს ისეთი ფიგურა ტოვებს, როგორიც კანია, ცხადია, რომ ახალი იერარქია უნდა შეიქმნას,"* - აცხადებს "ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე**, - *"ოლი ბოლო ათი წლის განმავლობაში გუნდის უმნიშვნელოვანესი ფიგურა იყო. ახლა კი, ჯერი იმ მოთამაშეებზეა, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში კანის უკან იდგნენ."*

გაირკვა, რომ კაპიტნის სამკლაურის მოპოვებისთვის ბრძოლაში ფავორიტი ჰოლანდიელი საყრდენი ნახევარმცველი **მარკ ვან ბომელია**. ეს ინფორმაცია რუმენიგემაც დაადასტურა, რომელმაც თქვა, რომ 31 წლის ვან ბომელი კანის შემცვლელის პოსტზე ნომერ პირველი კანდიდატია. ფაქტი ის არის, რომ ჰოლანდიელი კაპიტნობისთვის ზედგამოჭრილია.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ვან ბომელის კანდიდატურას თვითონ კანიც ემხრობა, რომელიც ამბობს: *"მარკი ყოველთვის გულანთებულია და ვფიქრობ, კაპიტნის სამკლაურს იმსახურებს."* ხელმძღვანელები თანხმდებიან იმაზე, რომ ვან ბომელი გუნდის პრობლემებს ყველაზე ადრე ამჩნევს და მისი რეაქცია ყოველთვის ზედგამოჭრილია. ესეც არ იყოს, დეკემბერში, შობის საზეიმო სალამოზე კაპიტნის როლი სწორედ ჰოლანდიელმა შეასრულა. გეხსომებათ, კანმა მაშინ რესტორანი ნაადრევად დატოვა.

რუმენიგემ კაპიტნობის მეორე კანდიდატიც დაასახელა: **მარტინ დემიკელისი**. არგენტინელმა გასრულებული სეზონის მეორე წრე მართლაც შთამბეჭდავად ჩაატარა. დემიკელისი მოედანზე ყოველთვის შემართულია და ვან ბომელთან ერთად თანაგუნდელებს ყველაზე ხშირად აგულიანებს ხოლმე. *"დემიკელისს ფეხბურთელები ძალიან დიდ პატივს სცემენ და ჩემი აზრით, მარტინიც ერთ-ერთი სერიოზული კანდიდატია,"* - ეს ჰიტცფელდის სიტყვები გახლავთ. "გენერალს" კაპიტნობისთვის **ლუკა ტონი** ან **ფრანკ რიბერიც** ემეტება, მაგრამ ოტმარის თქმით, იტალიელისა და ფრანგის მინუსი ამ შემთხვევაში ის არის, რომ მათ გერმანული არ იციან.



ოლივერ კანი

წესით, ბავარიელთა გუნდის თავი **ვილი სანიოლი** უნდა გამხდარიყო, მაგრამ როგორც ირკვევა, ეს თითქმის გამორიცხულია. დღის წესრიგში აღარ დგას **ლუსიოს** კაპიტნობაც. ფრანგ მცველს სასტარტო შემადგენლობაში თამაში განაღდებული აღარ აქვს და კაპიტნობაზე აღარცაა ლაპარაკი. ძირითადი შემადგენლობიდან ამოვარდნის საფრთხე ბრაზილიელსაც ემუქრება. თანაც, ლუსიო ბოლო დროს თითქმის სულ უკმაყოფილოა. ამას წინათ, კაპიტნობაზე პრეტენზია **ფილიპ ლამმაც** განაცხადა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ უკანასკნელს კანის სტატუსამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლია.

რუმენიგე: *"ოლივერ კანის სახით უდიდეს პერსონას ვკარგავთ, მაგრამ გაიხსენეთ, ასე მოხდა 1977 წელსაც, მაგრამ "ბაიერნმა" არსებობა მაშინაც არ შეწყვიტა."* კალე აბსოლუტურად მართალია, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **ფრანც ბეკენბაუერის** წასვლის შემდეგ, 1977/78 წლების სეზონში ბავარიელებმა ბუნდესლიგაში მხოლოდ მე-12 ადგილი დაიკავეს...

ასეა თუ ისე, ფაქტი ის არის, რომ კაპიტნის დანიშვნის საკითხში ბოლო სიტყვა მაინც გუნდის მომავალ მწვრთნელ **იურგენ კლინსმანს** ეთქმის.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. ლეგიონერები

# საფრანგეთი, რუსეთი, უკრაინა



უტევს ლაშა მალალურაძე, ოდესის კრედო

ქართველი მორაგბეების გინდები წარმატებით ასპარეზობენ საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალურ დივიზიონებში. ასე მაგალითად ფედერალ 1-ში, ელიტური მეორე დივიზიონში ალზევებისთვის იბრძვის **თედო ზიბზიბაძის** „პერიგო".

პერიგოელები პლეი ოფის ნახევარფინალის პირველ შეხვედრაში საკუთარ მოედანზე „კოლომიეს" დაუპირისპირდნენ და მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ 12:12. საპასუხო მატჩი 1 ივნისს „კოლომიეში" გაიმართება. გამარჯვების შემთხვევაში „პერიგო" ფინალში გავა და მეორე დივიზიონის საგზურს მოიპოვებს. მეორე ნახევარფინალში „ექსმა" შინ დაამარცხა „ბურგ ან ბრესი" 22:17.

ფედერალ 2-დან ერთი დივიზიონით მაღლა აინაცვლებენ **დავით ბოლღაშვილის** „ლილი" და **ლევან დათუნაშვილისა** და **რეზო გიგაურის** „მონლუსონი", თუმცა პლეი ოფში, დივიზიონში პირველობისთვის მაინც ასპარეზობენ. „ლილმა" მერვედფინალში „ნევერთან" წააგო მინიმალური ანგარიშით 20:21 და გათამაშებას გამოეთიშა.

იგივე ბედი ეწია „მონლუსონსაც" ჩვენებურების ეს გუნდი „მარსელთან" დამარცხდა 17:23. ფედერალ1-ში გადასასვლელად იბრძოდა **ბადრი ხეხელაშვილის** „კონიაკი", თუმცა მერვედფინალს ვერ გაცდა და მომავალ წელსაც ფედერალ 2-ში გაატარებს. კონიაკელები „არმატისთან" 5:9 დამარცხდნენ.

მორიგი გამარჯვება მოიპოვა რუსეთის სუპერლიგის ერთ-ერთმა ფავორიტმა **რატი ურუშაძისა** და **დავით კაჭარავას** „ენისეიმ". კრასნოიარსკელებმა თავის მოედანზე **დავით კიკნაძისა** და **ბექა ყურაშვილის** ნოვოკუზნეცკის „სმენა" დაამარცხეს 29:11. ყურაშვილი მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

უკრაინის ჩემპიონატში ისევ პირველობისთვის იბრძვის მოქმედი ჩემპიონი ოდესის „კრედო", რომელშიც ერთბაშად ექვსი ქართველი ასპარეზობს - **ლაშა** და **ჯაბა მალალურაძეები, გიორგი თოდრაძე, გიორგი გეგიძე, გიორგი ნიჟარაძე** და **თემურ სოხაძე**. მეთორმეტე ტურის შეხვედრაში ოდესელებმა საკუთარ მოედანზე ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი კიევის „არგონაუ" გაანადგურეს 56:0. ჯაბა მალალურაძემ ორი ლელო გაიტანა, გეგიძემ და თოდრაძემ თითო-თითო, ლაშამ რვაჯერ გარდასახა. „კრედო" სატურნირო ცხრილში 32 ქულით მეორე ადგილზეა.

ალსანიშნავია, რომ ოდესელი ქართველებიდან სამნი: ჯაბა მალალურაძე, გიორგი გეგიძე და გიორგი თოდრაძე უკრაინის შვიდკაცა რაგბის ნაკრების წევრები არიან.

**ბესიკ ჯანგავაძე**

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური.

# ბადეში მოხვდნენ



ბარსელონაში, მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპში პირველები ქალები ჩაებნენ. ქართულ წყვილ **საქა-რთველოს** ძირითად ბადეში მოსახვედრად საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვა მოუწია. ჩვენმა ფრენბურთელებმა ორი შეხვედრა გამართეს და ორივეში გაიმარჯვეს.

განსაკუთრებულ წინააღმდეგობას საქა-რთველო პირველ შეხვედრაში კანადური დუეტისგან **დანილოვა-პოტაარისგან** წააწყდა. პირველი სეტი კანადელებმა 22:20 მოიგეს. მეორეში ჩვენი ფრენბურთელების უპირატესობა თვალნათელი გახდა 21:8. თუმცა დასკვნით, გადამწყვეტ სეტში კანადელებმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლეს მაგრამ მაინც დამარცდნენ 16:14.

მეორე, ძირითად ბადეში გამსვლელ მატჩში საქა-რთველომ შედარებით ნაკლები ძალისხმევით იტალიელები **ჯიორია** და **მომოლი** დაამარცხა ორ სეტში 21:17, 22:20.

ვაჟები საკვალიფიკაციო შეხვედრებს დღეს გამართავენ, თუმცა გეორგია ბარსელონაში პირდაპირ ძირითად ბადეშია დაშვებული.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ტყვიის სროლა

# თასის ეტაპები მორჩა

გუშინ მილანში ძალზე უცნაურად დასრულდა ტყვიის მსროლელთა მსოფლიო თასის გათამაშება სპორტული პისტოლეტიდან სროლაში, სადაც **ნინო სალუქვაძემ** საბოლოოდ მეხუთე ადგილი დაიკავა, თუმცა ამაზე მნიშვნელოვანი და უცნაური შესარჩევ ეტაპში დაფიქსირებული შედეგებია. ფინალში გასული 8 სპორტსმენიდან ორმა, მონგოლმა გუნდეგმაა ოტრიადმა და იაპონელმა მიშიკო ფუკუშიმამ 583 ქულა დააგროვეს, დანარჩენმა 6-მა კი ერთნაირი შედეგი აჩვენა - 582. ამ ექვსეულში სალუქვაძეც იყო, რომელმაც მთელი ტურნირი, მთლიანობაში, სტაბილურად ჩაატარა - წინასწარ სროლებში მეოთხე იყო, სწრაფი სროლების მერე კი, როგორც გითხარით, მესამე ადგილისთვის იბრძოდა.

ჩვენდა სამწუხაროდ, სალუქვაძემ პოზიციები ფინალური სერიის მერე დათმო - მისი მონაგარი 198,6 აღმოჩნდა, ჯამში 780,6 დააგროვა და საბოლოოდ მეხუთეზე გავიდა. ტურნირი ოტრიადმა მოიგო, რომელიც ბოლო ხანებში ცოტა ჩრდილში მოექცა, მაგრამ მილანში საჩემპიონოდ გაისროლა - 787,9. მეორეზე 784,7-ით ავსტრალიელი ლოლიტა იევლევსკაია გავიდა, ბრინჯაოს კი მეორე მონგოლი, 783,6-იანი მუნკზულ ჩოგბადრანი დაეუფლა.

ამით მსოფლიო თასის ეტაპები დამთავრდა. ოლიმპიადამდე ასეთი სოლიდური ტურნირი არაა დარჩენილი, რაც სალუქვაძეს პრობლემებს უქმნის - თამაშებამდე დიდ შუალედი გამოუდის, თუმცა მას ზაფხულში რომელიმე შედარებით დაბალი რანგის ტურნირით შეავსებენ.

**ირაკლი თავაძე**

ხელბურთი

# ნაკრებმა მოთელვა დაიწყო

**საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში შეიკრიბა და ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მოსამზადებელ ეტაპს შეუდგა.**

ჯერჯერობით, გუნდის თავკაც **იმედო ფხაკაძის** განკარგულებაში არიან საქართველოს ჩემპიონატსა და თურქეთში მოთამაშე ხელბურთელები. მართალია, რუმინეთიდან გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **ვლადიმერ რუსია** (დინამო, ბუქარესტი) ჩამოვიდა, მაგრამ მას მცირე ტრავმა აწუხებს და სრულიად გამოჯანმრთელებამდე გაათავისუფლეს შეკრებიდან.

10 ივნისისთვის ელიან გუნდის კიდევ ორ საკვანძო მოთამაშეს - **რატი მსხვილიძესა** (სტიარნანი, ისლანდია) და **რეზო ჭანტურიას** (მეტალურგი, მაკედონია).

რაც შეეხება ნაკრების ლიდერ **სერგო დათუკაშვილს**, მისი ჩამოსვლის თარიღი, ჯერჯერობით, გაურკვეველია. სერგოს გერმანული "ლიუბეკე" ბუნდესლიგიდან გავარდა, ქართველი შუამარბი ახალ კლუბს ეძებს და ჯერჯერობით, სამშობლოში დაბრუნებას ვერ ახერხებს. თუმცა ნაკრების ხელმძღვანელობა იმედს არ კარგავს, რომ სერგო მინსკის ტურნირისთვის ნაკრებთან ერთად იქნება.

ჯერჯერობით, გუნდი მხოლოდ მსუბუქ, მოთელვითი სახის ვარჯიშებს სჯერდება. 5-6 ივნისიდან კი შეკრება და ინტენსიური მოსამზადებელი ეტაპი დაიწყება.

19 ივნისს, იმედო ფხაკაძის შეგირდები ბელორუსის დედაქალაქ მინსკისაკენ აიღებენ გეზს, სადაც 20-21 ივნისს, ოთხთა ტურნირზე ითამაშებენ.

მინსკში ჩვენი მეტოქეები იქნებიან ბელარუსი, რუსეთი და ლიტვა. ტურნირი ოლიმპიური სისტემით გაიმართება, ანუ ოთხეული ნახევარფინალით დაიწყებს, რასაც მესამე ადგილისთვის მატჩი ან ფინალი მოჰყვება. ამდენად, ჩვენი გუნდი ორ მატჩს ჩაატარებს.

მინსკიდან დაბრუნების შემდეგ, ნაკრები თბილისში გააგრძელებს მოსამზადებელ ეტაპს, ივლისის დასაწყისში კი იტალიის ქალაქ ვენეციას ესტუმრება მსოფლიო უნივერსიადაზე სათამაშოდ.

**კობა ხატისაშვილი**

# ქართველები ევროპის ჩემპიონატს განსჯიან



ნინო ელოშვილი და ინა ჭკუასელი

ევროპის ხელბურთის ფედერაციამ ქართველ მსაჯებს ევროპის ჩემპიონატზე მსაჯობის პატივი დასდო. ამის შესახებ გუშინ საქართველოს ხელბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ზურაბ კაკაბაძემ** გვაცნობა.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შვედეთში იმართება გრანდიოზული ახალგაზრდული სახელბურთო ფესტივალი "კარპილეს თასი". იქვე შედგება 18-წლამდელ გოგონათა ევროპის ჩემპიონატი, რომელსაც ოფიციალურად ეწოდება "EUROPEAN OPEN". სწორედ ამ შეჯიბრებაზე სამსაჯოდ მიიწვიეს ქართველ არბიტრთა დუეტი **ინა ჭკუასელისა** და **ნინო ელოშვილის** შემადგენლობით.

ალსანიშნავია, რომ "კარპილეს თასზე" საქართველოს 16-წლამდელ ვაჟთა ნაკრებიც უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ ფინანსური პრობლემის გამო, შვედეთში საქართველოს მხოლოდ მსაჯები წარმოადგენენ.

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. პლეიოფანალიზი

# შავ-თეთრი

დღეს, პლეი ოფის სტატისტიკას გთავაზობთ და სტატიას ციფრებით აღარ გადავტვირთავთ, ცხრილებში შეგიძლიათ ნახოთ, ვინ რამდენი ქულა ჩააგდო და ყველაზე მეტჯერ რომელი კალათბურთელი მოხვდა სტატისტიკურ ლიდერებში. აქ კი საჭირბოროტო საკითხებზე ვისაუბროთ, გავარკვიოთ, რა იყო კარგი გასულ ჩემპიონატში და რა - ცუდი.

## კარგი

სპორტის სასახლე. საქართველოს ჩემპიონატი ამ სეზონში პირველად გადმოვიდა ახალგარემონტებულ სპორტის სასახლეში. ასეთი ხარისხის არენაზე გამოსვლა ნებისმიერ კალათბურთელს ხარისხიან თამაშს ავალდებულებს. თავს კომფორტულად გრძნობს როგორც მოთამაშე, ასევე გულშემატკივარი. ერთკვირიანი მესამე წრე ვერის ბალის ძველ დარბაზში გაიმართა და თითქოს ლაკმუსის ქაღალდი ჩააგდესო - ნათლად გამოჩნდა, რა სხვაობაა სიბნელესა და სინათლეს შორის, ვერის დარბაზსა და სპორტის სასახლეს შორის. ვერის ბალის არენაც საჭიროა, მაგრამ მას ნორმალური პატრონი უნდა.

ფინალები. ფინალურმა სერიამ გაამართლა. გასულ წლებთან შედარებით ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მატჩები ვიხილეთ. შარშან "ენერჯი" სხვებზე ერთი თავით მაღლა იდგა და ფინალური სერია 3:0 მოიგო. 3 წლის უკან, მართალია, სტუ-მ სერიაში "ავია" დაძაბულ ბრძოლაში 3:2 დაამარცხა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველი კალათბურთელების ნახევარი აზიას იყო მოდებული - ირანსა და აზერბაიჯანში თამაშობდა: **ტულუში, ბეჟანიშვილი, ახალკაცი, ბარბაქაძე, მინაშვილი, ათანელიშვილი, კვიმსაძე, ბაბიაშვილი, ტუჯანი, როდუმტა, ჩიტაშვილი, სორდია**... ვინღა დარჩა?

ამ კალათბურთელებთან ყველამ კარგად ითამაშა 2007-08 წლების საქართველოს ჩემპიონატი, ხოლო 7 მათგანი სულაც ფინალის მონაწილე გახლდათ. არ ვამბობთ, საქმე ევროლიგის კლასის კალათბურთელებთან გვაქვსო, მაგრამ ზოგიერთის ინდივიდუალურმა ოსტატობამ ამა თუ იმ მატჩის ბედი გადაწყვიტა და ფინალებს დამატებითი ხიბლი შესძინა. თავად განსაჯეთ: ბოლო ოთხ მატჩში ყველაზე დიდი სხვაობა მხოლოდ 7 ქულა იყო - 90:83 - "ენერჯის" სასარგებლოდ.

ფინალების შემყურეს, კალათბურთის ფედერაციის მისამართით ერთი შეკითხვა გამიჩნდა: ხომ არ სჯობს ესტონეთს, ან NBA-ს მივბაძოთ და გადამწყვეტი სერია სამის ნაცვლად ოთხ მოგებამდე ავიყვანოთ? ოღონდ, გადაღლილი "ავიას" ხილვისას ერთი შენიშვნაც მქონდა: ზედიზედ ორი მატჩის ჩატარება ქართველებს ძალიან უჭირთ, უკეთესი იქნებოდა თამაშებს შორის ერთდღიანი დასვენება მაინც არსებობდეს. ასეა უკრაინაში, ესტონეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

გაფორმება. შარშანწინ ვერის ბალში ერთი კამერუნელი მასაჟისტი გავიცანი, რომლის ნათქვამი ახლაც მახსოვს: ჩემპიონატი არც ჩვენ გვივარგა, მაგრამ კამერუნში დარბაზში მოსულ ხალხს მოცეკვავეები მაინც ახალისებენო. ამ სეზონში, ბოლოს და ბოლოს, მივაგენით ისეთ მოცეკვავეებს, რომლებიც არა მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატის, ევროლიგის მატჩებსაც დაამშვენებენ. რაც მთავარია, სტუდია "ვერნისაჟის" გოგონები ერთ ადგილას არ დგანან და რეპერტუარს ნელ-ნელა ამრავალფეროვნებენ.

## ცუდი

აღმოსავლური მოძღვრება დაოსიზმის ნიშანი "ინი" და "იანი" ორფერაა - შავ-თეთრი. შავში ერთი თეთრი წერტილი ურევია, ხოლო თეთრში - შავი წერტილი. ამით იმის თქმა სურთ, რომ უარყოფითშიცაა დადებითის მარცვალი და - პირიქით. ჰოდა, როცა ცუდზე ვისაუბრებთ, არ უნდა დავივიწყოთ მასში კარგის მარცვალი. მაგალითისთვის გულშემატკივრობა ავიღოთ.

ქომაგობა. რუსთავურმა გულშემატკივრობამ ფინალურ სერიას დამატებითი ხიბლი შესძინა, მქუხარე დარბაზში თამაში კალათბურთელებსაც ენერგიას მატებდა. იყო რუსთაველი ქომაგების 20-30-კაციანი ჯგუფი, რომლებსაც უფროსი თაობისგან მხარდაჭერის წესები ჯერ არ აუთვისებია და მოწინააღმდეგის გინებით იყო დაკავებული. თუმცა, ფინალურ სერიაში რუსთაველთა ქომაგობა მაინც ერთი თეთრი მარცვალი იყო 2007-08 წლების ბნელეთში. აი, რას ვგულისხმობ: მთელი სეზონის განმავლობაში საინტერესო თუ უინტერესო მატჩები თითქმის ცარიელი ტრიბუნების წინაშე ტარდებოდა. არადა მეგონა, ჩემპიონატის სპორტის სასახლეში გადმობარგებით ქომაგთა რიცხვი მოიმატებდა. გულშემატკივართა სიმცირე ჩვენი პირველობის მთავარი მინუსი იყო. ამას შეიძლება რამდენიმე მიზეზი ჰქონოდა: შარშანდელისგან განსხვავებით ბილეთზე ფასის დაწესება (2 და 5 ლარი), რეკლამის არაეფექტურობა ან სიმცირე (მაგალითად, 23 მაისის ფინალის დღეს სპორტის სასახლის გარე კედელზე დიდი აბრა 11 მაისის ფრენბურთელთა მატჩზე წარსულში გვეპატიჟებოდა...), წინა სეზონთან შედარებით ფულადი გათამაშებების მოხსნა და მთავარი - საქართველოს ნაკრების მიერ მორიგ ციკლში იმედგამაცრუებელი თამაში. ასეა თუ ისე, მომავალ სეზონში გულშემატკივრობის საკითხი პირველ რიგშია მისახედი.

შავ ფონზე კიდევ უფრო მუქად ჩანს რეგიონებში უმაღლესლიგური გუნდების არარსებობის პრობლემა. თქვენ წარმოიდგინეთ, რა ამბავი იქნებოდა, რუსთავი თავისი ქომაგებით ბათუმსა და ქუთაისში რომ ჩადიოდეს, ან ეს დასავლური გუნდები მოდიოდნენ აღმოსავლეთში სავსე ავტობუსებით...

შეიძლება თემატიკიდან გადახვევად მოგეჩვენოთ, მაგრამ ძალიან მომწონს **ცინცაძის** გუნდის დასახელება - "როკი". ესტონეთში ყველა, ვინც როკს უსმენს "ტარტუ როკის" გულშემატკივარია. ასეთი მოსაზრებით საქართველოში კლუბებისთვის დასახელებების შერჩევა მეტ ქომაგს მოიზიდავს. ოღონდ, კარგი რეკლამა იქნება საჭირო.

კიდევ ერთ უარყოფითზე ვთქვათ და ეს თემა ისე დავხუროთ: თსუ-ს გულშემატკივრები დოლებით მაშინ შეიარაღდნენ და დარბაზში ორგანიზებულად სწორედ მაშინ მოვიდნენ, როცა ნახევარფინალურ სერიაში ოთხი მატჩი მომთავრებული იყო. იმედია, გაისისთვის თავიდან მოხერხდება ქომაგების დარაზმვა.

მსაჯობა. გვყავს ფიბას კატეგორიის სამი მსაჯი - **მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე და დავით ბერეკაშვილი.** ისინი მართლაც მაღალი კლასისანი არიან, თუმცა, ევროპასთან შედარებით საქართველოში მსაჯობა რთული რომ არის, ფინალების მსვლელობისასაც დავრწმუნდით: მეორე მატჩისას დაშვებული შეცდომების გამო, საჭირო გახდა ერთ-ერთი არბიტრის დასჯა, რომელმაც ბოლო ორი ფინალი გამოტოვა. იცით, რა არის ყველაზე ცუდი? - მისი შემცვლელი ვერ გამოიძებნა და სამის ნაცვლად ორმა არბიტრმა განსაჯა დარჩენილი მატჩები. წელს ორი ახალგაზრდა მსაჯი მუშაობდა, მაგრამ კრიტიკულ მომენტებში გამოცდილების არქონის გამო გაუჭირდათ და ფინალებში მათი გამოყვანა გაუმართლებელი იქნებოდა. ერთ-ერთმა მათგანმა, **დავით არეშიძემ** სულაც სხვა სამსახური გამოძებნა. მოკლედ, ფინალებმა გვიჩვენა, რომ სამი არბიტრი საკმარისი არ არის, საჭიროა სხვების დაინტერესებაც - თუნდაც ფინანსურად...

რეკლამის შესახებ ქომაგობის თემაზე საუბრისას უკვე ვთქვი, ცუდი კიდევ ის იყო, რომ რუსთავის დარბაზში სუნთქვა ჭირდა, ასევე ამ დარბაზიდან "საზოგადოებრივი მაუწყებელი" რეპორტაჟებს ვერ გადმოსცემდა...

იყო კიდევ ბევრი დადებითი და უარყოფითი მხარე, რომლებზე საუბარი შორს წაგვიყვანდა. ბოლოს ანონსის სახით გეტყვით, რომ სულ მალე შემოგთავაზებთ ჩვენი გაზეთის ტრადიციული გამოკითხვის შედეგებს. თუ გაინტერესებთ, იმასაც გეტყვით, რომ საუკეთესო კალათბურთელის წოდებას ერთმანეთს **გამყრელიძე, ტულუში** და **შერმადინი** ეცილებიან. ჯერჯერობით, ეს სამეული ლიდერობს...

**ვაჟა სიმონიშვილი**



| 1/2 ფინალი | |
|---|---|
| თსუ-ავიამშენი | 114:118 |
| თსუ-ავიამშენი | 93:85 |
| ავიამშენი-თსუ | 89:87 |
| ავიამშენი-თსუ | 71:79 |
| თსუ-ავიამშენი | 84:98 |
| ენერჯი-ვითა | 102:76 |
| ენერჯი-ვითა | 102:88 |
| ვითა-ენერჯი | 80:111 |

| მე-3 ადგ. | |
|---|---|
| თსუ-ვითა | 86:85 |

| ფინალი | |
|---|---|
| ენერჯი-ავიამშენი | 80:82 |
| ენერჯი-ავიამშენი | 90:83 |
| ავიამშენი-ენერჯი | 77:83 |
| ავიამშენი-ენერჯი | 76:83 |

| ყველაზე მეტი... | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქულა | 39 | იოვან სტეფანოვი | ავიამშენი-ენერჯი | 77:83 |
| მოხსნა | 14 | იოვან სტეფანოვი | ავიამშენი-ენერჯი | 77:83 |
| პასი | 11 | ლაშა გამყრელიძე | ენერჯი-ვითა | 102:76 |
| ჩაჭრა | 5 | ლაშა გამყრელიძე | ავიამშენი-ენერჯი | 76:83 |
| დაფარება | 5 | ლუკა ნოზაძე | თსუ-ვითა | 86:85 |
| შეცდომა | 7 | ბუბა კვიმსაძე | თსუ-ავიამშენი | 114:118 |
| | 7 | კოტე ტულუში | ავიამშენი-ენერჯი | 76:83 |

| | | | ფინალი/მე-3 | | | 1\2 ფინალი | | | პლეი ოფი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | თ | ქ | ქ/საშ. | თ | ქ | ქ/საშ | თ | ქ | ქ/ საშ |
| 1 | მიხეილ ბერიშვილი | ვითა | 0 | 0 | 0,0 | 3 | 66 | 22,0 | 3 | 66 | 22,0 |
| 2 | იოვან სტეფანოვი | ენერჯი | 4 | 88 | 22,0 | 3 | 64 | 21,3 | 7 | 152 | 21,7 |
| 3 | კოტე ტულუში | ავიამშენი | 4 | 93 | 23,3 | 5 | 92 | 18,4 | 9 | 185 | 20,6 |
| 4 | დავით ბარბაქაძე | თსუ | 1 | 20 | 20,0 | 5 | 96 | 19,2 | 6 | 116 | 19,3 |
| 5 | დავით ბერიშვილი | თსუ | 1 | 21 | 21,0 | 3 | 55 | 18,3 | 4 | 76 | 19,0 |
| 6 | ბესიკ ლეჟავა | ენერჯი | 2 | 33 | 16,5 | 3 | 53 | 17,7 | 5 | 86 | 17,2 |
| 7 | მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 1 | 6 | 6,0 | 5 | 94 | 18,8 | 6 | 100 | 16,7 |
| 8 | ლაშა გამყრელიძე | ენერჯი | 4 | 73 | 18,3 | 3 | 43 | 14,3 | 7 | 116 | 16,6 |
| 9 | გიორგი ნიკოლაძე | ავიამშენი | 4 | 42 | 10,5 | 5 | 75 | 15 | 9 | 117 | 13,0 |
| 10 | გიორგი მარხვაშვილი | ვითა | 1 | 16 | 16,0 | 2 | 23 | 11,5 | 3 | 39 | 13,0 |
| 11 | ზვიად ბაბიაშვილი | ენერჯი | 4 | 50 | 12,5 | 3 | 39 | 13,0 | 7 | 89 | 12,7 |
| 12 | შიო ხეცურიანი | თსუ | 1 | 10 | 10,0 | 5 | 61 | 12,2 | 6 | 71 | 11,8 |
| 13 | ვახტანგ მინაშვილი | ავიამშენი | 4 | 38 | 9,5 | 5 | 66 | 13,2 | 9 | 104 | 11,6 |
| 14 | რიჩარდ მათიაშვილი | ავიამშენი | 3 | 41 | 13,7 | 5 | 49 | 9,8 | 8 | 90 | 11,3 |
| 15 | დავით გვიმრაძე | ვითა | 1 | 15 | 15,0 | 3 | 26 | 8,7 | 4 | 41 | 10,3 |
| 16 | ბუბა კვიმსაძე | ავიამშენი | 4 | 43 | 10,8 | 5 | 49 | 9,8 | 9 | 92 | 10,2 |
| 17 | ლევან ტყემელაშვილი | თსუ | 1 | 10 | 10,0 | 5 | 48 | 9,6 | 6 | 58 | 9,7 |
| 18 | გიორგი მარკოიშვილი | ვითა | 1 | 8 | 8,0 | 3 | 30 | 10,0 | 4 | 38 | 9,5 |
| 19 | ვაკო ბეჟანიშვილი | ვითა | 1 | 12 | 12,0 | 3 | 25 | 8,3 | 4 | 37 | 9,3 |

| | | | ფინალი/მე-3 | | | 1\2 ფინალი | | | პლეი ოფი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | თ | მ | მ/საშ. | თ | მ | მ/საშ | თ | მ | მ/ საშ |
| 1 | იოვან სტეფანოვი | ენერჯი | 4 | 45 | 11,3 | 3 | 19 | 6,3 | 7 | 64 | 9,1 |
| 2 | რიჩარდ მათიაშვილი | ავიამშენი | 3 | 31 | 10,3 | 5 | 39 | 7,8 | 8 | 70 | 8,8 |
| 3 | პლასიდე როდუმტა | ავიამშენი | 4 | 36 | 9,0 | 2 | 11 | 5,5 | 6 | 47 | 7,8 |
| 4 | კოტე ტულუში | ავიამშენი | 4 | 30 | 7,5 | 5 | 34 | 6,8 | 9 | 64 | 7,1 |
| 5 | ლუკა ნოზაძე | ვითა | 1 | 8 | 8,0 | 3 | 19 | 6,3 | 4 | 27 | 6,8 |
| 6 | ვაკო ბეჟანიშვილი | ვითა | 1 | 12 | 12,0 | 3 | 14 | 4,7 | 4 | 26 | 6,5 |
| 7 | დავით ბარბაქაძე | თსუ | 1 | 7 | 7,0 | 5 | 31 | 6,2 | 6 | 38 | 6,3 |
| 8 | მიხეილ ბერიშვილი | ვითა | 0 | 0 | 0,0 | 3 | 19 | 6,3 | 3 | 19 | 6,3 |
| 9 | ზვიად ბაბიაშვილი | ენერჯი | 4 | 25 | 6,3 | 3 | 17 | 5,7 | 7 | 42 | 6,0 |
| 10 | ბუბა კვიმსაძე | ავიამშენი | 4 | 22 | 5,5 | 5 | 30 | 6 | 9 | 52 | 5,8 |
| 11 | შიო ხეცურიანი | თსუ | 1 | 7 | 7,0 | 5 | 25 | 5,0 | 6 | 32 | 5,3 |
| 12 | გიორგი მარკოიშვილი | ვითა | 1 | 4 | 4,0 | 3 | 17 | 5,7 | 4 | 21 | 5,3 |
| 13 | ჯულიენ ტუჯანი | ენერჯი | 4 | 19 | 4,8 | 3 | 16 | 5,3 | 7 | 35 | 5,0 |

| | | | ფინალი/მე-3 | | | 1\2 ფინალი | | | პლეი ოფი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | თ | პ | პ/საშ. | თ | პ | პ/საშ | თ | პ | პ/ საშ |
| 1 | ლაშა გამყრელიძე | ენერჯი | 4 | 21 | 5,3 | 3 | 20 | 6,7 | 7 | 41 | 5,9 |
| 2 | კოტე ტულუში | ავიამშენი | 4 | 24 | 6,0 | 5 | 29 | 5,8 | 9 | 53 | 5,9 |
| 3 | დავით არწივიძე | თსუ | 1 | 4 | 4,0 | 5 | 24 | 4,8 | 6 | 28 | 4,7 |
| 4 | შიო ხეცურიანი | თსუ | 1 | 3 | 3,0 | 5 | 23 | 4,6 | 6 | 26 | 4,3 |
| 5 | ბუბა კვიმსაძე | ავიამშენი | 4 | 15 | 3,8 | 5 | 23 | 4,6 | 9 | 38 | 4,2 |
| 6 | ბექა წივწივაძე | ვითა | 1 | 4 | 4,0 | 3 | 12 | 4,0 | 4 | 16 | 4,0 |
| 7 | გიორგი ნიკოლაძე | ავიამშენი | 4 | 19 | 4,8 | 5 | 16 | 3,2 | 9 | 35 | 3,9 |
| 8 | მიხეილ ჩიტაშვილი | ენერჯი | 4 | 13 | 3,3 | 3 | 12 | 4,0 | 7 | 25 | 3,6 |
| 9 | გიორგი მარხვაშვილი | ვითა | 1 | 7 | 7,0 | 2 | 3 | 1,5 | 3 | 10 | 3,3 |
| 10 | დავით ბერიშვილი | თსუ | 1 | 4 | 4,0 | 3 | 9 | 3,0 | 4 | 13 | 3,3 |
| 11 | იოვან სტეფანოვი | ენერჯი | 4 | 10 | 2,5 | 3 | 12 | 4,0 | 7 | 22 | 3,1 |
| 12 | რიჩარდ მათიაშვილი | ავიამშენი | 3 | 6 | 2,0 | 5 | 16 | 3,2 | 8 | 22 | 2,8 |

| | | | ფინალი/მე-3 | | | 1\2 ფინალი | | | პლეი ოფი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | თ | ჩ | ჩ/საშ. | თ | ჩ | ჩ/საშ | თ | ჩ | ჩ/ საშ |
| 1 | ლაშა გამყრელიძე | ენერჯი | 4 | 11 | 2,8 | 3 | 9 | 3,0 | 7 | 20 | 2,9 |
| 2 | დავით ბერიშვილი | თსუ | 1 | 2 | 2,0 | 3 | 7 | 2,3 | 4 | 9 | 2,3 |
| 3 | დავით ბარბაქაძე | თსუ | 1 | 0 | 0,0 | 5 | 13 | 2,6 | 6 | 13 | 2,2 |
| 4 | მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 1 | 0 | 0,0 | 5 | 12 | 2,4 | 6 | 12 | 2,0 |
| 5 | ბუბა კვიმსაძე | ავიამშენი | 4 | 7 | 1,8 | 5 | 9 | 1,8 | 9 | 16 | 1,8 |
| 6 | შიო ხეცურიანი | თსუ | 1 | 2 | 2,0 | 5 | 8 | 1,6 | 6 | 10 | 1,7 |
| 7 | კოტე ტულუში | ავიამშენი | 4 | 4 | 1,0 | 5 | 8 | 1,6 | 9 | 12 | 1,3 |
| 8 | გიორგი მარხვაშვილი | ვითა | 1 | 3 | 3,0 | 2 | 1 | 0,5 | 3 | 4 | 1,3 |
| 9 | იოვან სტეფანოვი | ენერჯი | 4 | 7 | 1,8 | 3 | 2 | 0,7 | 7 | 9 | 1,3 |
| 10 | ბექა წივწივაძე | ვითა | 1 | 2 | 2,0 | 3 | 3 | 1,0 | 4 | 5 | 1,3 |

| | | | ფინალი/მე-3 | | | 1\2 ფინალი | | | პლეი ოფი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | თ | დ | დ/საშ. | თ | დ | დ/საშ | თ | დ | დ/ საშ |
| 1 | ლუკა ნოზაძე | ვითა | 1 | 5 | 5,0 | 3 | 3 | 1,0 | 4 | 8 | 2,0 |
| 2 | პლასიდე როდუმტა | ავიამშენი | 4 | 5 | 1,3 | 2 | 5 | 2,5 | 6 | 10 | 1,7 |
| 3 | ზვიად ბაბიაშვილი | ენერჯი | 4 | 4 | 1,0 | 3 | 6 | 2,0 | 7 | 10 | 1,4 |
| 4 | მიხეილ ბერიშვილი | ვითა | 0 | 0 | 0,0 | 3 | 4 | 1,3 | 3 | 4 | 1,3 |
| 5 | დავით ბარბაქაძე | თსუ | 1 | 0 | 0,0 | 5 | 7 | 1,4 | 6 | 7 | 1,2 |
| 6 | ჯულიენ ტუჯანი | ენერჯი | 4 | 5 | 1,3 | 3 | 3 | 1,0 | 7 | 8 | 1,1 |
| 7 | რიჩარდ მათიაშვილი | ავიამშენი | 3 | 4 | 1,3 | 5 | 5 | 1,0 | 8 | 9 | 1,1 |

| | | | ფინალი/მე-3 | | | 1\2 ფინალი | | | პლეი ოფი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | თ | შ | შ/საშ. | თ | შ | შ/საშ | თ | შ | შ/ საშ |
| 1 | კოტე ტულუში | ავიამშენი | 4 | 18 | 4,5 | 5 | 14 | 2,8 | 9 | 32 | 3,6 |
| 2 | ბექა წივწივაძე | ვითა | 1 | 4 | 4,0 | 3 | 9 | 3,0 | 4 | 13 | 3,3 |
| 3 | რიჩარდ მათიაშვილი | ავიამშენი | 3 | 10 | 3,3 | 5 | 14 | 2,8 | 8 | 24 | 3,0 |
| 4 | დავით ბერიშვილი | თსუ | 1 | 4 | 4,0 | 3 | 8 | 2,7 | 4 | 12 | 3,0 |
| 5 | ლაშა გამყრელიძე | ენერჯი | 4 | 11 | 2,8 | 3 | 9 | 3,0 | 7 | 20 | 2,9 |
| 6 | ბუბა კვიმსაძე | ავიამშენი | 4 | 12 | 3,0 | 5 | 12 | 2,4 | 9 | 24 | 2,7 |
| 7 | გიორგი ნიკოლაძე | ავიამშენი | 4 | 10 | 2,5 | 5 | 10 | 2 | 9 | 20 | 2,2 |
| 8 | დავით ბარბაქაძე | თსუ | 1 | 5 | 5,0 | 5 | 8 | 1,6 | 6 | 13 | 2,2 |
| 9 | მიხეილ ბერიშვილი | ვითა | 0 | 0 | 0,0 | 3 | 6 | 2,0 | 3 | 6 | 2,0 |
| 10 | იოვან სტეფანოვი | ენერჯი | 4 | 8 | 2,0 | 3 | 5 | 1,7 | 7 | 13 | 1,9 |
| 11 | შიო ხეცურიანი | თსუ | 1 | 2 | 2,0 | 5 | 9 | 1,8 | 6 | 11 | 1,8 |
| 12 | მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 1 | 1 | 1,0 | 5 | 10 | 2,0 | 6 | 11 | 1,8 |
| 13 | ვახტანგ მინაშვილი | ავიამშენი | 4 | 2 | 0,5 | 5 | 14 | 2,8 | 9 | 16 | 1,8 |

*შენიშვნა: თ-თამაში, ქ-ქულა (ქ/საშ-ქულა საშუალოდ), მ-მოხსნა, პ-პასი, ჩ-ჩაჭრა, დ-დაფარება, შ-შეცდომა.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ინტერვიუ ეკა გორგოძესთან

# სწავლა მოიასთან

ეკა გორგოძე 16 წლისაა და ყველა მონაცემი აქვს საამისოდ, რომ დიდი ჩოგბურთი ითამაშოს. წლევანდელიდან კი ბედმა დიდი საჩუქარი უძღვნა და ესპანეთში, მალიორკაში, ცნობილი ესპანელი ჩოგბურთელის კარლოს მოიას სახელობის საჩოგბურთო აკადემიაში ვარჯიშის საშუალება მიეცა. ცხადია, ასეთ სკოლაში წვრთნა და ცხოვრება სოლიდურ თანხებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ეკას აქაც გაუმართლა - ფეხბურთელი დავით მუჯირი (უმცროსი) გახდა მისი სპონსორი. ცოტა უცნაური კი არის, მოქმედი ფეხბურთელი რომ სხვას მეოხად უდგება, მაგრამ უმიზეზოდ არაფერი ხდება და ამაზე თავად ეკა ისაუბრებს, რომელიც ახლახან ჩამოვიდა სამშობლოში და ორიოდ კვირას დაჰყოფს თბილისში.



ეკა გორგოძე

- დათო მუჯირი და მე ბავშვობის მეგობრები ვართ - ჩვენი მამებიც სიყრმის მეგობრები არიან და დღე არ გავა, ერთმანეთი არ მოიკითხონ. დათომ თავად გადაწყვიტა, რომ ჩემთვის ფინანსური დახმარება გაეწია, აბსოლუტურად ყველაფერს მიფინანსებს - მოიას აკადემიაში სწავლას, ტურნირებზე გამგზავრებას და ასე შემდეგ. მისი უდიდესი მადლიერი ვარ და ვეცდები "ვალი" კარგი თამაშით და წარმატებებით გავუსტუმრო.

**- მოიას აკადემიაში როგორ მოხვდი?**

- ბატონმა არჩილ კეკელიამ გამიკვალა გზა - მისი დახმარების შედეგია ჩემი მალიორკაზე მოხვედრა. რეჟიმი საკმაოდ მკაცრია, თუმცა განტვირთვის და დასვენების საშუალებაც გვაქვს. წვრთნა ჯგუფურად მიმდინარეობს; მე ათკაციან ჯგუფში ვარ. ერთბაშად რამდენიმე მწვრთნელი ზრუნავს ჩვენზე - ზოგი რას გვასწავლის და ზოგი - რას. ვარჯიში დილით გვეწყება, მაგრამ შესაძლოა კვირაში რამდენიმე დღე 9-ზე დავიწყოთ, რამდენჯერმე კი 11-ზე; ორივე შემთხვევაში 2,5 საათი გრძელდება წვრთნა. მეორე ვარჯიში ოთხის ნახევარზე გვაქვს - კორტზე, საათნახევრის განმავლობაში; შემდეგ ერთი საათი ფიზმომზადებას გავდივართ: რბენებით და ტრენაჟორებით ვიტვირთებით. პარასკევობით თამაშობები გვაქვს: ფეხბურთით, კალათბურთით, ფრენბურთით, - ასეთი მიდგომა გვახალისებს, რაც ფსიქოლოგიურ განწყობასაც გვიმაღლებს. შაბათი შედარებით მსუბუქი ვარჯიშით შემოიფარგლება - დილით საათნახევრით ვიტვირთებით. კვირა დღე კი მთლიანად თავისუფალი გვაქვს.

**- სწავლის ხანგრძლივობა როგორია? თუ შენ ინდივიდუალური კონტრაქტი გაქვს გაფორმებული?**

- სწავლის დრო განსაზღვრული არ არის. მე სამი თვის წინათ ჩავედი და რახან ვიზა დამიმთავრდა, ჩამოვედი საქართველოში. სამწუხაროდ, ერთწლიანი ვიზა ვერც ამჯერად მოხერხდა და კვლავ სამი თვით მომიწევს წასვლა. აკადემიაში კი იმდენ ხანს ვისწავლი, რამდენის საჭიროებასაც დავინახავთ მეც და აკადემიის პედაგოგები. იმედი მაქვს, რომ ჩვენი თანამშრომლობა დიდხანს გაგრძელდება, იქაური პირობებით ძალიან კმაყოფილი ვარ.

ერთი პრობლემა ის იყო, რომ მე ზღვის პროდუქტები არ მიყვარს და თავიდან გამიჭირდა - იქ ძირითადად, ზღვის პროდუქტებისგან ამზადებენ კერძებს. სხვათა შორის, არც ხორცეული მიზიდავს - ვეგეტარიანელი ვარ და სალათები და სხვა მსუბუქი საკვები მიყვარს. ამიტომ ვთხოვე ხელმძღვანელობას, რომ ჩემი გემოვნების საკვები დაემზადებინათ ჩემთვის და თანხმობაც მივიღე.

**- მიუხედავად ამისა, არცთუ იშვიათად ზედმეტი წონის პრობლემა გაქვს...**

- ტკბილეული მიყვარს ძალიან და ამიტომაც ვიმატებ ხოლმე. ცხადია, აკადემიაში მიშლიან ტკბილეულის ჭამას, მაგრამ მცირე რაოდენობით მაინც მივირთმევ. დღეისთვის წონის პრობლემა აღარ მაქვს - დატვირთული საწვრთნელი რეჟიმი კარგად მოქმედებს სპორტულ ფორმაზე.

**- შედეგებმა რომ მოიმატა, აშკარაა - რამდენიმე ტურნირში წარმატებით იასპარეზე ამ მოკლე დროში. თუმცა გასული წლის ბოლოს და მომდევნო რამდენიმე თვის მანძილზე მარცხენა ხელის ტრავმა გაწუხებდა და თამაშს გიშლიდა. მოირჩინე ტრავმა თუ კვლავ გაწუხებს?**

- მალიორკაზე ჩასვლასას, ცხადია, ამ პრობლემის უმთავრესი ყურადღება მივაქციეთ და იქაურ სპეციალისტებთან მივედით გასინჯვაზე. აღმოჩნდა, რომ ტკივილები არასწორი მოწოდების ბრალი ყოფილა, ანუ ხელს ვიქნევდი არასწორად. ექიმმა მითხრა, რომ იდაყვში ტკივილიც აქედან მოდის და თუ სწორად ჩაავნდი, ყველაფერი გაივლისო. ასეთ დიაგნოზს ნამდვილად არ ველოდი - საქართველოში კარგა ხნის მანძილზე ვმკურნალობდი და თუ მიზეზი ეს იყო, რას ვიფიქრებდი?! საბედნიეროდ, ესპანელი ექიმები აბსოლუტურად მართლები აღმოჩნდნენ და იქაურ მწვრთნელთა დახმარებით გავასწორე თუ არა მოწოდება, ტკივილები უკვალოდ გაქრა. თუმცა ორკვირიანი მკურნალობა მაინც ჩამიტარეს, რადგანაც ძვლები გადატვირთული იყო და მცირე ჩარევას საჭიროებდა.

**- თქვი, რომ რამდენიმე მწვრთნელი გავარჯიშებს. ინდივიდუალური მზადების სისტემა არ არის აკადემიაში მიღებული თუ სურვილისამებრ შეგიძლია, აირჩიო და აიყვანო კერძო მწვრთნელი?**

- შესაძლოა, თუ სურვილი გექნება, კერძო მწვრთნელიც აიყვანო, - ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ იქ ისე იღლები, კერძო ვარჯიშებს თავი ნამდვილად აღარ გაქვს. თანაც ყველა კომპონენტს ამუშავებ და თითოეულზე სხვადასხვა სპეციალისტი გეხმარება. ასე რომ, მე ვერც საჭიროებას ვხედავ და სურვილიც არა მაქვს დამატებით ინდივიდუალურად ვივარჯიშო.

**- საქართველოში რამდენ ხანს რჩები?**

- ორი კვირა მომიწევს აქ ყოფნა. ვიზას გავაკეთებ თუ არა, გავემგზავრები.

**- სპორტულ ფორმას როგორ ინარჩუნებ?**

- ლეილა მესხის კორტებზე დილის 8 საათზე ვვარჯიშობ. სპარინგობას ამ აკადემიის პედაგოგი "მარადონა", გოგი ციცვიძე მიწევს. კორტებზე ტურნირი მიმდინარეობდა და ორჯერ ვარჯიშს ვერ ვახერხებდი, ტურნირი დასრულდა და ორჯერად ვარჯიშზე გადავალ, რაც სპორტულ ფორმას შემინარჩუნებს.

**- ვიცი, რომ როლან გაროსის ახალგაზრდულ ტურნირში თამაშს აპირებდი, მაგრამ ვიზის გამო ვერ წახვედი. უიმბლდონზე თუ გეგმავ მონაწილეობას?**

- საფრანგეთში რომ ვერ წავედი, ძალიან დამწყდა გული, მაგრამ არაუშავს - ტურნირები მრავლადაა და სათამაშო პრაქტიკა არ მომაკლდება. თუმცა კონკრეტულად სად ვითამაშებ, ახლა ვერ გეტყვით - ამაზე აკადემიის პედაგოგები ზრუნავენ და თავად გეგმავენ ყველაფერს. ვნახოთ, როგორ დამიგეგმავენ წლის დარჩენილ თვეებს.

**- ყოველ შემთხვევაში, ალბათ ასაკობრივი ტურნირების გარდა, ქალთა შორისაც მოგიწევს მონაწილეობა.**

- აუცილებლად. ჩემი მთავარი მიზანი კი არის 18 წლამდელებში საუკეთესო შედეგი ვაჩვენო, მაგრამ პარალელურად ქალთა ტურნირებშიც მსურს ვითამაშო, რაც ოსტატობის დახვეწასა და გამოცდილების გამდიდრებაში დიდად შემეწევა.

**- წარმატებებს გისურვებ.**

- დიდი მადლობა.

**ზვიად შათირიშვილი**



ეკა გორგოძე და დავით მუჯირი (უფროსი)

# ქართული მეოთხედფინალისთვის

**სალომე დევიძე** კარსონის (აშშ) ქალ ჩოგბურთელთა ტურნირის (50 ათასი დოლარი) საკვალიფიკაციო ბადეში თამაშობს, მე-8 ნომრად განთესილი ქართველი უკვე ფინალურ წრეშია. გუშინ მან სამ სეტში დაამარცხა ამერიკელი **კიმ ან ნგუენი** – 4:6, 7:6 (2), 6:3. ფინალურ წრეში სალომეს მეტოქე კიდევ ერთი ამერიკელია, 25 წლის **მორინ დიასი**. ძირითად ბადეში მე-4 ნომრად განთესილია 18 წლის **ანა ტატიშვილი**, რომლის მეტოქეც სამხრეთაფრიკელი **სურინა დე ბეერი** (346) იქნება. დე ბეერი 30 წლისაა, ათი წლის წინათ ის მსოფლიოს 130-ე ჩოგანი იყო, წყვილთა თანრიგში კი საუკეთესო 50-ეულში შედიოდა. წყვილთა თანრიგში ანა უკვე ტრადიციულ მეწყვილესთან, **კიმბერლი კაუტსთან** ერთად გამოვა, ვისთანაც კარიერაში პირველი ტიტული მოიგო. მათი პირველი მეტოქეები იქნებიან, ხორვატი **აკიკი** და ამერიკელი **ლიუოტერსი**. ამერიკაშივე, ოღონდ სამტერის ტურნირში (10 ათასი დოლარი) ძირითად ბადეშია **სოფიო მელიქიშვილი**, მისი პირველი მეტოქე საკვალიფიკაციო ბადიდან გამოსული ჩოგბურთელი იქნება.

რუსეთში, ტოლიატის თასზე (25 ათასი დოლარი) წარმატებით დაიწყო ასპარეზობა 17 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ**. ოქსანამ ძირითად ბადეში საკვალიფიკაციო ბადიდან გააღწია და იქაც მოიგო, პირველ წრეში მან რუსი **ევგენია პაშკოვა** დაამარცხა ორ სეტში – 6:2, 7:6 (4). მე-4 ნომრად განთესილმა **სოფიო შაფათავამ** რუსი **ეკატერინა დრანეცს** მოუგო. შესაძლოა, მეოთხედფინალი ქართული გამოდგეს, თუმცა იქამდე კალაშნიკოვამ და შაფათავამ თითო მეტოქე უნდა დაამარცხონ. მერვედფინალში სოფიო რუს **მარია ჟარკოვას** დაუპირისპირდება, ოქსანას მეტოქე კი მე-6 ნომრად განთესილი ავსტრიელი **მაირია**. წყვილთა თანრიგში ჩვენებურთაგან მხოლოდ შაფათავა თამაშობს, რომლის დუეტი რუს **მარინა შამაიკოსთან** ტურნირის ორგანიზატორებმა მე-3 ნომრად განთესეს.

თურქული გაზიანთეფის ტურნირის (10 ათასი დოლარი) ძირითადი ბადის პირველი ბარიერი დაძლია **ანა ჯიქიამ**, მან სამხრეთაფრიკელი **ლიზა მარშალი** დაამარცხა – 6:4, 3:6, 7:6 (4). მისი მეტოქე მეორე წრეში ავსტრალიელი **დანიელი სკივეტი** იქნება. **ნინო მოწყობილმა** ესპანური ტორტოზას (10 ათასი დოლარი) პირველი საკვალიფიკაციო წრის მატჩში წააგო რუს ინა აგაევასთან – 1:6, 3:6.

პოლონეთში, კრაკოვის ტურნირის (10 ათასი დოლარი) საკვალიფიკაციო ბადეში მეორე წრეში დამარცხდა მე-7 ნომრად განთესილი **გიორგი ხრიკაძე**, მან მასპინძელ **კრჟიშტოპ კვასნიევიჩთან** წააგო – 4:6, 6:7 (0). საქართველოს ნაკრების ყოფილ წევრს პირველ წრეში დასვენება ერგო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



# მედლების უმეტესობა საქართველოს



გუშინ, საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტმა, **კახა ბასილიამ** ჩეხეთიდან დარეკა და ქართული კარატეს გულშემატკივრებისთვის ფრიად სასიხარულო ინფორმაცია მოგვაწოდა — ჩვენებმა რუსეთის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატი მოუგეს გუნდურ კუმიტეში. საქართველოს ეროვნულ ნაკრების ღირსებას, **ლევან გორელაშვილი, დავით და ირაკლი ტყებუჩავა, ალექსანდრე ჟამურაშვილი** და **გიორგი ლიპარტელიანი** იცავდნენ. საქართველომ რუსეთ კრიტიკულ სიტუაციაში სძლია — მხოლოდ ერთი ქულით. ევროპაში რუსული კარატე ერთ-ერთი ძლიერი და ანგარიშგასაწევია. ცხადია, ამ ჩემპიონატზეც აშკარა ფავორიტი იყო, მაგრამ ახლა საქართველომ დაჩრდილა.

" ნამდვილად ბედნიერები ვართ, ევროპის უძლიერესი ნაკრები დავამარცხეთ, თასი და ოქროს მედალი ჩვენს ქვეყანას მოვუტანეთ. დამეთანხმებით, ევროპის ამ მეტად პრესტიჟული, ასპარეზობის მოგება ახალგაზრდებს შორის, რომელშიც 25 ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები მონაწილეობდნენ, ბევრს ნიშნავს. მადლობა სპორტის დეპარტამენტს, ბატონ **დავით ნამგალაურს** და „ტაოპრივატბანკის" პრეზიდენტს, ბატონ **კახა უგულავას** დახმარებისთვის. ასევე სპონსორი და ჩვენი გულშემატკივარი გახდა „ასლიანს ჯგუფი ფიტნესი", რომელიც აქტიურად თანამშრომლობს ჩვენთან"- განაცხადა ჩეხეთიდან სატელეფონო საუბრისას საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტმა, კახა ბასილიამ.

ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა

# როლან გაროსი დაიტბორა




გუშინაც, პარიზის "როლან გაროსის" კორტებზე ციდან მოვლენილი წყალი ბატონობდა, თუმცა ამინდმა საფრანგეთის ღია პირველობის ორგანიზატორებს იმის საშუალება მაინც მისცა, რომ სამი საათის დაგვიანებით, წინ დღეს გადადებული თამაშები განახლებულიყო და ზოგიერთი მათგანი დამთავრებულიყო კიდეც. საერთო ჯამში, სურ 13 შეხვედრის (ხუთი მამაკაცებში და რვა - ქალებში) დასრულება მოხერხდა. მერე კი ისევ გაწვიმდა და ჩოგბურთელებმაც გასახდელებს მიაშურეს.

გრაფიკის მიხედვით, სამი დღის შემდეგ, პირველი წრის ყველა, 128-ვე შეხვედრა გამართული უნდა ყოფილიყო, მაგრამ წვიმის გამო, მხოლოდ 68-ის დასრულება მოხერხდა. ჰოდა, ტურნირის ორგანიზატორებს ამ დაუმთავრებელი თამაშების გადანაწილება მოუწევთ. მაგრამ არავინ იცის, მომდევნო დღეებში მაინც თუ გამოიდარებს...

ფრანგი მაყურებლის გასახარად, დამთავრებული 13 შეხვედრიდან, ერთში გამარჯვება მათმა თანამემამულე, **ამელი მორესმომ** მოიპოვა. მისთვის უჩვეულოდ ცუდ ფორმაში მყოფი ჩოგბურთელისგან, ეს ფრანგული კოჰორტისთვის მცირე კომპენსაციაა იმ ორი დანაკლისის შემდეგ, რაც მან ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე განიცადა. შეგახსენებთ, რომ ტრავმის გამო, "როლან გაროსზე" თამაშისგან თავი ორმა საუკეთესო ფრანგმა ჩოგბურთელმა – **რიშარ გასკემ** და **ჟო-ვილფრედ ცონგამ** შეიკავა, რითაც საფრანგეთის ღიაზე ფრანგი ჩოგბურთელის ტრიუმფი, მინიმუმ კიდევ ერთი სეზონით გადაიდო.

ბარემ შეგახსენებთ, რომ "როლან გაროსის" სასლემო ტურნირი ფრანგთაგან ბოლომ სახელოვანმა **იანიკ ნოამ** 25 წლის წინათ მოიპოვა.

ჰოდა, ახლა ფრანგებს იმედად მორესმოლა შემორჩათ, რომელიც თავისი ზეობის პერიოდშიც ვერ ახერხებდა სათიხნრო სლემ-ტურნირის მოგებას (ავსტრალიის ღიას და უიმბლდონის ყოფილი ჩემპიონი კია), ახლა კი, მუცლის კუნთის ტრავმით გაწამებულმა, ძლივს, სამ სეტში მოუგო უკრაინელ **ოლგა სავჩუკს**, რისთვისაც თითქმის ორსაათნახევარი დასჭირდა.

*"ტურნირისთვის მზადება გვიან დავიწყე და ეს ჩემს თამაშს აშკარად ეტყობოდა. რამდენჯერმე კარგად ვითამაშე, მაგრამ ბევრ შეცდომასაც ვუშვებდი. მესამე სეტით კი კმაყოფილი დავრჩი. ვიმედოვნებ, მომდევნო ეტაპებზეც ასე გავაგრძელებ"*, - ნამატჩევს განაცხადა მორესმომ, ვინც პირველ სეტში, მეტოქეს სამი ბრეიკის საშუალება მისცა, თუმცა თავად ოთხი აუღო.

პირველი სეტის დასრულებისთანავე, ისევ გაწვიმდა და ჩოგბურთელებმა სამ საათზე მეტი დაისვენეს. თამაშის განახლების შემდეგ, მეტოქეები თავის მოწოდებაზე უკეთ ათამაშდნენ, მაგრამ მეათე გეიმში უკრაინელმა მცირე შანსი მიიღო და გამოიყენა კიდეც, რითაც სეტებში ანგარიში გაათანაბრა.

მაგრამ გადამწყვეტ სეტში, მორესმომ თავის თამაშს მიაგნო და სიტუაციაც მაშინვე მის სასარგებლოდ შეიცვალა. მისმა ბექჰენდმა სავჩუკს ბევრი პრობლემა შეუქმნა და შედეგად, უკრაინელმა მხოლოდ ერთი გეიმის ალებაღა შეძლო. თამაშის დასრულების შემდეგ, მორესმომ განაცხადა, ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც კი დარწმუნებული ვიყავი, რომ არ წავაგებდიო.

მორესმოს მსგავსად, პირველი წრის შეხვედრების დასრულება მოასწრეს ტურნირის რუსმა ფავორიტებმა, **სვეტლანა კუზნეცოვამ** და **დინარა საფინამ**, რომლებმაც ორ-ორი სეტი იმყოფინეს (შესაბამისად) იაპონელი **აიკო ნაკამურასა** და უკრაინელი **კატერინა ბონდარენკოს** დასამარცხებლად. ტურნირის მესამე დღე წარუმატებელი გამოდგა უკრაინელი მეჩოგნეებისთვის, რომლებმაც სავჩუკისა და ბონდარენკოს გარდა, **მარია კორიტცევაც** დაკარგეს. ამ უკანასკნელს ორ სეტში პოლონელმა **აგნიეშკა რადვანსკამ** მოუგო.

სხვათა შორის, ჩოგბურთიდან ახლახან წასული ბელგიელი ჟუსტინ ანენი, ვისაც საფრანგეთის ღია სამჯერ აქვს მოგებული, თვლის, რომ წლეულს ტურნირის მოგების ყველაზე რეალური შანსი კუზნეცოვას აქვს, თუმცა ჩოგბურთიდან მისი წასვლის შემდეგ, "როლან გაროსზე" ტრიუმფის იმედი ამერიკელ **სერენა უილიამსსა** და სერბ **ელენა იანკოვიჩსაც** გაუჩნდათ. უფრო მეტიც, იანკოვიჩი არ მალავს, რომ ჟუსტინის წასვლა მას ბევრ პრობლემას მოუხსნის. მისი ეს ფარული სიხარული გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ ის ანენს სულ ცხრაჯერ შეხვედრია და ყველა შემთხვევაში, კორტი წაგებულს დაუტოვებია.

*"ჟუსტინისგან ყველაზე მეტი პრობლემა მქონდა, მის წინააღმდეგ თამაში არანაირად არ გამომდიოდა. ჰოდა, ახლა, როცა ის წავიდა, ტურნირის მოგების მეტი შანსი გამიჩნდა. დიდი სლემის ტურნირის მოგება ჩემი ოცნებაა. სამჯერ ვიყავი ნახევარფინალებში და ყოველთვის იმ ჩოგბურთელთან ვაგებდი, ვინც შემდეგ ჩემპიონი ხდებოდა. მოკლედ, ჩემი შანსები მნიშვნელოვნად გაიზარდა"*, - ამბობს იანკოვიჩი და დასძენს, რომ ვინც "როლან გაროსს" მოიგებს, მსოფლიოს პირველი ჩოგანიც ის გახდება. თუმცა, იმავდროულად არ სურს, რომ ფავორიტთა შორის მოიხსენიებოდეს. ალბათ, გათვალვისა თუ ეშინია...

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**მამაკაცები**

**ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)**-ტომას იოჰანსონი (შვედ) 6:3, 6:3, 6:3; **სტანისლას ვავრინკა (შვეი, 9)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) 6:3, 6:4, 6:3; **რობინ სოდერლინგი (შვედ)**-ხუან მონაკო (არგ, 13) 6:2, 6:3, 6:1; **მარიო ანჩიჩი (ხორვ)**-ანდრეას ზეპი (იტა, 31) 6:2, 7:6(1), 6:2; **პოლ კაპდევილი (ჩილ)**-მიშა ზვერევი (გერ) 6:1, 6:4, 6:2

**ქალები**

**სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 4)**-აიკო ნაკამურა (იაპ) 6:2, 6:3; **დინარა საფინა (რუს, 13)**-კატერინა ბონდარენკო (უკრ) 6:1, 6:3; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 14)**-მარია კორიტცევა (უკრ) 6:4, 6:3; **ამელი მორესმო (საფრ, 22)**-ოლგა სავჩუკი (უკრ) 7:5, 4:6, 6:1; **აი სუგიამა (იაპ, 31)**-ალა კუდრიავცევა (რუს) 6:1, 2:6, 6:3; **საბინ ლისიცკი (გერ)**-ელენა ვესნინა (რუს) 3:6, 6:4, 6:0; **ოლივა სანჩესი (საფრ)**-იარმილა გაიდოშოვა (სლვკ) 7:6(4), 7:6(8); **კარლა სუარეს ნავარო (ესპ)**-პაულინ პარმენტიე (საფრ) 6:4, 5:7, 6:2

მძლეოსნობა. პეკინის ოლიმპიადამდე

# სალადინო რეკორდს უახლოვდება

ჰოლანდიაში, ქალაქ ჰენგელოში გამართულ ტურნირზე, ფანტასტიკური ნახტომი შეასრულა სიგრძეზე ხტომაში მსოფლიოს ჩემპიონმა, პანამელმა **ირვინგ სალადინომ**, ვინც თავის საუკეთესო ცდაზე 8.73-მეტრიანი ნახტომი შეასრულა. ეს ყველა დროის მეშვიდე უგრძესი და ბოლო 14 სეზონში ყველაზე შორეული ნახტომია. თანაც, უფრო გრძელი ექვსი ნახტომიდან, სამი მაღალმთიან რეგიონშია შესრულებული.

*"მე თვითონაც გაოცებული ვარ. პირველად 8.50 მეტრზე გადავხტი და მაშინაც თავი სიზმარში მეგონა. ჰოდა, ამის შემდეგ გაცილებით შორეული ნახტომი მქონდა. ეს საოცრებაა"*, - განაცხადა სალადინომ, ვისი მანამდელი საუკეთესო ნახტომიც 8.57 მეტრი იყო.

აღსანიშნავია, რომ სალადინოს უკვე ზედიზედ 21 ტურნირი აქვს მოგებული. ჰენგელოში მან სულ სამი ნახტომი შეასრულა და მერე თავი იმართლა, პეკინის ოლიმპიადისთვის ვინახავ ძალებსო. თუმცა პეკინამდე მისი მიზანი მძლეოსანთა ოქროს ლიგის შეხვედრებში კარგად გამოსვლა და მილიონდოლარიანი ჯეკპოტის მოპოვებაა.

ჰენგელოშივე, პეკინის ოლიმპიადის საგზურის მოსაპოვებლად სერიოზული ნაბიჯი გადადგა სახელოვანმა ეთიოპიელმა სტაიერმა **ჰაილე გებრსელასიემ**. იმისათვის, რომ პეკინის საგზურის მიღების შანსი შეენარჩუნებინა, გებრეს 10 000 მეტრი 27 წუთზე ნაკლებში უნდა გაერბინა და მინიმუმ, მეორე ადგილი უნდა დაეკავებინა. საქმეს ის გარემოებაც ართულებდა, რომ ოლიმპიურ ჩემპიონ **კენენისა ბეკელეს** გარდა, ჰენგელოში ამ დისტანციის ყველა წამყვანმა ეთიოპიელმა და კენიელმა სტაიერმა იასპარეზა.

გებრემ ამოცანას კარგად გაართვა თავი. დისტანცია მან 26 წუთსა და 51.20 წამში გაირბინა და მართალია, მეორე ადგილი დაიკავა, მაგრამ მაინც კმაყოფილი დარჩა. გებრე, ვისაც ჰენგელოში მსოფლიოს სამი რეკორდი (1994 წელს 5 000 მეტრზე, 1995 წელს 10 000 მეტრზე და 1998 წელსაც 10 000 მეტრზე) აქვს დამყარებული (ამის გამო მას ხშირად მისტერ ჰენგელოდაც მოიხსენიებენ), ტურნირის წინ ნომინალურ ფავორიტად იყო მიჩნეული. თუმცა რეალურად, ასე არ იყო, რადგან ათენის ოლიმპიადაზე განცდილი კრახის შემდეგ (წინა ორ ოლიმპიადაზე ტრიუმფის შემდეგ, ათენში გებრე მეხუთე ადგილს დასჯერდა) მარათონულ დისტანციაზე გადავიდა და სარბენ ბილიკზე, თანაც მოკლე დისტანციაზე პრაქტიკა თითქმის არ ჰქონია.

საბოლოოდ, მას მხოლოდ ათენის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანმა, ეთიოპიელმა **სილეში სიჰინმა** აჯობა (26:50.53). რაც მთავარია, გებრსელასიემ უკან ჩამოიტოვა თავისი მთავარი კონკურენტი, აფრიკის ჩემპიონი **გებრე გებრემარიამი**, ვინც დისტანციის დასკვნით მონაკვეთზე დაიღალა და საბოლოოდ, მეშვიდე ადგილს დასჯერდა.

*"აქ ჩემი მთავარი მიზანი 27 წუთზე ნაკლებში გარბენა იყო. ახლა კიდევ რამდენიმე ტურნირზე გამოსვლას ვაპირებ და ვიმედოვნებ, რომ მათ შემდეგ, ეთიოპიის ნაკრებში ადგილი ჩემთვისაც გამოინახება"*, - ამბობს გებრსელასიე.

**მერაბ ლორთქიფანიძე**




სალადინო რეკორდს უახლოვდება

ავტოსპორტი. ინდი 500

# დიქსონმა სარეკორდო ჰონორარი მიიღო

ინდიანაპოლისის 92-ე 500-მილიანი რბოლის მოგებისთვის, ახალზელანდიელმა **სკოტ დიქსონმა** სარეკორდო თანხა, 2 988 065 დოლარი მიიღო. სულ კი, რბოლის ორგანიზატორებმა, რბოლის ყველა მონაწილეს, რეკორდული საპრიზო თანხა, 14 406 580 დოლარი გაუნაწილეს.

ინდი 500-ის გამარჯვებულთაგან, აქამდე ყველაზე მეტი საპრიზო თანხა, 1 761 740 დოლარი 2004 წლის რბოლის მომგებს, ამერიკელ **ბადი რაისს** ჰქონდა მიღებული. მთლიანი საპრიზო ფონდის მხრივ კი სარეკორდო შარშანდელი რბოლა იყო, როცა მონაწილეთა შორის 10 668 815 დოლარი განაწილდა.

ამგვარად, ინდი 500-მა კვლავ დაიბრუნა მსოფლიოში ყველაზე მდიდარი რბოლის სახელი. შედარებისთვის, ამერიკაში ყველაზე პრესტიჟული სარბოლო სერიის, ნასქარ-ის ყველაზე პრესტიჟული რბოლის, დეიტონას 500 მილის მომგებმა, ამერიკელმა **რაიან ნიუმენმა** 1 506 045 დოლარი დაიმსახურა.




*"წარმოდგენაც არ მაქვს, რა თანხას მომცემენ ამ მოგებისთვის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ცოტა არ იქნება. მოკლედ, მოუთმენლად ველი, როდის მივიღებ ჩეკს"*, - რბოლის შემდეგ განაცხადა დიქსონმა, ვინც ლეგენდარული რბოლა პოულიდან მოიგო და რბოლის უმეტესი ნაწილი ლიდერის პოზიცია ეკავა.

სარეკორდო თანხა, 1 273 215 დოლარი მიიღო მეორე ადგილზე გასულმა ბრაზილიელმა **ვიტორ მეირამაც**. სხვათა შორის, ინდი 500-ის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ რბოლაში მეორეზე გასულ პილოტს მილიონზე მეტი საპრიზო თანხა ერგო. მანამდე მეორეადგილოსანთაგან ყველაზე მეტი თანხა, 739 665 დოლარი 2003 წელს ბრაზილიელ **ჰელიუ კაშტრუნევიშს** აქვს აღებული. მას შემდეგ, კაშტრუნევიშმა ეს რბოლა ორჯერ მოიგო, წელს კი მეოთხე ადგილს დასჯერდა, რისთვისაც 482 815-დოლარიანი ჩეკი გამოუწერეს. რაც შეეხება მესამეზე გასულ ამერიკელ **მარკო ანდრეტის**, ის 782 065 დოლარს მიიღებს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს საინტერესოა

# DETROIT ROCK CITY



კვამე კილპატრიკი

ორ კვირაში, დეტროიტში სტარტს აიღებს ლეგენდარული როკ-ჯგუფის, KISS-ის სამთვიანი ტური, რომელიც სინგაპურში დასრულდება. მილიონობით ფანი, პიროტექნიკის ეშხი და წლების წინათ დაწერილი ჰიტები, რომელთაგანაც ფანებს ყველაზე მეტად Detroit Rock City-ის მოსმენა სურთ. ჰიტი, რომელიც დღემდე სინგლის სახით 17 მილიონ ეგზემპლარადაა გაყიდული, ერთხელაც ააფეთქებს დეტროიტს, მანამდე კი, იგივეს აკეთებს NBA-სა და NHL-ის ორი იქაური კლუბი. გუშინ, “პისტონზმა” “ბოსტონ სელტიქსს” მოუგო და კონფერენციის ფინალში ანგარიში გაათანაბრა, ხოლო NHL-ის სუპერფინალში, “რედ უინგზმა” მეორე საშინაო მატჩიც მოუგო “პიტსბურგს” და ძალიან მიუახლოვდა ბოლო 11 წელიწადში თავის მეოთხე სტენლის თასს.

ბოლო დროს, ამერიკის დიდი ქალაქების გუნდები ძველებურად ველარ დომინირებენ. მართალია, “ნიუ იორკ ნიქსის” ფანები სხვა გუნდების გულშემატკივრებზე მეტს იხდიან ბილეთებში და “მედისონ სკვერ გარდენის” ტერიტორიაზე ჰოთ-დოგიც ძვირი ღირს, მაგრამ წმინდა სპორტული მხარე სხვაგან, “პროვინციებში” უფრო მაღალ დონეზეა ასული, რაც ბოლო წლებში არაერთხელ დამტკიცდა.

კალათბურთში “სან ანტონიო” დომინირებს, ჰოკეიში კი “ანაჰაიმისა” და “კაროლინას” ბოლოდროინდელმა გამარჯვებებმა სატელევიზიო რეიტინგები არნახულად დააგდო. სად არიან “ლოს ანჯელეს კინგზი”, “მონრეალ კანადიენსი”, “ჩიკაგო ბლექ ჰოქსი” და “ნიუ იორკ რეინჯერსი”? არიან და პლეი ოფშიც გადიან, მაგრამ...

“დეტროიტი” კი, ამ მხრივ ყველაზე სტაბილურია. “პისტონზი” ზედიზედ მეხუთედ გავიდა აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალში, ორჯერ სუპერფინალიც ითამაშა, 2004-ში კი გაჩემპიონდა. “რედ უინგზი” მთლად “პისტონზივით” ვერ ბობოქრობს, მაგრამ რეგულარულებს სტაბილურად იგებს და პლეი ოფშიც თუ აგებს, თითქმის ყოველთვის მომავალ ჩემპიონთან.

წლეულს “დეტროიტს” ორივე ლიგაში გაჩემპიონების რეალური შანსი აქვს.

NBA-ში სულ ოთხი გუნდი შემორჩა პლეი ოფს და ამ ოთხიდან, “პისტონზი” ნამდვილად არ არის ყველაზე სუსტი, პირიქით, “სპურსთან” ერთად, ის ყველაზე გამოცდილი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული.

“ბოსტონს” საკუთარი მოედნის უპირატესობა აქვს და **კევინ გარნეტის** გუნდი შინ თითქმის არ მარცხდება (პლეი ოფში “სელტიქსს” მისსავე მოედანზე პირველი მარცხი სწორედ “დეტროიტმა” აგემა), მაგრამ თუ ამ გუნდს ვინმე აჯობებს, ასეთად სწორედ “დეტროიტი” მიგვაჩნია, რომელმაც იცის, როდის და რამდენი ენერგია უნდა დახარჯოს, რაც წინა წლებშიც არაერთხელ დაუმტკიცებია.

დეტროიტის მერი, სკანდალისტი **კვამე კილპატრიკი** ჰოკეის დიდად არ სწყალობს, სამაგიეროდ, “პისტონზის” დიდი ფანია და გუნდის ყველა საშინაო მატჩს ესწრება. თუ, რა თქმა უნდა, მობილურით მორიგ მაქინაციას არ გეგმავს, ან ღამის კლუბში არასრულწლოვანთან ერთად არ იმყოფება.

*“ქალაქი ქალაქს დავამსგავსე, მაგრამ სრული ბედნიერებისთვის “პისტონზის” ჩემპიონობა გვინდა”*, - ამბობს კილპატრიკი, რომლის ხელშიც ქალაქი კრიმინალისგან იწმინდება და სუნთქვაც უხიფათო ხდება, რაკილა ცენტრალურ მაგისტრალებსა და ორ უზარმაზარ ჰაივეიზე ჰაერის გიგანტური ფილტრებია დაყენებული.

“რედ უინგზი”?

*“რედ უინგზის” ჩემპიონობაც გაგვიხარდება, მაგრამ კალათბურთი უფრო მეტად ფასობს. მე თუ მკითხავთ, “რედ უინგზე” ბევრად რეიტინგული ჩვენი “თაიგერზია” (ბეისბოლი), მაგრამ ამ გუნდმა რეგულარულის სტარტი ჩააგდო და იქნებ პლეი ოფშიც ვერ გავიდეს, “რედ უინგზი” კი პლეი ოფში სეზონის დაწყებამდეა გასული, რადგან ყველაზე კარგი მოთამაშეები სწორედ ჩვენ გვყავს. უბედნიერესი ადამიანი გავხდები, თუ “პისტონზი” “სელტიქსს” გაივლის, მერე კი “რედ უინგზი” “პინგვინზის” დამარცხებას მოახერხებს”*, - ესეც ქალაქის მერის სიტყვებია.

ბოლო წლებში, არაერთმა გამოკითხვამ დააფიქსირა გულშემატკივრების აზრი იმის თაობაზე, რომ სტადიონებსა თუ დარბაზებში, ისინი ყველაზე კომფორტულად, დაცულად და იდეალურად თავს დეტროიტში გრძნობენ.

*“დეტროიტში სპორტით მხოლოდ პროფესიონალები არიან დაინტერესებულნი. “რედ უინგზის” თამაშზე ვერ ნახავთ დილეტანტს ან ისეთ ფანს, რომელიც მთელი შეხვედრის განმავლობაში მოწინააღმდეგეს აგინებს და ყინულზე უცხო ნივთებს ისვრის. ჩვენთან ოპონენტსაც ტაშს უკრავენ, რადგან მაყურებელი ლამაზი ჰოკეის სანახავად იხდის დიდ ფულს, თუმცა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ყველას “რედ უინგზის” წარმატება გაუხარდება”*, - ამბობს “დეტროიტის” ერთ-ერთი ლიდერი **ჰენრიკ ზეტერბერგი.**

“დეტროიტში” სხვადასხვა ლიგების ვარსკვლავები ერთმანეთთან მეგობრობენ და ამას მხოლოდ ტაბლოიდების პირველ გვერდზე გამოსაჩენად არ აკეთებენ.

*“თუ დრო მაქვს, აუცილებლად მივდივარ “თაიგერზის” მატჩზე, რადგან გარდა იმისა, რომ ამ გუნდის ფანი ვარ, მატჩის მერე მაგლიო ორდონიესთან (“ტაიგერზის” კაპიტანი) ერთად სადმე ლუდს მივირთმევ ხოლმე. ჩვენი მეგობრობა გულწრფელია და ეს მაგლიომაც მშვენივრად იცის”*, - ამბობს “პისტონზის” ერთ-ერთი ლიდერი, რიჩარდ ჰემილტონი, რომელიც ორდონიესის გარდა, “რედ უინგზის” მეკარე **კრის ოსგუდთანაც** ძმაკაცობს.

დეტროიტი სპორტითა და თავისი სპორტსმენებით ცხოვრობს. იმავე კილპატრიკის თქმით, ამ ქალაქში სპორტი რელიგიაა. კილპატრიკამდეც ასე არ იყო? ვინ იცნობდა ამ კაცს, როდესაც **აიზია ტომასი, დენის როდმანი, ბილ ლემბირი, ჯო დუმარსი, სტივ აიზერმანი** და სხვა ლეგენდები მთელ ამერიკას აზანზარებდნენ?

ფაქტია, რომ “რედ უინგზსაც” და “პისტონზსაც” ჩემპიონობის რეალური შანსები აქვთ, მათმა ტრიუმფმა კი, იქნებ ხალხის თვალში კილპატრიკის სკანდალური იმიჯიც ცოტათი შეალამაზოს.

**ზურაბ თალაკვაძე**

**პლეი ოფი. 1/2 ფინალი**

**აღმოსავლეთი**

| | |
|---|---|
| **დეტროიტი-ბოსტონი** | **94:75** |

22:17, 21:22, 22:19, 29:17

**დ:** მაკდაისი (21+16 მოხსნა), ჰემილტონი (20+7 პასი), რ. უოლასი (14+5 დაფარება), მაქსიელი (14), ბილაპსი (10+7 პასი+2 ჩაჭრა).

**ბ:** გარნეტი (16+10 მოხსნა+2 დაფარება), პირსი (16+8 მოხსნა), რ. ალენი (11), პოუსი (11), პერკინსი (10+6 მოხსნა).

**სერია 2:2**

## TV სპორტი

**28 მაისი. ოთხშაბათი**

### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. პოლანდია-ბელარუსი.
14:10 ესპანეთის ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება.
15:40 ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. რუსეთი-ხორვატია.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
16:45 ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. ხორვატია-ანდორა.
18:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:55 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:55 2:1 - საფეხბურთო თოქ-შოუ.
20:55 გერმანიის ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება.
22:25 ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. რუსეთი-ისრაელი.
22:40 ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. იტალია-უკრაინა.
00:30 საფეხბურთო პროგრამა.
01:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

### SPORT 1 (უკრაინა)

06:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პარმა-ინტერი.
08:45 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
09:00 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
09:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
10:00 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. კანადა-ფინეთი. კანადა.
11:50 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ესპანიოლი.
13:40 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. სტამბოლი. თურქეთი.
14:45 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ცსკა-მონტეპასკი.
17:15 ფეხბურთი. Barca TV.
17:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ფინალი. როჯერ ფედერერი-რაფაელ ნადალი. მონტე კარლო.
19:30 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
19:40 ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი. ზენიტი-რეინჯერსი. მანჩესტერი. ინგლისი.
20:45 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
22:00 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
22:30 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
23:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:15 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. კანადა-ფინეთი. კანადა.
01:10 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
01:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-იუვენტუსი.
03:00 მინი-მოედანი.
03:30 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
04:00 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. ფინალი. პიტსბურგი-დეტროიტი. III მატჩი (LIVE).
06:40 ფეხბურთი. Barca TV.
06:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ესპანიოლი.

### EUROSPORT

10:30 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). 1/2 ფინალი. ტულონი. საფრანგეთი.
11:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. III დღე. მიმოხილვა.
12:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. III დღე.
13:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. IV დღე (LIVE).
18:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XVII ეტაპი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. IV დღე (LIVE).
22:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. IV დღე. მიმოხილვა.
22:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩები. მიმოხილვა.
23:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
00:00 ფეხბურთი. ევრო 2008. პრევიუ.
01:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. IV დღე. მიმოხილვა.
02:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩები. მიმოხილვა.
03:00 მულტისპორტი.
03:15 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. IV დღე. მიმოხილვა.

### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
09:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. ფიჯი.
10:00 ახალი ამბები.
12:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი.
13:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. პლეიოფი. ფინალი. ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი.
14:00 ახალი ამბები.
14:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. ფიჯი.
15:00 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). 1/2 ფინალი. ჩილე-კოტ დ'ივუარი. ტულონი. საფრანგეთი.
17:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). 1/2 ფინალი. იტალია-იაპონია. ტულონი. საფრანგეთი.
18:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. პლეიოფი. ფინალი. ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი.
19:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 სერფინგი. მსოფლიო ტური. ფიჯი.
22:15 პროფესიული კრივი. ს. სანავია (იტალია)-მ. მურატი (გერმანია).
23:30 კიკბოქსინგი. ტაილანდი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 სერფინგი. მსოფლიო ტური. ფიჯი.
01:30 ექსტრემალური სპორტი.
02:00 ახალი ამბები.
02:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. ფიჯი.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

**ჩეხეთი-ლიტვა 2:0**

**ჩეხეთი:** ჩეხი, იანკულოვსკი (65. კადლეცი), უიფალუში (75. კოვაჩი), როზენალი, გრიგერა, იაროლიმი (83. მატეიოვსკი), ვლჩეკი, პლასილი (79. შკაჩელი), პოლაკი (46. პოლაკი), ბაროში (46. სვერკოსი), კოლერი.

**გოლები:** 1:0 კოლერი (39), 2:0 კოლერი (64)

**მაყურებელი:** 14 220

**პოლონეთი-ალბანეთი 1:0**

**პოლონეთი:** ფაბიანსკი, ბაკი, მიხ. ჟევლაკოვი (9. კოკოშკა), ვასილიევსკი, ვავრჟინიაკი, კრჟინოვეკი (82. მურავსკი), დევანდოვსკი, დუდკა (82. პაჟდანი), გერეირო (46. სმოლიარეკი), ჟურავსკი (61. ზაგორსკი), ლობოძინსკი (82. საგანოვსკი).

**გოლი:** 1:0 ჟურავსკი (3)

**მაყურებელი:** 2 500

**გერმანია-ბელარუსი 2:2**

**გერმანია:** ლემანი, მეტცელდერი, ლამი, მერტეზაკერი, ჰიტცლშპერგერი, ფრინგსი (67. ტროხოვსკი), ბალაკი (46. ჯონსი), ოდონკორი (79. ფრიტცი), შვაინშტაიგერი (46. მარინი), კლოზე (54. ნოივილი), პოდოლსკი (54. ჰელმესი).

**გოლები:** 1:0 კლოზე (10), 2:0 კორიტკო (20-საკ. კარში), 2:1 ბულიგა (61), 2:2 ბულიგა (88)

**მაყურებელი:** 47 258

**ავსტრია-ნიგერია 1:1**

**ავსტრია:** მახო, შტრანცლი, პოგატეტცი, შტანდფესტი, პრიოდლი, ივანშიტცი (70. ვასტიჩი), აუფჰაუზერი, შაუმელი, ფუხსი (61. უმით ქორქმაზი), ლინცი (82. ლაიტგები), კიენასტი (46. ჰოფერი).

**გოლები:** 1:0 კიენასტი (13), 1:1 კალუ უჩე (19)

**მაყურებელი:** 15 000

**საფრანგეთი-ეკვადორი 2:0**

**საფრანგეთი:** ფრეი (46. მანდანდა), აბიდალი, ესკუდე (46. ევრა), სანიოლი (73. კლერი), ტიურამი, ა. დიარა (46. ფლამინი), ლ. დიარა, ნასრი, ანელკა, ბენ არფა (77. მალუდა), ჯ. სისე (58. ბ. გომისი).

**გოლები:** 1:0 ბ. გომისი (58), 2:0 ბ. გომისი (85)

**მაყურებელი:** 20 000

| | |
|---|---|
| იაპონია-პარაგვაი | 0:0 |
| ჩერნოგორია-ყაზახეთი | 3:0 |

**შვედეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჰაკენი-იონჩოპინგი | 0:0 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| კორკი-შემროკი | 1:1 |
| დროგედა-სლიგო | 1:1 |
| უნივერსიტი-ბრეი | 2:2 |
| ფინ ჰარპსი-დერი | 0:2 |
| სტ. პატსი-ბოჰემიანსი | 0:1 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| კოშიცე-ნიტრა | 1:2 |
| არტმედია-ტრნავა | 2:1 |
| რუჟომბეროკი-ბისტრიცა | 0:0 |
| სლოვანი-შენეცი | 4:0 |
| ტრენჩინი-მორავცე | 0:0 |
| ჟილინა-დუბნიცა | 5:0 |

**კალათბურთი**

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| მარუსი-პანიონიოსი | 76:65 |
| ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 71:55 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| რომა-აველინო | 77:70 |

ჰოკეი. NHL სტენლის თასი. ფინალი. II მატჩი

# ძრავების ქალაქში პინგვინები ვერ ხარობენ

| | |
|---|---|
| **დეტროიტი-პიტსბურგი** | **3:0** |

2:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 სტიუარტი-1 (ფილპულა-5), 2:0 ჰოლმსტრიომი-4 (ზეტერბერგი-11), 3:0 ფილპულა-4 (ფრანცენი-4, სტიუარტი-4).

**სერია 2:0**

ფინალური სერიის მეორე მატჩი პირველის ანალოგიური სცენარით წარიმართა. ისევ უპირატესობას “დეტროიტი” ფლობდა, რომელიც უშეცდომოდ თამაშობდა დაცვაში, გასაქანს არ აძლევდა “პიტსბურგის” ნაქებ თავდამსხმელებს. ხოლო როცა “პინგვინები” მაინც გადიოდნენ დასარტყმელ პოზიციაზე, ბრწყინვალედ მოქმედებდა მასპინძელთა მეკარე **კრის ოსგუდი**, რომელმაც ამჯერად სამით მეტი, 22 დარტყმა მოიგერია და ზედიზედ მეორე შატაუტი შეასრულა. ვეტერანი გოლკიპერის “მშრალი” სერია 137 წუთსა და 33 წამს უტოლდება და თუ ოსგუდი მესამე მატჩშიც არ გაუშვებს გოლს, ფინალური სერიის ყველა დროის რეკორდს დაამყარებს - 1945 წელს, “ტორონტოს” მეკარე **ფრენკ მაკკოლი** 188 წუთისა და 35 წამის განმავლობაში არ უშვებდა შაიბას.

პირველი მატჩის პირველი პერიოდი უგოლოდ დასრულდა, ამჯერად კი, “რედ უინგზმა” საწყის 20-წუთეულში კომფორტული უპირატესობა მოიპოვა, როცა ოთხი წუთის ინტერვალით ორი გოლი გაუტანა **მარკ-ანდრე ფლერის.** თავი გამოიჩინეს მცველმა **ბრედ სტიუარტმა** და შვედმა ფორვარდმა **ტომას ჰოლმსტრიომმა.** მატჩს საბოლოო წერტილი კი, **ვალტერი ფილპულამ** დაუსვა. გოლი საკმაოდ ლამაზი გამოვიდა - შვედმა ეფექტურად მოატყუა “პინგვინების” მცველი **კრის ლეტანგი** და წაქცეულმა შეაცურა შაიბა კარში.

წინა მატჩთან კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი ის იყო, რომ პიტსბურგელები ზედმეტად უხეშობდნენ და ამის გამო, თითქმის მთელი მესამე პერიოდი რიცხობრივ უმცირესობაში გაატარეს. მატჩის ბოლოს კი, გუნდი-გუნდზე ჩხუბიც ვიხილეთ.

მაშ ასე, ორი მატჩის ჯამში “დეტროიტმა” სოლიდურ უპირატესობას მიაღწია. ფინალური სერიების ისტორიაში 31 შემთხვევა დაფიქსირდა, როცა ერთმა გუნდმა სერია 2:0 წაიყვანა. სტატისტიკის მიხედვით, ამ 31 შემთხვევიდან 30-ჯერ სწორედ ეს გუნდი იგებდა სტენლის თასს. ერთადერთხელ, კერძოდ კი 1971 წელს, “ჩიკაგომ” შეძლო ამ ჩამორჩენის აღმოფხვრა და ფინალური სერიის თავის სასარგებლოდ დასრულება.

მაგრამ არსებობს კიდევ ერთი სტატისტიკური მონაცემი, რომლის მიხედვითაც “პიტსბურგს” წლევანდელ სტენლის თასზე, საკუთარ “მელონ არენაზე” 8-დან 8 მოგება აქვს, სერიის შემდეგი ორი შეხვედრა კი, ამ სტადიონზე გაიმართება. მაგრამ, თუ **სიდნი კროსბი, ევგენი მალკინი** და სხვა “პინგვინები” ისევე ინერტულად ითამაშებენ, როგორც პირველ ორ მატჩში, **მიშელ ტერიენის** გუნდს ეს სტატისტიკა ვერაფერს უშველის.

და კიდევ ერთი. საგოლე პასის წყალობით, “დეტროიტის” ფორვარდი **ჰენრიკ ზეტერბერგი** პლეი ოფის საუკეთესო ბომბარდირი გახდა (23 ქულა). მას ერთი ქულა სჭირდება იმისთვის, რომ სტენლის თასზე საკლუბო რეკორდი გაიმეოროს, რომელიც 24 ქულას უტოლდება და მას ორი მფლობელი ჰყავს - **სერგეი ფიოდოროვი** (1995) და **სტივ აიზერმანი** (1998).

**გია თვალაბეიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ფეხბურთის ვარსკვლავები თბილისში

3 ივნისს, ეროვნულ სტადიონზე



შოთა არველაძის გამოსათხოვარი მატჩი

ჩოგბურთი

# ჰარკლროუდი ფლეიბოიში



ამიერიდან, WTA-ს რეიტინგის 61-ე ნომერი, ამერიკელი **ეშლი ჰარკლროუდი** ჩოგბურთის მოყვარულთა უფრო მეტ ინტერესს დაიმსახურებს. საქმე ისაა, რომ როლან გაროსის პირველ წრეში თანამემამულე **სერენა უილიამსთან** წაგების შემდეგ (2:6, 1:6), მან "ფლეიბოის" აგვისტოს ნომრისთვის შიშველი ფოტოები გადაიღო.

*"ვამაყობ საკუთარი სხეულით. მინდოდა ყველასთვის მეჩვენებინა, რომ სწორედ ასეთი უნდა იყოს სპორტსმენის ტანი"*, - განაცხადა ჰარკლროუდმა.

ბოლო ორი წლის განმავლობაში, 23 წლის ეშლი მესამე ამერიკელი სპორტსმენი გახდა, ვინც ლეგენდარული გამოცემის ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. მანამდე იგივე ნაბიჯი გადადგეს მოცურავე **ამანდა ბერდმა** და ფრენბურთემა **გაბრიელა რეესემ**.

**გია თვალაბეიშვილი**

ავტოსპორტი

# კიმის ახალი მანქანა



მონაკო - ეს არამხოლოდ პრესტიჟული რბოლა, იახტები და ფუფუნებაა, არამედ, როგორც ჩანს, სარფიანი გარიგებების ადგილიც გახლავთ.

ბრიტანული პრესის ინფორმაციით, გასულ უიქ ენდზე, ფორმულა 1-ის მოქმედმა ჩემპიონმა **კიმი რაიკონენმა** პირადი ავტოპარკი ახალი შენაძენით შეავსო. "ფერარის" ფინელმა პილოტმა 1974 წლის ლეგენდარული Chevrolet Corvette Stingray იყიდა, რომელიც თავის დროზე ჰოლივუდის ვარსკვლავის, **შერონ სტოუნის** კოლექციას ამშვენებდა. მანქანა იმითაც არის უნიკალური, რომ მის სპიდომეტრზე მხოლოდ 4 მილი(!) გავლილი დისტანციაა დაფიქსირებული.

კიმის ეს შენაძენი 200 ათასი ევრო დაუჯდა...

**გია თვალაბეიშვილი**

ჩოგბურთი. ინტერვიუ როჯერ ფედერერთან

# საკუთარი თავის მჯერა

**მსოფლიო** კლასიფიკაციის პირველ ჩოგანს, შვეიცარიელ როჯერ ფედერერს ტიტულების კოლექციის შესავსებად როლან გაროსის მოგება სჭირდება. წინა ორ სეზონში, ფინალში რაფაელ ნადალთან დამარცხების შემდეგ, ამჯერად ფედერერი საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულია და ხმამაღლა აცხადებს, რომ წლეულს, მის კარიერაში ამ ყველაზე დიდ გაუგებრობას წერტილი დაესმება.



**- როჯერ, რა უფრო რთულია - "როლან გაროსის" მოგება თუ "დიდი სლემის" ტურნირებზე პიტ სამპრასის რეკორდის დამხობა?**

- იმედი მაქვს, რომ ორივე მიზანს მივაღწევ. კარიერის ბოლომდე, საფრანგეთის ღია პირველობაზე მხოლოდ მონაწილეობით არ შემოვიფარგლები. ხანდახან სულელური შეფასებების მოსმენა მიწევს - თითქოს წელიწადი დამრჩა პარიზში ტრიუმფის მისაღწევად. როცა რეიტინგის პირველი ნომერი ხარ და "დიდი სლემის" 12 ტიტული გაქვს მოგებული, ნებისმიერ ტურნირზე შეგიძლია თავის გამოჩენა. ყველაფერს მოტივაცია, სურვილი და გამარჯვებისკენ სწრაფვა განსაზღვრავს. ეს ყველაფერი მაქვს და იმედია, ბოლომდე ასე იქნება.

პიტის რეკორდამდე (14 "დიდი სლემი" კარიერაში - რედ.) მცირედი მიკლია. ეს ძალიან საინტერესო ეტაპია ჩემს კარიერაში. უიმბლდონის მეექვე ტიტული, მეხუთე ტრიუმფი აშშ-ის ღია პირველობაზე თუ პირველი როლან გაროსი - აქედან ერთიც რომ მოვიგო, ბედნიერი ვიქნები. ისე კი, სამივეგან გამარჯვება შემიძლია. ვნახოთ, რას მივაღწევ ამ უახლოესი ექვსი თვის განმავლობაში.

**- რა უშლის ხელს თიხნარზე თქვენს ტრიუმფს?**

- არ შეიძლება ერთნაირად ითამაშო ნადალისა და... მაგალითად, ნალბანდიანის წინააღმდეგ. რაფა შეტევის შანსს გაძლევს, ნალბანდიანი - არა. თიხნარზე სხვადასხვა მეტოქეების წინააღმდეგ, სხვადასხვაგვარად უნდა ითამაშო. მაგრამ მთავარი პრობლემა - ნადალის ბატონობაა. თუმცა ვიცი, რომ მის წინააღმდეგ თამაში შეიძლება და თუ თავიდან რაფასთან მატჩებში დისკომფორტს ვგრძნობდი, ახლა ყველაფერი წესრიგშია.

**- თქვენი აზრით, რა არის კარგი და ცუდი როლან გაროსზე?**

- ადრე, ეს ტურნირი არ მიყვარდა, რადგან რამდენჯერმე პირველივე წრეში გამოვეთიშე ბრძოლას. აქ კომფორტულად ვერ ვგრძნობდი თავს. ბოლო წლებში კი, პარიზში ტურნირის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ჩავდივარ და ცენტრალურ კორტზე ყოველდღე სამ საათს ვვარჯიშობ. ახლა, საფრანგეთის ღია ჩემთვის ისეთივე ტურნირია, როგორიც დანარჩენები და ვიცი, რა უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ აქ გამარჯვებას მივაღწიო.

**- ახალი მწვრთნელი, ხოსე იგეირასი რა პრინციპით შეარჩიეთ?**

- ჩემი აზრით, მას შეუძლია ცალკეულ დეტალებში დახმარების გაწევა, რამაც შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს. რა თქმა უნდა, არ ვაპირებთ მთელი დღეები ორივე ხელით დარტყმებზე ვივარჯიშოთ - ეს ისედაც კარგად ვიცი. საჭიროა, გვერდით ისეთი მწვრთნელი მყავდეს, რომელთანაც მოლაპარაკება და ხანდახან სავახშმოდ წასვლა შეიძლება. ხოსე - სწორედ ეს ვარიანტია.

**- ავსტრალიის ღია პირველობის დროს მონონუკლეოზით იყავით დაავადებული და კორტზე ამ ვირუსით თამაშობდით. რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა ასეთი დიაგნოზი დაგისვეს?**

- როცა ამის შესახებ შევიტყვე, ვირუსი თითქმის აღარ არსებობდა. შესაბამისად, ტურნირის დროს არ ვწუწუნებდი: "ღმერთო ჩემო, მონონუკლეოზი მაქვს". მოგვიანებით, თვითონაც გაოცებული დავრჩი იმით, რომ მელბურნში, ტიპსარევიჩის დამარცხება შევძელი. როგორც ექიმები ამბობდნენ, ვირუსმა თავის პიკს სწორედ ამ მატჩის დროს მიაღწია. იმედი მაქვს, საკუთარი ჯანმრთელობისთვის ზიანი არ მიმიყენებია. ექიმებს ჩემი ავადმყოფობის შესახებ რომ სცოდნოდათ, ალბათ, კორტზე გასვლის უფლებას არ მომცემდნენ.

**- წლის დასაწყისში თქვენზე ამბობდნენ, რომ ფედერერი უკვე დამთავრებული მოთამაშეა...**

- ამ შეფასებამდე ორი თვით ადრე, როცა შანხაიში წლის შემაჯამებელი ტურნირი მოვიგე, ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელს მიწოდებდნენ, შემდეგ ავსტრალიის ღია პირველობა წავაგე და როგორც მოთამაშე, აღარ ვარსებობდი. ამის გაგება მიჭირს.

**- შეიცვლება თუ არა ნადალთან ჰარმონიული ურთიერთობა იმ შემთხვევაში, თუ რაფა რეიტინგში პირველობას ჩამოგართმევთ?**

- არ შეიცვლება. მე მასში ყოველთვის ვხედავდი იმ მოთამაშეს, რომელიც კლასიფიკაციაში პირველ ადგილს იმსახურებს. ვინც არ უნდა დაიკავოს რეიტინგში პირველი პოზიცია, მის მიმართ ყოველთვის პატივისცემის გრძნობა მექნება, რადგან ვიცი, რა რთულია მწვერვალზე ასვლა და მით უმეტეს, იქ პოზიციების გამყარება.

**- ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ნადალისა და გასკეს თამაშზე უფრო მაღალი აზრის ხართ, ვიდრე ჯოკოვიჩისაზე. რატომ?**

- რაფაელის თამაში იმიტომ მომწონს, რომ ის უნიკალურია. გასკეს კი, მარჯვნიდან ბრწყინვალე დარტყმა აქვს. მეც მინდა ისევე ვუტევდე, როგორც ამას ფრანგი აკეთებს. რაც შეეხება ჯოკოვიჩს, არასოდეს მითქვამს, რომ მისი თამაში არ მომწონს. ის კორტზე ბრწყინვალედ გადაადგილდება, ეფექტური და საიმედოა. მაგრამ ნადალისგან და გასკესგან განსხვავებით, ვერ ვხედავ თამაშის ისეთ კომპონენტს, რომელიც ცალკე აღნიშვნის ღირსი იქნებოდა.

**- ყოველდღიურ ცხოვრებაში პოპულარობა ძალიან გიშლით ხელს?**

- შეიძლება ჰაერივით თავისუფალი არ ვარ, მაგრამ შემიძლია ნორმალური ცხოვრებით ვიცხოვრო. ყოველ შემთხვევაში, შვეიცარიაში ან დუბაიში პრობლემები არ მექმნება.

**გია თვალაბეიშვილი**